# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 20 ივნისი, 2008 წელი.

№ 113 (5971)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

## „არალეგიტიმურობის“ ზეიმი საქართველოში



2-4

## კაზაკები აფხაზეთ-საქართველოს საზღვრის დასაცავად მოქმედებას დაიწყებენ

11




## ოპოზიციის ზნეობრივი გამარჯვება და დემოკრატიისთვის ბრძოლის პერსპექტივები

3

## სინამდვილე – მარადიული სიახლე!

7-8



სტუმრად მწერალ თამაზ ჭილაძესთან

## დიმიტრი ტრენინი: მოსკოვს თბილისთან პირისპირ საუბარი სურს

6



## ამერიკის შეერთებულმა შტატებმა რუსეთის საქართველოზე ზემოქმედება აუკრძალა

ИЗВЕСТИЯ



10

### ნომრის კარიკატურა



განსჯა

# „არალეგიტიმურობის" ზეიმი საქართველოში



**ძალიან მაგარი ხალხი ვართ ქართველები.**

**მაგრები ვიქნებით, აბა რა, ყველაფერი არალეგიტიმური გვაქვს. სხვა რომელ ქვეყანას ჰყავს არალეგიტიმური პარლამენტი, არალეგიტიმური ოპოზიცია და არალეგიტიმური გულშემატკივრები.**

**სასაცილოა. იმდენად სასაცილო, რომ სატირალიც აღარ არის.**

„სიცილს" დავიწყებ „არალეგიტიმური გულშემატკივრებისგან".

ჩვენმა ფეხბურთის ფედერაციამ იმდენი ქნა, რომ ქართველი გულშემატკივარი იმ დანჯღრეული ზაპოროჟეცის პატრონს დაამსგავსა, რომელიც მეზობლებში ტრაბახობს დღეს „ლინკოლნ ნავიგატორი" დავინახეო.

ჰოდა, მეტი რაღა დარჩენიათ ფეხბურთის „მოყვარულ" გოგო-ბიჭებს. იცმევენ უცხო ქვეყნების ფეხბურთის ნაკრებთა მაისურებს და „რუსთავი 2"-ის კამერების წინ მკერდზე მჯიღების ცემით იჭაჭებიან – „აი ნახეთ დღეს ჰოლანდიას თუ არ მოვუგოთო".

ანი გიუნტერი რომ გერმანიას „ბალელშჩიკობს", გასაგებია, მაგრამ დალოცვილო, შენ სადაური ვესპუჩების შთამომავალი, ან დედოფალ მარგოს რომელი ბიძაშვილი ხარ, პორტუგალიის და საფრანგეთის გულისთვის რომ „იხოკავ ლოყებს"?

რა მაგის პასუხია და ეგ ის საფრანგეთი არ იყო, მაპის მოცემაზე უარი რომ გვითხრა ბუქარესტის სამიტზე? (ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ თამაშებში რომ „დაგვანგრია", იმაზე აღარაფერს ვამბობ), ჰოდა თუ მხარდაჭერაა პოლონეთს მაინც დავუჭიროთ მხარი, ასეა თუ ისე, პოლონეთი მაინც გვიდგას მხარში.

კი გავარდა პოლონეთის ნაკრები, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს. ჩვენ მაინც დავუჭიროთ მხარი. ეგრე თუ ვიფიქრეთ ზოგიერთებიც გავარდნენ ეროვნული საბჭოდან, მაგრამ მხარდამჭერები მაინც ჰყავთ.

ნახევრად დაშლილმა გაერთიანებულმა ოპოზიციამ საზაფხულო არდადეგები გამოაცხადა.

კოკო გამსახურდიამ „ოპოზიციურ სტილში" რაღაც მემორანდუმი შეიმუშავა და განსახილველად ორთაჭალის „ცენტრში" მიიტანა, მაგრამ კოზა დავითაშვილს ღვინით სავსე იმხელა ჭიქა ეკავა ხელში, რომ ნათლად ჩანდა, არანაირი მემორანდუმის განხილვას არ აპირებდა (ავთო ცქვიტინიძის ენით რომ ვთქვა: 2008 წლის ზამთარ-ზაფხულის სეზონებზე მოდაში შემოვიდა სიტყვა „მემორანდუმი". ვნახოთ რა სიტყვა იქნება მოდაში შემოდგომა-ზამთრის სეზონზეძ.

ახლა კი ცოტა სერიოზულად ვნახოთ, თუ რატომ „გვეშლება" თვალსა და ხელს შუა ეს ძლივს შეკოწიწებული ოპოზიცია („ცოტა სერიოზულადო" იმიტომ ვთქვი, რომ მაგათ „ძალიან სერიოზულად" უკვე აღარავინ, თვით ნაციონალური მოძრაობის „პირველი არასერიოზული ათეულიც" აღარ აღიქვამსძ.

ოპოზიცია რომ საარჩევნოდ და არჩევნებისთვის გაერთიანდა, ეს ყველამ კარგად ვიცოდით, მაგრამ დაჯერება არ გვინდოდა. თავს ვიტყუებდით, რომ „როგორც იქნა დავძლიეთ ვიწრო პარტიული ამბიციები, როგორც იქნა გვერდზე გადავდეთ პირადი ინტერესები და საქართველოს ისტორიაში პირველად შევქმენით მძლავრი ოპოზიციური გაერთიანება".

იხ. 4 გვ.

კონფლიქტის ზონა

## ანქვაბმა ფართო მარტო ინფარქტი იცის

**აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ალექსანდრე ანქვაბი ქართული მხარის წინადადებებს საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთისთვის ფართო ავტონომიის განსაზღვრის შესახებ „ისტორიის ნანგრევებზე გაკეთებულ შეთავაზებად" აფასებს.**

– არ ვიცი, რას ნიშნავს ფართო ავტონომია, ფართო მე ინფარქტი ვიცი. ჩვენ ეს უკვე გავიარეთ. აფხაზეთის პარლამენტს საქართველოსთან ფედერაციული ურთიერთობების დამყარების პროექტზე 1992 წლის 14 აგვისტოს უნდა ემსჯელა, მაგრამ იმ დღეს საქართველომ აფხაზეთში ომი დაიწყო. სააკაშვილის წინადადებები აფხაზური მხარისთვის ვეტოსა და ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობის შეთავაზების შესახებ, უბრალოდ, არასერიოზულია. ეს ყველაფერი უკვე ისტორიის ნანგრევებზე გაკეთებული წინადადებებია, – აღნიშნავს ალექსანდრე ანქვაბი.

მისივე მტკიცებით, დასავლეთი დიდი ხანია, მიხვდა, რომ აფხაზეთში ფულის დაბანდებისთვის ამის საქართველოს გავლით გაკეთება საჭირო არ არის.

დასავლეთი აფხაზეთს გალის რაიონში სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის, როგორც კანფეტს 4 მილიონ ევროს ჰპირდება, მაგრამ სოხუმის ხელისუფლებას ინვესტორებთან ისეთი ურთიერთობები ჩამოუყალიბდა, რომ ამდენივე თანხის მობილიზება პატიოსან სიტყვაზე სულ რამდენიმე დღეში შეუძლია; ამიტომ დროა, დასავლეთმა აფხაზეთთან დაკავშირებით სხვა დონეებზე იფიქროს, – აღნიშნა ანქვაბმა.

დე ფაქტო პრემიერის აზრით, სააკაშვილი აფხაზეთის საკითხში იმის გამო ჩქარობს, რომ იცის, დრო საქართველოში რევანშისტული ტენდენციების სასარგებლოდ არ მუშაობს. მისივე თქმით, ქართველი ახალგაზრდობის ფაშისტური იდეებით აღზრდა თავად საქართველოსთვის ცუდად დასრულდება.



## პირდაპირ დიალოგს ალტერნატივა არა აქვს

**საქართველოს პარლამენტის წევრი დავით დარჩიაშვილი მნიშვნელოვნად მიიჩნევს იმ ფაქტს, რომ აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებაში ამერიკის შეერთებული შტატების ატლანტიკური საბჭოს და კოლუმბიის უნივერსიტეტის ანალიტიკოსები და ექსპერტები არიან ჩართულები.**

– ამ ადამიანების დასკვნებს და რჩევებს ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკურ წრეებში უსმენენ და ითვალისწინებენ. ამდენად მნიშვნელოვანია, რომ მათ თავად გაიაზრონ და გაიგონ თუ რასთან გვაქვს რეალურად საქმე, – განაცხადა დავით დარჩიაშვილმა, თუმცა იგი აქვე აღნიშნავს, რომ ქართულ და აფხაზურ მხარეს შორის პირდაპირ დიალოგს ალტერნატივა არა აქვს.

თუმცა ამ ეტაპზე პირდაპირი დიალოგის გამართვა იმის გამო არ ხდება, რომ აფხაზური მხარე მეტად არარაციონალურ და მიუღებელ მოთხოვნებს აყენებს და, ჩვენი აზრით, ეს მოთხოვნები მნიშვნელოვნად არის ნაკარნახევი მოსკოვის მხრიდან. სწორედ მოსკოვის მხრიდან კარნახის შესამცირებლად არის საჭირო კონფლიქტის მოგვარების პროცესში საერთაშორისო ორგანიზაციებისა და თანამეგობრობის ჩართვა, – განაცხადა დავით დარჩიაშვილმა.

პროფესორი ალექსანდრე ქული კი აღნიშნავს, რომ საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთის დაბრუნების იმედი, რა თქმა უნდა, ყოველთვის არის, თუმცა ამისთვის გრძელვადიანი სამუშაოს ჩატარებაა საჭირო და პროცესში უნდა იყოს ჩართული ქართული, აფხაზური, რუსული მხარეები, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციები, ევროპა და ამერიკის შეერთებული შტატები.

მისი თქმით, სოხუმში ვიზიტის დროს ამერიკულ დელეგაციას საკმაოდ მძიმე შთაბეჭდილება დარჩა. ქული აღნიშნავს, რომ იგი არ ეთანხმება იმ მოსაზრებას, რომ აფხაზეთი არის პატარა სამოთხე შავი ზღვის სანაპიროზე.

## აფეთქება სოხუმში

**აფხაზეთის დე ფაქტო უშიშროების სამსახურმა სოხუმის გარეუბანში, რკინიგზის ხაზზე მომხდარი აფეთქების ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე აღძრა.**

როგორც ე. წ. თავდაცვის მინისტრის მოადგილემ გარი კუპალბამ განაცხადა, ამ დროისთვის ინციდენტის შესახებ გამოძიებას ახალი დეტალები არ დაუდგენია.

გამოძიება მიმდინარეობს, თუმცა, ახალი დეტალები ჯერ არ გამოკვეთილა. ამ დროისთვის გაძლიერებულია იმ სამხედრო მოსამსახურეების დაცვა, რომლებიც რკინიგზის ხაზის აღდგენაზე მუშაობენ, რამდენადაც მათ არანაირი შეიარაღება არ აქვთ", – აღნიშნა გარი კუპალბამ.

აფეთქებას დივერსიის კვალიფიკაცია მიეცა და სისხლის სამართლის საქმე აფხაზეთის ე. წ. სისხლის სამართლის კოდექსის 279-ე მუხლით არის აღძრული.

ორი აფეთქება სოხუმის გარეუბანში, პლატფორმა „კელასურის" სარეზერვო გზაზე 18 ივნისს ხუთწუთიანი ინტერვალით, 17:35 საათსა და 17:40 საათზე მოხდა. დაზიანდა რკინიგზის ხაზი. აფეთქების შედეგად არავინ დაშავებულა.

რკინიგზის აღნიშნული მონაკვეთის სარემონტო სამუშაოებს რუსეთის სარკინიგზო ჯარების ნაწილები ატარებენ.

## რუს სამშვიდობოებს ჩამორთმეული მანქანები დაუბრუნეს

**ქართულმა მხარემ რუს სამშვიდობოებს ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში ჩამორთმეული სატვირთო მანქანა დაუბრუნეს, ტვირთის დაბრუნების შესახებ კი მოლაპარაკებები კვლავ მიმდინარეობს. ამის შესახებ ინფორმაციას რუსეთის ფედერაციის სახმელეთო ჯარების პოლკოვნიკი იგორ კანაშენკოვი ავრცელებს.**

ქართულმა მხარემ სატვირთო მანქანა დააბრუნა, თუმცა ჯერ კიდევ მათთან რჩება 20 რაკეტსაწინააღმდეგო რაკეტა, რომელიც ზუგდიდის რაიონში ავტომობილთან ერთად დააკავეს, – აცხადებს კანაშენკოვი.

## ჭუბურხინჯში ბიზნესმენი ჩაცხრილეს

**კონფლიქტის ზონაში შეიარაღებულმა ბოროტმოქმედებმა ჭუბურხინჯში მცხოვრები 35 წლის ბიზნესმენი ზურაბ ქვანია მოკლეს.**

ერთ-ერთი ვერსიით, მკვლელობა ფინანსურ დაინტერესებას უკავშირდება. არსებული ინფორმაციით, გარდაცვლილს გალში ორი მაღაზია ჰქონდა და კრიმინალური დაჯგუფების წევრები მისთვის ფულის გამოძალვას ცდილობდნენ.

ბანდფორმირებამ მას 13 ათასი დოლარი მოსთხოვა. ხანგრძლივი წინააღმდეგობის შემდეგ ქვანია ბოროტმოქმედებმა საკუთარ სახლთან ახლოს ჩაცხრილეს. გარდაცვლილის ცხედარი სოხუმის პროზექტურაში გადაასვენეს.

**ინტერპრესნიუსისა და ხი-ეიჩ-ენი-ს მიხედვით**

ინფორმაცია

## მეტრეველი და გაბაშვილი ელჩებად მოგვევლინენ

**საგარეო ურთიერთობათა და ევროინტეგრაციის საპარლამენტო კომიტეტის გაერთიანებულ სხდომაზე ერთხმად დაუჭირეს მხარი ელჩებად ლევან მეტრეველისა და კოტე გაბაშვილის კანდიდატურებს.**

ლევან მეტრეველი რუმინეთისა და მოლდოვის რესპუბლიკებშია წარდგენილი საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად, ხოლო კოტე გაბაშვილი – იტალიის რესპუბლიკაში, მალტასა და სან-მარინოში, ასევე წარდგენილია ქალაქ რომში განლაგებულ გაეროს საერთაშორისო ორგანიზაციებთან საქართველოს მუდმივ წარმომადგენლად.

ელჩების კანდიდატურებმა მათ სამომავლო გეგმებზე და პრიორიტეტებზე ისაუბრეს.

კოტე გაბაშვილმა ყოფილ კოლეგებს მოუწოდა აქტიურად ითანამშრომლონ იტალიის პარლამენტთან, რომელიც ასევე საქართველოს პარლამენტის მსგავსად ახალია და აღნიშნა, რომ ასეთ ურთიერთობებს დიდი მნიშვნელობა აქვს.

ლევან მეტრეველმა კი განაცხადა, რომ მოლდოვას, რუმინეთსა და საქართველოს შორის უკვე არსებობს საერთო ენა და საჭიროა, ამ საერთო ენისთვის უფრო მეტი აქტიურობის მინიჭება.

## ბაღათურია ფრაქციის შექმნას გეგმავს

**როგორც ბაღათურიამ განაცხადა, იგი ამ ეტაპზე ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეობას არ გეგმავს, ვინაიდან მის მიზანს ფრაქციის შექმნა წარმოადგენს.**

„არ მიფიქრია კომიტეტზე, თუმცა სამომავლოდ არაფერს გამოვრიცხავ. ამჟამად ფრაქციის შესაქმნელად ვმუშაობ, რის შემდეგაც ცხადია, გამოვიყენებთ ყველა რესურსს, რომელიც ფრაქციას აქვს, – განაცხადა ბაღათურიამ.

არსებული ინფორმაციით, შესაძლოა, ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის ვაკანსიაზე ჯონდი ბაღათურიას კანდიდატურა დასახელდეს.

**ინტერპრესნიუსი**

სურვილი

# ოპოზიციის ზნეობრივი გამარჯვება და დემოკრატიისთვის ბრძოლის პერსპექტივები

**საქართველოში უკანასკნელ თვეებში განვითარებული მწვავე პოლიტიკური პროცესების ერთი ეტაპი იმით დასრულდა, რომ 7 ივნისს შედგა პოლიციისა და უშიშროების სამსახურების ერთობლივი და კოორდინირებული მუშაობის შედეგად დაკომპლექტებული ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს პირველი სხდომა. ცალკე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ამ არსებითად არალეგიტიმური და ერთპარტიული პარლამენტის სხდომა ჩატარდა პოლიციისა და სპეციალური დანიშნულების რაზმებით სავსე შენობაში. შესაბამისად, თვით „ახალარჩეულმა" ფსევდოპარლამენტარებმაც პირველი სხდომა საგანგებოდ გაძლიერებული დაცვით ჩაატარეს, რაც, წესით, უკიდურესად დამამცირებელი უნდა იყოს სინდისიერი ადამიანისათვის, რაც სამარცხვინო ფურცლად დარჩება ქართული პარლამენტარიზმის ისტორიაში.**

„ქართული აკადემია" მიესალმება ოპოზიციის იმ ნაწილს, რომელმაც გამოიჩინა მაღალი მოქალაქეობრივი და ეროვნული თვითშეგნება, პოლიტიკური კეთილსინდისიერება და პრინციპულობა, საკუთარი ამომრჩევლებისადმი ერთგულება და უარი განაცხადა ამგვარი „პარლამენტის" წევრობაზე. აქვე იმედგაცრუებასა და ღრმა გულისტკივილს გამოვხატავთ იმ სამწუხარო ფაქტის გამო, რომ ოპოზიციის ერთმა ნაწილმა ვერ გაუძლო ცდუნებას, ან გარემოებებმა აიძულა, გამოემჟღავნებინა თავისი ჭეშმარიტი ზრახვები და დღეს ცდილობს, უსუსური არგუმენტებით გაამართლოს თავისი სულმოკლეობა თუ თვალთმაქცობა. ძირითადი არგუმენტი კი ის არის, თითქოს ისინი პარლამენტში მუშაობით თავიანთი ამომრჩევლების ნებას გამოხატავენ და შეეცდებიან, როგორმე ბოროტ ხეს კეთილი ნაყოფი გამოასხმევინონ. დაბეჯითებით ვაცხადებთ, რომ ამგვარი პოზიცია არც დამაჯერებელია და არც გულწრფელი – ოპოზიციის არც ერთი მხარდამჭერი არ ისურვებდა, მათი ხმა მათსავე „რჩეულებს" სააკაშვილისა და მისი ერთპარტიული ფსევდოპარლამენტისათვის „დემოკრატიული" ფასადის შესაქმნელად გამოეყენებინათ.

ამასთანავე, მკაფიოდ უნდა ითქვას ისიც, რომ ხელისუფლებასთან დიალოგი იმის თაობაზე, თითქოს ისინი რაღაც პრინციპულ დათმობებზე წავლენ და ოპოზიციურ ძალებს რეალურად ჩართავენ სრულფასოვან პოლიტიკურ ცხოვრებაში, არის სავსებით უპერსპექტივო საქმე. ხელისუფლება, რომლისთვისაც ნებისმიერი შეთანხმება მხოლოდ ფარატინა ქაღალდი და დროის გაწელვის საშუალებაა, არ დათმობს არაფერს, რაც კი მის ავტორიტარულ მმართველობას დაემუქრება. და თუ პარლამენტში შესულ „ოპოზიციონერებს" ნაციონალური უმრავლესობა რამე უმნიშვნელოსა და არაარსებითს დაუთმობს, ესეც, ფაქტობრივად, იქნება: აძ საერთაშორისო საზოგადოების თვალში იმის ილუზიის შექმნა, თითქოს საქართველოს პარლამენტი არ არის ერთპარტიული; ბძ საპარლამენტო „ოპოზიციისთვის" ცრუავტორიტეტის შექმნა და ამით ოპოზიციის იმ ნაწილის მაღალზნეობრივი გადაწყვეტილების დისკრედიტაცია, რომელმაც უარი თქვა საპარლამენტო მანდატებზე. მაგრამ ჩვენს საზოგადოებას კარგად უნდა ესმოდეს, რომ ნაცმოძრაობის მხრიდან ყველა მოსალოდნელი „დათმობა" მხოლოდ და მხოლოდ პარლამენტის წევრობაზე უარის მთქმელთა დამსახურება იქნება.

ასეა თუ ისე, ერთი რამ უეჭველია: საქართველოს დემოკრატიული მომავლისა და ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის ბრძოლის ერთი ეტაპი დასრულდა ოპოზიციის იმ ნაწილის მორალური გამარჯვებით, რომელმაც უარი თქვა სადეპუტატო იმუნიტეტზე, საკუთარ უსაფრთხოებასა და მატერიალურ კეთილდღეობაზე, რითაც მაღალი იდეალებისა და ზნეობრივი პრინციპების ერთგულება დაადასტურა. მათმა ამ მაღალზნეობრივმა ნაბიჯმა შესაძლებელი გახადა ქვეყანაში იმ მორალურ-პოლიტიკური „პლაცდარმის" გადარჩენა, რომლის ირგვლივაც უნდა მოხდეს პატრიოტული სულისკვეთების გამომხატველი ჯანსაღი პოლიტიკური ძალების დაჯგუფება და მორალური უმრავლესობის ფორმირება.

ცხადია, მხოლოდ მორალური რესურსი არ არის საკმარისი სააკაშვილის ანტიჰუმანური, ანტიდემოკრატიული, ამორალური რეჟიმის დასამარცხებლად, მაგრამ, ეს არის აუცილებელი წინაპირობა და მყარი საფუძველი ბრძოლის გასაგრძელებლად.

მას შემდეგ, რაც დასრულდება ოპოზიციის კრისტალიზაციის პროცესი და საბოლოოდ გამოირკვევა, თუ ვინ ვინ არის, საჭირო გახდება ქართველი საზოგადოების ჭეშმარიტი მიზნებისა და ამოცანების გამომხატველი ოპოზიციური ძალების კონსოლიდაცია, მათ მიერ საერთო ტაქტიკისა და სტრატეგიის ჩამოყალიბება და პრაქტიკული განხორციელება, რათა სააკაშვილსა და მის „ნაციონალურ მოძრაობას" არ მიეცეთ ქართული ეროვნული და სახელმწიფოებრივი ცხოვრების განადგურების საშუალება.

ამ მხრივ, „ქართული აკადემია" ეფექტიანად მიიჩნევს საზოგადოებისათვის უკვე ცნობილ იდეას „ოპოზიციური პოლიტიკური ცენტრის" შექმნის შესახებ.

ვფიქრობთ, ამგვარ „ოპოზიციურ პოლიტიკურ ცენტრთან" აუცილებლად უნდა ჩამოყალიბდეს საზოგადოებრივი ორგანიზაცია კვალიფიციური იურისტების, ეკონომისტების, პოლიტოლოგების, საზოგადოების თვალში ავტორიტეტული საზოგადო მოღვაწეებისა თუ არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენლებისაგან.

აქ უნდა შეიქმნას ქვეყნის პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო განვითარების კონცეფციები, ჩამოყალიბდეს ძირითადი საგარეო თუ საშინაო ორიენტირები, ნამდვილად დემოკრატიული და არა არჩევნების წინასწარგანზრახული ფალსიფიკაციისათვის შემუშავებული საარჩევნო კოდექსი, შეიქმნას სხვადასხვა მიმართულების სპეციალური კომისიები, ამუშავდეს სახალხო ინიციატივის მექანიზმი და სხვ.

აქვე გამოწვლილვით და მიუკერძოებლად უნდა განიხილებოდეს და გაანალიზდებოდეს ხელისუფლების აღმასრულებელი, საკანონმდებლო თუ სასამართლო შტოების საქმიანობა და ეს ყოველივე წარედგინოს ფართო საზოგადოებას. უნდა შეიქმნას რეგიონალური ცენტრები, რომლებიც უზრუნველყოფენ პროცესში მთელი საქართველოს მოსახლეობის ჩართვას.

ამავე დროს, „ოპოზიციურმა პოლიტიკურმა ცენტრმა" ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისათვის, რომ საერთაშორისო საზოგადოება, საქართველოს მეგობარი ქვეყნები და ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციები დაარწმუნოს დემოკრატიული არჩევანისადმი ერთგულებაში და ევრო-ატლანტიკურ სივრცეში ინტეგრირების მტკიცე სურვილში. ამ თვალსაზრისით, პირველი რიგის ამოცანად მივიჩნევთ დასავლეთის ინტელექტუალურ წრეებთან, პოლიტიკურ ინსტიტუტებსა და მასმედიასთან მჭიდრო კონტაქტების დამყარებას, მათ დაინტერესებას ამ გეოპოლიტიკურად მნიშვნელოვან რეგიონში მიმდინარე დემოკრატიზაციის პროცესით. მათთან თანამშრომლობისა და მათი მხარდაჭერის გარეშე ძალზე გაჭირდება დემოკრატიული მსოფლიოს წინაშე სააკაშვილის რეჟიმის ტოტალიტარული ბუნების წარმოჩენა. მხოლოდ საერთაშორისო მხარდაჭერის პირობებში გახდება შესაძლებელი ავტორიტარული მმართველობის ჩანაცვლება დემოკრატიული წყობისათვის დამახასიათებელი ინსტიტუტებით.

პროცესის მატერიალურ-ფინანსური უზრუნველყოფის მიზნით უნდა შეიქმნას სპეციალური ფონდი, რომელშიც მოხდება შემოწირულებათა აკუმულირება და მიზანმიმართული განკარგვა და სხვ.

ყველა ეს სურვილი თუ განზრახულება სახელდახელოდაა შედგენილი და, ბუნებრივია, მოითხოვს შემდგომ განსჯასა და დამუშავებას. „ქართული აკადემია", თავის მხრივ, გამოთქვამს მზადყოფნას, მონაწილეობა მიიღოს ამ პროცესში, მთელი თავისი ენერგია, ცოდნა და გამოცდილება მოახმაროს სააკაშვილისა და „ნაციონალური მოძრაობის" პოლიტიკური ასპარეზიდან გასტუმრებისა და ამით საქართველოს გადარჩენის სასიცოცხლო მნიშვნელობის საქმეს.

**„ქართული აკადემია"**

სამწუხარო რეალობა

# „ტფილისის ჰამქრის" თავმჯდომარეს ემუქრებიან...

**თბილისზე მზრუნველთა გაერთიანება „ტფილისის ჰამქრის" თავმჯდომარის ალეკო ელისაშვილის ორგანიზებით, მერიის ძველ შენობასთან მცირერიცხოვანი საპროტესტო აქცია გაიმართა. აქციის მონაწილეებმა ლეონიძის ქუჩაზე ისტორიული მნიშვნელობის სახლის დემონტაჟი გააპროტესტეს.** როგორც ცნობილია, სამსართულიანი ისტორიული შენობის ადგილზე შვიდსართულიან შენობას აშენებენ. ყოველივე ამის შემკვეთია შპს „ბიზნესცენტრი". შენობას მრავალფუნქციური საოფისე დანიშნულება ექნება. მასზე ნებართვა გასცა ქალაქ თბილისის მერიის ურბანულმა სამსახურმა, საპროექტო ორგანიზაცია კი შპს „ლებოა", რომელსაც თურმე ამოფარებია გიგა ბოკერიას მამა ლევან ბოკერია, ხოლო სამშენებლო ორგანიზაციის ხელმძღვანელი გივი თარგამაძის ძმა ზაზა თარგამაძეა.

რამდენიმე დღის წინათ ექსპერტმა მაია მანიამ აღნიშნა, რომ ლეონიძის ქუჩაზე არსებულ ისტორიულ შენობას „ნგრევა არ ემუქრება, ახალი შენობის დამკვეთთა ინტერესია მის ადგილზე ახლის აშენება".

„ტფილისის ჰამქრის" თავმჯდომარემ ალეკო ელისაშვილმა განაცხადა: „ეს შენობა დიდად აინტერესებს ბობოლა ხალხს, იგი თავისუფლების მოედანზე ფონს ქმნის. ეს მშენებლობა კანონის დარღვევაა, მაგრამ თარგამაძის ინტერესებში შედის და ძალაუფლებაც მათ აქვთ. მერიას ჰქონდა ინფორმაცია შენობის უმძიმესი მდგომარეობის გამო, მაგრამ ეს მცდარია. შუაზე გახლეჩილ შენობებს ამაგრებენ, ამ შენობის მდგომარეობა კი ნამდვილად არ არის კატასტროფული, მაგრამ არის მოტივი: შვიდსართულიანი სახლის აშენება. ჩემს მიმართ არაერთხელ გაისმა მუქარის ზარი, თუ წყნარად ცხოვრება უნდა, გაჩუმდესო, მაგრამ როგორ გავჩუმდე, როცა ჩემს ქალაქს ანგრევენ. არ ვაპირებ არც გაჩუმებას და არც გაჩერებას.

კულტურის მინისტრს კი მივმართავ – ნუ იმალება ბუჩქებში, გამოვიდეს და თქვას, არის თუ არა ეს შენობა ისტორიული მნიშვნელობისა"... – დაასკვნა ელისაშვილმა.

მართლაც, სამწუხარო რეალობაა. იმის მაგივრად, რომ თბილისის ძველ უბნებს მიენიჭოს ნაკრძალის წოდება, ნგრევა მიმდინარეობს. ჩვენი პრეზიდენტი თავისი გუნდით ევროპისკენ რომ მიისწრაფვის, იმას რატომ ვერ ხედავს, ევროპაში ისტორიულ ნაგებობებს სათუთად რომ უფრთხილდებიან, ჩვენი ხელისუფლება თვალის დაუხამხამებლად სპობს ისტორიულ მემკვიდრეობას.

**მირანდა ფორჩხიძე**

ახალი პროგრამა

# გიორგი გოგუაძე პარლამენტარის ხელფასს საქველმოქმედო ფონდში ჩარიცხავს



**„საქმე ლაპარაკის ნაცვლად" – ამ სლოგანს, რომლის შესრულებასაც ნაციონალური მოძრაობა ქართველ ხალხს ჰპირდებოდა, ისნის მაჟორიტარი დეპუტატი გიორგი გოგუაძე უკვე ახორციელებს.**

პარლამენტის წევრები გიორგი გოგუაძე და ანზორ ერქომაიშვილი ისნის რაიონში მდებარე სკოლა-ინტერნატ „მომავლის სახლს" ეწვივნენ. მათი სტუმრობის მიზეზი ხალხური სიმღერის პედაგოგის თამთა ყიფიანის წარდგენა იყო, ის ინტერნატის აღსაზრდელებს ქართულ ხალხურ სიმღერებს შეასწავლის.

გიორგი გოგუაძის ინიციატივით და „სახალხო ბანკის" დაფინანსებით, ქართული ხალხური სიმღერის პედაგოგებს კიდევ ორმოცდაშვიდ ასეთ სახლში წარგზავნიან.

ანზორ ერქომაიშვილის განცხადებით, აუცილებელია, რომ „მომავლის სახლის" აღსაზრდელებს ქართული ხალხური სიმღერებისა და ტრადიციები შევაყვაროთ. მისი თქმით ეს არის პროექტი, რომელსაც „სახალხო ბანკი" და ახალგაზრდა მომღერალთა და მგალობელთა გუნდი ახორციელებს.

გიორგი გოგუაძემ „მომავლის სახლის" აღსაზრდელებსა და პედაგოგებს ახალი პროგრამაც წარუდგინა, რომელიც ითვალისწინებს ისნის რაიონში საქველმოქმედო ფონდის დაარსებას. ფონდი დაეხმარება არა მარტო სკოლა-ინტერნატს, არამედ ისნის რაიონის მცხოვრებლებს, ჯანდაცვის, განათლების თუ სხვა საკითხების მოსაგვარებლად. გიორგი გოგუაძემ იქვე დასძინა, რომ იგი ყოველთვიურად შეავსებს ფონდის ბიუჯეტს და მთელ თავის ხელფასს ამ ფონდში ჩარიცხავს. დეპუტატმა პროექტის დაფინანსება სხვა ბიზნესმენებსაც მოუწოდა.

„მომავლის სახლში" ახალგაზრდა მომღერალთა და მგალობელთა გუნდმა, ანზორ ერქომაიშვილთან ერთად, შეასრულა „მრავალჟამიერი", რის შემდეგაც გიორგი გოგუაძემ პროექტი გახსნილად გამოაცხადა და კიდევ ერთხელ დასძინა: „საქმე ლაპარაკის ნაცვლად"!

სტუმრებს ბავშვებმა კლასიკური სიმღერებით უმასპინძლეს.

**მერი ქურასბედიანი, თეა ცუცქირიძე**

№ 113. პარასკევი, 20 ივნისი, 2008 წელი.

განსჯა

(მეორე გვერდიდან)

ეს რომ ასე არ იყო, ნამდვილად ვიცოდით, მაგრამ გვინდოდა, რომ ასე ყოფილიყო.

სამწუხაროდ ის, რაც ჩვენ, ანუ საქართველოს მოსახლეობას გვინდოდა, სულაც არ უნდოდათ ოპოზიციურ „ლიდერებს" (2008 წლის ზამთარ-ზაფხულის სეზონებზე სიტყვა „ლიდერიც" არის მოდაში, მაგრამ აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ შემოდგომა-ზამთრის სეზონზე ნამდვილად აღარ იქნება ხმარებაში).

ასე იყო თუ ისე, გაერთიანებული ოპოზიცია დაიშალა.

ციონერებზე არაფერს ვამბობ, რადგანაც ხუთი კაცი 120-ის წინააღმდეგ (იმ ექვს მაყურებელს არ ვთვლი) ვერაფერს ვერ გააკეთებს (ფრაქციასაც კი).

ფრაქციაზე გამახსენდა: იმის გამო, რომ ეს ხუთი კაციც არ „დაეკარგა" (არავისაც არ დაკარგავდა, მაგრამ მაინც, ყოველი შემთხვევისათვის), პარლამენტმა მიიღო ცვლილება, რომლითაც ხუთ დეპუტატს უფლება აქვს გამოვიდეს საკანონმდებლო ინიციატივით.

ეს ცვლილება კიდევ უფრო ამძაფრებს „მარტოხელა მგლების" ამბიციებს „ამომრჩეველთა ნდობის გამართლების ეკ-

უფრო სავარაუდოა, რომ ისინიც მალე დაბრუნდებიან თავიანთ ძველ ოფისში.

კოკა დავითაშვილი კვლავ ორმაგ თამაშს გააგრძელებს. ის მემარჯვენეებთანაც ითანამშრომლებს და საკუთარი პოლიტიკის გატარებასაც შეეცდება. ამჯერად მისთვის საკუთარი პარტიის შენარჩუნებაა მთავარი. იმისათვის რომ „ბორტს მიღმა" უკვე მერამდენედ დარჩენილი ხალხი არ შემოეცალოს, ის მზად იქნება აჰყვეს ახლების „გამაერთიანებლობას" და დაელოდოს იმ დროს, როდესაც საკუთარ თამაშს დაიწყებს.

ანალოგიურად მოიქცევიან

დლის მოკვლა" დააპირა. მას სურდა „ჩაენაცვლებინა" „ხალხის გულების პრეზიდენტი" და გაერთიანებული ოპოზიციისადმი მოსახლეობის დამოკიდებულების ფონზე პარლამენტის თავმჯდომარეობა „დაეთრია". სწორედ ამის გამო ახალმა მემარჯვენეებმა „გულუხვად შესთავაზეს" გაერთიანებულ ოპოზიციას მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და მათთან გაერთიანდნენ.

ახლების ამბიციების პირველი ნიშანი გაერთიანებული

— აგორონ ქუჩის აქციები, დამატებული რესპუბლიკელების საერთაშორისო ურთიერთობები და დამატებული ახლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ამ ხელისუფლებას უეჭველად გადააყენებსო.

ეჰ, ნეტარ არიან მორწმუნენი.

(ისე, ძალიან მაგარი სანახავი იქნება რესპუბლიკელების და ლეიბორისტების თათბირი. მიმიძარავს „შაბათის შოუ"-ძ.

ხელისუფლება კი იმდენად მშვიდადაა, რომ შემოდგომიდან ყველაფერი კვლავ ძვირდება.

# „არალეგიტიმურობის" ზეიმი საქართველოში



ამ დაშლას სხვადასხვა მიზეზით ხსნიან ერთიან საბჭოში დარჩენილი თუ გასული სუბიექტები და საკმაოდ დამაჯერებელი არგუმენტებიც მოჰყავთ, მაგრამ ამ არგუმენტებს უკვე აღარავითარი მნიშვნელობა არა აქვთ. ფაქტი ერთია (თან ძალიან ჯიუტი): საჭიროა ახალი ოპოზიციური ცენტრის შექმნა, საჭიროა ახალი სახეების გამოჩენა, საჭიროა ნამდვილი ოპოზიციის არსებობა. ვიმეორებ: ნამდვილი და არა ზემოთ ნახსენები რომელიღაც ნაკრების ფანკლუბის მსგავსი რაღაც გაერთიანების ჩამოყალიბება.

არადა გულწრფელად რომ ვთქვა, ამ დაშლით ძალიან კარგი რამ მოხდა.

რატომ?

ახლავე აგიხსნით.

დღეს არსებული ოპოზიცია ნელ-ნელა გაქრება. გაქრება რამდენიმე მეტად მარტივი მიზეზის გამო.

პარლამენტში შესულ ოპოზიციონერებს „ბიზნესის" გამო, რომ...

ლიან გზაზე" და ამცირებს ახალი ფრაქციისთვის შექმნის შემთხვევაში ბიუჯეტიდან გასაცემი თანხების რაოდენობას.

რაც შეეხებათ „გარეთ დარჩენილ" ოპოზიციონერებს, მათი საქმე უფრო მარტივადაა.

კოკო გამსახურდია არც პარლამენტში არ შევიდა და არც ერთიანი ეროვნული საბჭოს ნარჩენებთან დარჩა. ის, როგორც ყოველთვის, „მარტოსულია" და საკუთარი იდეები აწუხებს.

ეკა ბესელიას არსად არა აქვს წასასვლელი. ოქრუაშვილის იმიჯმა თავისი საქმე უკვე გააკეთა. რაიმე სხვა პოლიტიკური წონა კი მის პარტიას არ გააჩნია.

სალომე ზურაბიშვილი კვლავ ჩვეულ სტილში გააგრძელებს პარტიულ ცხოვრებას.

რამდენად აიტანენ დავით გამყრელიძის უფროსობას ეროვნული ფორუმის წარმომადგენლები, ძნელი სათქმელია.

კონსერვატორებიც, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ახლებთან კუკავა უფრო აქტიურად ითანამშრომლებს, ხოლო ძიძიგური „საჭირო დროს და საჭირო ადგილას" გამოჩნდება.

რაც შეეხებათ ახალ მემარჯვენეებს:

მათ ძალიან რისკიანი ნაბიჯი გადადგეს საკუთარი ამბიციების დასაკმაყოფილებლად და „ვერ გაარტყეს".

დავით გამყრელიძემ ძალიან კარგად იცოდა, რომ პარლამენტის არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილეობის შემთხვევაში ძალიან მცირე პროცენტს აიღებდა და მაქსიმუმ 5 წევრის შეყვანას მოახერხებდა. ამის დასტური იყო ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობაზე უარის თქმა და პრეზიდენტის არჩევნებში მიღებული შედეგები.

სწორედ ამიტომ მან ძალიან პრაგმატული ნაბიჯი გადადგა და ერთდროულად „ორი კურ-

ოპოზიციის საარჩევნო ბანერზე გამოჩნდა. ლოგოზე №7-ის ქვეშ ფრჩხილებში „მოკრძალებულად" იყო მიწერილი — ეროვნული საბჭო, მემარჯვენეები. ბანერის დიზაინიც „ახლების სტილში" იყო შესრულებული.

იმის გამოცნობა, თუ რამდენად „სიამოვნებდათ" ასეთი სარეკლამო პოლიტიკა ეროვნულ საბჭოში შემავალ სხვა სუბიექტებს, ძნელი არ იქნება.

არჩევნების შემდეგ გაკეთებულმა, ერთმანეთის გამომრიცხავმა განცხადებებმა კი ფაქტობრივად საბოლოოდ არიეს სიტუაცია და იმ ლოგიკურ შედეგამდე მიგვიყვანეს, რაც დღეს გვაქვს.

საზოგადოების იმ ნაწილში, რომელსაც სურს სჯეროდეს ქართული ოპოზიციის ერთიანობისა, გაჩნდა აზრი, რომ ლეიბორისტების გამოცდილებას

მოკლედ რომ ვთქვა, ეს დღევანდელი ოპოზიციონერები ნელ-ნელა გაქრებიან და „ცნობილი სახეებიდან", „ჩვეულებრივ სახეებად" გადაიქცევიან.

სამაგიეროდ განთავისუფლდება ადგილი, რომელიც ახლა მაინც უნდა დაიკავოს ისეთმა ძალამ, რომელიც მართლაც შეძლებს რაღაცის გაკეთებას.

ისევ ევროპის ჩემპიონატს დავუბრუნდები:

რუსეთს და თურქეთს საქართველოში ფანკლუბები არ ჰყავთ. სამაგიეროდ ენერგეტიკა და გენმოდიფიცირებული პომიდორი მაგათ ხელშია (კიტრიც, კვერცხიც და წიწაკაც).

ევროპის ჩემპიონატის ფინალში კი ჰოლანდია და ხორვატია გავლენ.

ო, რას გაიხარებენ ქართველი ჰოლანდიელები და ხორვატები?

**გია გაბრიჭიძე**

გამოხმაურება

# მონანიება ნინოშრად, ანუ მონინოება

**„ევრო-2008"-ს მიეცა ჩემი ცოდვა, რომ გვიან საღამოს იმის გადამკიდეს ბევრი საგულისყურო ტელეგადაცემის გამოტოვება მიწევს. აი თუნდაც ექს-სპიკერი რომ გამოსულა სამაუწყებლო არხის ეკრანზე. მართალია, მეორე დღეს „საინფორმაციო დილიდან" მოწოდებული რეზიუმეთი რაღაცეები შევიტყვე, მაგრამ „დედანი" მაინც სულ სხვაა.**

სათქმელთა და სათქმელთა შორის ქალბატონ ნინოს ისიც უზრძანებია, შარშანდელი 7 ნოემბრის სახელისუფლებო აქცია მძიმე შეცდომა იყოო. ჰაი, ჰაი, რომ ნამდვილად ასე გახლდათ, მაგრამ ამის განცხადება „ყავლგასული" ხომ არ არის ყოფილი მეორე პირისათვის? იმ „ჩამუქებული", ავბედითი დღის ბოლოს რომ გადმომდგარიყო ტელეეკრანიდან, გადაჭრითა და მკაცრად დაეგმო მთავრობის (წაიკითხეთ „პრეზიდენტის"ძ ეს სამარცხვინო ნაბიჯი და მერე იქნებ პოსტიდანაც გადამდგარიყო, სულ სხვა ეფექტს მოახდენდა. ჩემს „რიგით" თვალში, და ალბათ ათასების თვალშიც, პარლამენტის თავმჯდომარე უმალ იქცეოდა ისტორიულ პიროვნებად, გახდებოდა გმირი ქალი.

ყოველთვის დადებითად ვიყავი განწყობილი ამ სიმპათიური, ინტელიგენტური, ინტელექტუალური, გონიერი ქალბატონისადმი, მაგრამ ასევე სულ ვგრძნობდი მის შიშნარევ „დაქვემდებარებას" ქვეყნის პირველ პირთან. არ შეიძლებოდა ნინო ბურჯანაძეს არ დაენახა არაერთი მძიმე შეცდომა, რაც პრეზიდენტს მოსდიოდა, მაგრამ საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების არც ერთ მნიშვნელოვან მომენტში არ გამოუჩენია პრინციპულობა და არ აღუმაღლებია ხმა, წაყრუება არჩია. მაგალითისთვის კმარა თუნდაც მწერალთა სახლის, კომპოზიტორთა სახლის, გამომცემლობა „სამშობლოს" ოკუპაცია ძალოვანთა მხრივ, გინდაც დახურული ტელეკომპანიების გამოუსარჩლებლობა...

ამიტომ მეჩვენება მისი სპიკერობის ხანა უსახურად და დაუმახსოვრებლად. პირადად ჩემთვის „საწუხ არს ესე"...

**ლუკა გორგაძე**

წკეპლიკა

# უკუპროპორციულობა პარლამენტში

**პროპორციულობა-უკუპროპორციულობის არსს გენიალური ისააკ ნიუტონის მსოფლიო მიზიდულობის კანონის მაგალითზე გავიხსენებ მკითხველთან ერთად: ორი სხეული ერთმანეთს იზიდავს ძალით, რომელიც მათი მასების ნამრავლის პირდაპირ პროპორციულია და მათს შორის მანძილის კვადრატის უკუპროპორციულია.**



საბაზრო ეკონომიკის მარტივი დებულებებიც შეიძლება მოვიშველიოთ. გაიზრდება შემოტანილი საზამთროს რაოდენობა, უნდა შემცირდეს ფასი (უკუპროპორციულობაძ; მოიმატებს საწვავის ღირებულება — აიწევს ავტოტრანსპორტით მგზავრობის ღირებულება (პროპორციულობაძ და პირიქით — დაიწევს ბენზინის ფასი, უნდა დაიკლოს მგზავრობის ღირებულებამაც (კვლავ პროპორციულობაძ... სხვათა შორის, „საწვავ-მგზავრობის აწევის" ვარიანტი, დასანანად, უკვე რეალიზებულია ჩვენს მძიმე რეალობაში...

ახლა, როცა რაღაცეები გავიაზრ-„მოვიაზრეთ", პოლიტიკურ ასპექტზე გადავიდეთ. ჩვენისთანა პატარა ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში ხალხის რჩეულთა რიცხვი უსაშველოდ იყო გაბერილი — 235 და სულაც არ შეესაბამებოდა ამრჩევი ხალხის რაოდენობას. ნორმალურ ქვეყნებში დეპუტატთა რიცხვი მოსახლეობის რაოდენობასთანაა შეთანადებული და საილუსტრაციოდ ევროპაში რომ არ ვირბინოთ, აგერ, მეზობელ აზერბაიჯანს „მივაკითხოთ", სადაც მოსახლეობა ლამის ჩვენზე ორჯერ მეტია, მეჯლისში კი, თუ არ მეშლება, ჩვენზე ნაკლები დეპუტატი ჰყავთ.

სახელმწიფოებრივ გონიერებას ხშირად დაგვიანებით მოვუხმობთ ხოლმე. როგორც იქნა, მივხვდით, რად გვინდა ამდენი პარლამენტარიო და 150-ზე ჩამოვიყვანეთ იმათი კორპუსი. აი აქ, ლოგიკითა და, თუ გნებავთ, ზემოთ „გარჩეული" პროპოციულობის მექანიზმით, შესაბამისად უნდა შემცირებულიყო საპარლამენტო ფუნქციონერთა ოდენობა — ვიცე-სპიკერთა, კომიტეტთა თავმჯდომარეების, კომიტეტების თავმჯდომარეთა მოადგილეებისა და პროპორციულობაც ეს იქნებოდა. მოხდა კი პირიქით: გაიზარდა ვიცეთა, კომიტეტთა თავმჯდომარეებისა და მათი მოადგილეების რიცხვები, ეს კი გახლავთ უკუპროპორციულობა.

... ნაძლევს ჩამოვდივარ, რომ შემდეგი მოწვევისათვის ჩავწვდებით ასეთ „უკუობას" და ამ რიცხვებსაც ჩამოვქაჩავთ, თუ, რასაკვირველია, მანამდე ისევ არ გავზარდეთ დეპუტატთა რაოდენობა. არ დაგვავიწყდეს, სასწაულების ქვეყანაში ვცხოვრობთ...

**თამაზ ეზანოიძე**

ინფორმაცია

## მსოფლიოში დევნილთა რაოდენობამ იმატა

**კომისარიატის** ინფორმაციით, მსოფლიოში სულ უფრო იზრდება იმ დევნილთა რაოდენობა, რომლებიც დევნილებად მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში შეიარაღებული კონფლიქტების გამო გახდნენ. გაეროს დევნილთა სააგენტოს ცნობით, 2007 წელს დევნილად იქცა 26 მილიონი მოქალაქე, რომლებსაც საცხოვრებლის შეცვლა კონფლიქტების გამო იმავე ქვეყანაში მოუწიათ, რომელშიც ცხოვრობდნენ.

სააგენტოს მტკიცებით, დევნილთა ნახევარზე მეტ ნაწილს თავის გადარჩენა ერაყსა და ავღანეთში მიმდინარე კონფლიქტებისაგან მოუწიათ. 2 მილიონ ერაყელს საცხოვრებლის მოძებნა სირიასა და იორდანიაში მოუხდათ, 3 მილიონ ავღანელს კი პაკისტანსა და ირანში.

იმავე სააგენტოს ინფორმაციით, უკანასკნელი 5 წლის მანძილზე 4 მილიონი ავღანელი დაუბრუნდა თავის საცხოვრებელ სახლებს, მაგრამ დაბრუნების ტემპებმა უსაფრთხოების პრობლემების გამო იკლო. ჩინოვნიკთა მტკიცებით, დევნილთა მუდმივ საცხოვრებელში დაბრუნების შესახებ სტატისტიკური მონაცემები ხშირ შემთხვევაში არასწორია, ვინაიდან დევნილთა 80% დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში, ან ისტორიულ სამშობლოსთან ახლო ქვეყანაში რჩება.

სააგენტოს ინფორმაციით, 2007 წელს პაკისტანმა 2 მილიონი დევნილი, სირიამ 1,2 დევნილი, ხოლო აშშ-მ 281 ათასი მიიღო. მესამე ქვეყნებში დევნილთა მხოლოდ მესამედი ხვდება. მესამე ქვეყნებში 2007 წელს 49. 000 ათასი დევნილი მოხვდა. უკანასკნელ ათწლეულში კი მესამე ქვეყნებმა სულ 821 ათასი დევნილი მიიღო. იმავე სააგენტოს მტკიცებით, რაც დრო გადის განვითარებადი ქვეყნები, სულ უფრო ნაკლებად უწვდიან დახმარების ხელს დევნილებს.

ინტერპრესნიუსი

სიტუაცია

***ქართული** თუ უცხოური მედიასაშუალებების მიერ ბოლო ხანს გავრცელებულ ზოგ პუბლიკაციაში გაჩნდა მოსაზრება, რომ ცნობილი ბიზნესმენისა და ქველმოქმედის ბადრი პატარკაციშვილის მეუღლეს ინა გუდავაძესა და ბორის ბერეზოვსკის გარკვეული ერთობლივი ინტერესები ამოძრავებთ.*

*ქალბატონი ინა გუდავაძე კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ბადრი პატარკაციშვილის ოჯახს ბორის ბერეზოვსკისთან ყოველგვარი პოლიტიკური, ეკონომიკური თუ ბიზნესკავშირები გაწყვეტილი აქვს.*

*ქალბატონმა ინა გუდავაძემ ოჯახის სახელით განაცხადა:*

# დავა როდემდე?!



## პატარკაციშვილების ოჯახი უარყოფს ბორის ბერეზოვსკისთან ნებისმიერი სახის ინტერესებს

„მსურს, კიდევ ერთხელ დავადასტურო, რომ პატარკაციშვილების ოჯახი არ იზიარებს ბორის ბერეზოვსკის შეხედულებებსა და პირად მისწრაფებებს პოლიტიკასა და ბიზნესთან მიმართებაში და კატეგორიულად ემიჯნება მასთან თანამშრომლობას. ჩვენი ოჯახი არ იმყოფება ბორის ბერეზოვსკისთან რაიმე სახის საქმიან თუ პოლიტიკურ თანამშრომლობაში და არც ესწრაფვის ამგვარი კავშირების დამყარებას. ამის საწინააღმდეგო ნებისმიერი განცხადება ან დასკვნა წარმოადგენს მიზანმიმართულ და მცდარ ინფორმაციას“.

ბორის ბერეზოვსკი და ბადრი პატარკაციშვილი ახლო მეგობრები და ბიზნესპარტნიორები იყვნენ. ცნობილი ფაქტია, რომ 2005 წელს მათ შორის წარმოიშვა მნიშვნელოვანი უთანხმოება ზოგ, განსაკუთრებით კი პოლიტიკასთან დაკავშირებულ საკითხზე. ამის გამო მათ გადაწყვიტეს, სრულად გაემიჯნათ ერთობლივი საქმიანობა ბიზნესისა და სხვა სფეროებში. პარტნიორობის ამგვარი დაშორება განხორციელდა პატარკაციშვილის მიერ ბერეზოვსკისგან აქტივების, აქციებისა და წილების გამოსყიდვით, მათ შორის, ცნობილი რუსული საგამომცემლო სახლის „კომერსანტის“ გაყიდვით. ეს პროცესი ორმხრივი შეთანხმების თანახმად ხორციელდებოდა, რაზეც ბატონებმა პატარკაციშვილმა და ბერეზოვსკიმ 2006 წელს ერთობლივი საჯარო განცხადება გააკეთეს.

სამწუხაროდ, ბადრი პატარკაციშვილის გარდაცვალების შემდეგ მის ოჯახს რამდენჯერმე მოუხდა ბერეზოვსკისთან ურთიერთობის შესახებ ყალბ, მიზანმიმართულ დეზინფორმაციაზე რეაგირება. დღეს ბიზნესმენის ოჯახი, კიდევ ერთხელ უარყოფს მოსაზრებას ბერეზოვსკისთან რაიმე კავშირის ან იურიდიული სახის სავალდებულო ურთიერთობის არსებობის შესახებ – მათ შორის, ბორის ბერეზოვსკის ყოველგვარ საფუძველსმოკლებულ განცხადებას, რომ თითქოს ის ბოლომდე დარჩა ბადრი პატარკაციშვილის ყველა აქტივისა და ინვესტიციის თანამფლობელი.

ბადრი პატარკაციშვილის ოჯახის წევრებსა და მის მრჩეველებს საკმარისი დრო ჰქონდათ, რათა ჯეროვნად განეხილათ ბადრის ქონებასთან დაკავშირებული ყველა სახის ინფორმაცია. შესაბამისად, ოჯახის ადვოკატებმა ბორის ბერეზოვსკის ოფიციალურად შეატყობინეს ოჯახის პოზიცია აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში და კიდევ ერთხელ დაუდასტურეს, რომ ბადრი პატარკაციშვილის ოჯახსა და მას შორის პარტნიორობისა ან სხვა სახის იურიდიული გარიგების საფუძველი და სურვილი არ არსებობს. ადვოკატების განცხადებით – თუ ბორის ბერეზოვსკის მიაჩნია, რომ პატარკაციშვილის ქონებაში რაიმე წილი ეკუთვნის, უფლება აქვს, ამის დასამტკიცებლად სასამართლოს მიმართოს.

ინფორმაცია

## დიმიტრი ლორთქიფანიძე ზურაბიშვილის პარტიის წევრი აღარ არის

**პოლიტიკური** პარტია „საქართველოს გზის“ პრესსამსახური ჟურნალისტებისადმი მიმართვას ავრცელებს.

„საქართველოს გზის“ პრესსამსახურის უფროსის სალომე ჯაჯანაშვილის განცხადებით, მედიასაშუალებებში „საქართველოს გზის“ ყოფილი წევრი დიმიტრი ლორთქიფანიძე მოიხსენიება როგორც „საქართველოს გზის“ წევრი, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება.

– ამ ბოლო დროს სატელევიზიო სიუჟეტებსა და საგაზეთო სტატიებში დიმიტრი ლორთქიფანიძე, რომელიც პარლამენტში შევიდა, მოიხსენიება, როგორც პარტია „საქართველოს გზის“ წევრი და სალომე ზურაბიშვილის წარმომადგენელი, გთხოვთ შეიტანოთ შესწორება, ვინაიდან დიმიტრი ლორთქიფანიძე აღარ არის პარტიის წევრი, მან წერილობით მიმართა პარტიის პოლიტსაბჭოს 27 მაისს, რის შემდეგაც დაკმაყოფილებული იქნა მისი მიმართვა, დიმიტრი ლორთქიფანიძე გაირიცხა პარტიის რიგებიდან, – ნათქვამია მიმართვაში.

ჯი-ეიჩ-ენი

განხილვა

**...ამ დასკვნამდე მივიდნენ შეკრებილნი, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს საქართველოში ფრიდრიხ ებერტის ფონდის წარმომადგენლობის ოფისში გამართულ დისკუსიაში თემაზე: „ეკონომიკური ფაქტორების გაძლიერება და საქმიანი ურთიერთობების ლეგალიზება-განვითარება აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების უმთავრეს საშუალებად უნდა იქცეს“.**

## ინდუსტრიულ ზონებში საქმიანი ურთიერთობების განმტკიცება სასურველ შედეგებს მოგვიტანს აფხაზეთში...

დისკუსია გახსნა საქართველოში ფრიდრიხ ებერტის ფონდის წარმომადგენლობის დირექტორმა ია თიკანაძემ.

– ჩვენი ორგანიზაცია პოლიტიკურ-საზოგადოებრივი ფონდია, რომელიც 1994 წლიდან საქმიანობს საქართველოში, – განაცხადა მან. – როდესაც საქართველოში ჩვენი წარმომადგენლობა გაიხსნა, გადავწყვიტეთ გვეთანამშრომლა კონკრეტულ პირებთან, რომლებიც წარმოადგენდნენ სხვადასხვა პოლიტიკურ გაერთიანებას, არასამთავრობო ორგანიზაციას, მათ შორის სამთავრობო სტრუქტურასაც. ჩვენი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია ხელი შევუწყოთ კონფლიქტის მოწესრიგებას და ურთიერთობების აღდგენას აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში, – თქვა მან.




შემდეგ მოხსენებით გამოვიდა ამ შეხვედრის ორგანიზატორი, ასოციაცია „მშვიდობიანი და საქმიანი კავკასიის“ თავმჯდომარე ალუ გამახარია. მან და დისკუსიის სხვა მონაწილეებმა ყურადღება გაამახვილეს ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში თავისუფალი ინდუსტრიული ზონის ჩამოყალიბების იდეის განხორციელებაზე.

თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ საქართველოს კანონის გათვალისწინებით წინასწარ განიხილება ენგურსგაღმა მდებარე, მაგრამ ზუგდიდის რაიონში შემავალ სოფელ ხურჩაში ერთი პილოტური თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნის იდეა. ნაკლებად პოლიტიზებული, ნდობის აღდგენისა და დაახლოებისკენ მიმართული, ქართულ-აფხაზური ლეგალური საქმიანი ურთიერთობების განვითარების მიზნით, გარკვეული კონსულტაციებისა და შესაძლო დაფინანსების სავარაუდო წყაროების შესახებ ინფორმაციის მოძიების დაწყებისთანავე გამოიკვეთა ხურჩაში ისეთი პილოტური თავისუფალი ინდუსტრიული ზონის ჩამოყალიბების იდეა, სადაც მიზანშეწონილია გათვალისწინებულ იქნეს: საშენი მასალების წარმოება; აგროსამრეწველო ფირმების, გადამამუშავებელი საწარმოების შექმნა, რომლებიც იმუშავებენ აფხაზეთსა და სამეგრელოში არსებულ ნედლეულზე; ტურისტულ-რეკრეაციული ზონების შექმნა სასპორტო, დასასვენებელი და გასართობი ბიზნესით; ძლიერი საკონსულტაციო ინფორმაციულ-მარკეტინგული ცენტრის შექმნა უნივერსალური საბითუმო-სავაჭრო ბაზრით და სათანადო სასაწყობო მეურნეობით; საიმედო საბანკო-საფინანსო, საფოსტო და სატრანსპორტო მომსახურების უზრუნველყოფა; მოგებაზე ორიენტირებული ექსტერნული სამედიცინო დახმარების ძლიერი ცენტრის შექმნა თანამედროვე დიაგნოსტიკური და სამკურნალო განყოფილებებით; სათანადო ინფრასტრუქტურის შექმნა (საინჟინრო კომუნიკაციები, ენერგოუზრუნველყოფაძ.

ეს პატარა სოფელი (მდინარე ენგურზეძ უშუალოდ ესაზღვრება გალის რაიონის სოფელ ნაბაკევს (მათ ცენტრებს შორის მანძილი მხოლოდ 600 მეტრიაძ და აქვს იმის ყველა პირობა, რომ იქ შექმნას თავისუფალი ინდუსტრიული ზონა, რომელიც მაღალპროფესიული სამედიცინო მომსახურებითა და კარგად აწყობილი ლეგალური ბიზნესით მიიზიდავს აფხაზებს. თანდათან ეს ადგილი გახდება მშვიდობისა და საქმიანი ურთიერთობების ოაზისი, კონფლიქტის პოზიტიური ტრანსფორმაციის გზამკვლევი.

გამოიკვეთა ლეგალური ბიზნესურთიერთობების განვითარებისა და სხვა საინტერესო სამომავლო გეგმების განხორციელებისთვის ხელშემშლელი პრობლემები და ბარიერები, რომლებიც ხელს უშლიან საქმიანობას, დადგინდა გადასაწყვეტი პრობლემების თანამიმდევრობა.

**მურად ალაშვილი,**
**ავტორის ფოტო**

ექსპერტი

# დიმიტრი ტრენინი:
# მოსკოვს თბილისთან პირისპირ საუბარი სურს



***რუსეთ-საქართველოს** გართულებულ ურთიერთობებზე, საქართველოს ნატოში გაწევრიანების მცდელობის ფონზე აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების მოგვარებაში ევროკავშირის სავარაუდო მონაწილეობის პერსპექტივაზე „ინტერპრესნიუსი" მოსკოვის კარნეგის ცენტრის წამყვან სპეციალისტს, ცნობილ ექსპერტს **დიმიტრი ტრენინს** ესაუბრა.*

*დამოუკიდებელ ექსპერტად აღიარებული დიმიტრი ტრენინი, პრაქტიკულად, იზიარებს აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან და საქართველოს ნატოში გაწევრიანების პერსპექტივასთან დაკავშირებით კრემლის ოფიციალურ პოზიციას.*

*ტრენინის მტკიცებით, რუსეთმა საქართველო ნატოში გაწევრიანებასთან დაკავშირებით, მკაცრი არჩევანის წინაშე დააყენა — იმ შემთხვევაში თუ საქართველო უარს არ იტყვის ჩრდილოატლანტიკურ არჩევანზე, იგი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს დაკარგავს. „რუსეთი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ფასად ნატოზე უარის თქმასა და მის ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის სამხედრო ძალების განლაგებაზე უარის თქმას სთავაზობს".*

**— ბატონო დიმიტრი, თქვენი ინფორმაციით, რა რეკომენდაციებს ამზადებს რუსეთის ფედერაციის საბჭო კრემლისათვის აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით? თბილისში გარკვეული პოლიტიკური წრეები არ გამორიცხავენ, რომ ფედერაციის საბჭო რუსეთის მთავრობას აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებას ურჩევს.**

— არა მგონია, რომ ფედერაციის საბჭომ რეკომენდაცია შეიმუშაოს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ. ახლა ამგვარი რეკომენდაციის შემუშავება არ შეესაბამება რუსეთის საგარეო პოლიტიკის ამოცანებს. ასე, რომ ამის შესახებ ხმაურიანი განცხადებები მხოლოდ პროპაგანდისტულ ხასიათს ატარებენ.

**— რუსეთის წარმომადგენელი ნატოში დიმიტრი როგოზინი დასავლეთს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში ჩარევას არ ურჩევს. თქვენი აზრით, როგოზინმა თავისი აზრი გამოთქვა თუ კრემლის პოზიცია გაახმოვანა?**

— ჩემი აზრით, როგოზინმა ყურადღება გაამახვილა იმაზე, რაზეც სანკტ-პეტერბურგში პრეზიდენტმა მედვედევმა განაცხადა. მედვედევმა სააკაშვილს ორმხრივი მოლაპარაკებებისაკენ მოუწოდა. როგოზინმა პრაქტიკულად გაიმეორა ის, რაც პრეზიდენტმა თქვა.

**— რუსეთ-საქართველოს გართულებული ურთიერთობებისა და დასავლეთის გააქტიურების ფონზე რუსეთი ცდილობს, აიცდინოს აფხაზეთის ანექსატორის ბრალდებები, პარალელურად სურს დარჩეს კონფლიქტებში შუამავალი, ან საქართველოში ვითარება არიოს. თქვენი აზრით, ამ ამოცანათაგან რუსეთი რომლის შესრულებას შეძლებს?**

— ჩემთვის ძნელია ამაზე საუბარი. შემიძლია გითხრათ ის, თუ როგორ ვხედავ მე დღეისათვის საქართველოსთან მიმართებაში რუსეთის პოზიციას.

რუსეთი საქართველოს მკაცრი არჩევანის წინაშე აყენებს — უარი თქვას ნატოში შესვლაზე, რომლის შემდეგაც რუსეთი საქართველოს ხელს შეუწყობს ფართო ავტონომიის უფლებებით შემოიერთოს აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი.

რუსეთი საქართველოს, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ფასად, ნატოში გაწევრიანებაზე და მის ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის სამხედრო ძალების განლაგებაზე უარის თქმას სთავაზობს.

თუ საქართველო მოსკოვის ამ წინადადებაზე უარს იტყვის და ნატოსკენ სწრაფვას გააგრძელებს, საქართველო აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს დაკარგავს. მე ვიცი, რომ მოსკოვის ამგვარი პოზიცია ძალიან უხეშია, მაგრამ მე საქართველოს მიმართ რუსეთის დღევანდელ პოზიციას ასეთ ინტერპრეტირებას გავუკეთებდი.

გარდა ამისა, მოსკოვს თბილისთან საუბარი პირისპირ, აშშ-სა და ევროპის გარეშე სურს, ამიტომ რუსეთი არ არის დაინტერესებული ქართულ-რუსულ ურთიერთობებში აშშ-სა და ევროპის მონაწილეობით.

**— ვითარებაში, როცა საქართველო მოსკოვთან პირისპირ საუბრობდა, მოსკოვმა საქართველოს აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი ჩამოაშორა. გარდა ამისა, ქართულმა მხარემ უკვე განაცხადა, რომ იგი მზადაა ხელი მოაწეროს ხელშეკრულებას საომარი მოქმედებების განუახლებლობის შესახებ, თუ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის გარანტად რუსეთის ნაცვლად ევროკავშირი იქნება. თქვენი აზრით, რამდენად შესაძლებელია ევროკავშირის ეგიდით ომის განუახლებლობის შესახებ ხელშეკრულების გაფორმება, რომლის ხელმოუწერლობასაც მოსკოვი თბილისს პრაქტიკულად ყოველდღე საყვედურობს?**

— მე ასე ვიტყოდი, გეგმები, რომლებიც რუსეთის ინტერესებს ეწინააღმდეგება, კრემლის მხარდაჭერას ვერ ჰპოვებს. იმის გათვალისწინებით, რომ აფხაზეთის ხელისუფლება მოსკოვზეა დამოკიდებული, აფხაზეთი ამ გეგმის განხორციელებაზე უარს იტყვის.

**— თქვენ თქვით, რომ იმ შემთხვევაში თუ თბილისი უარს არ იტყვის ნატოში შესვლაზე, საქართველო აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს დაკარგავს. თქვენ არ გამორიცხავთ რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებას?**

— ამ ეტაპზე რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარებას გამოვრიცხავ. რუსეთისთვის ეს არის უკანასკნელი იარაღი საქართველოს წინააღმდეგ და როგორც ყველა უკანასკნელი იარაღი, იგი მხოლოდ თამაშის ბოლოს იქნება გამოყენებული. ჩემი წარმოდგენით, თამაში საკმაოდ გრძელვადიანია. იმ შემთხვევაშიც კი, თუ საქართველომ MAP-ი მიიღო, ეს კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ საქართველო ნატო-ში ხელად შევა, ამას საკმაოდ ბევრი დრო დასჭირდება.

ამასობაში, რუსეთში შეიძლება ყველაფერი მოხდეს. პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწეები ყოველთვის ლოგიკის შესაბამისად არ მოქმედებენ. ჩემი ვარაუდით, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარების კარტს რუსეთი ბოლომდე არ გამოიყენებს, მაგრამ ამავე კარტით ხშირად ისარგებლებს. საქმე ის არის, რომ ეს ერთადერთი ზეწოლის მექანიზმია, რომელიც რუსეთმა საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ შეიძლება გამოიყენოს. თბილისზე ზეწოლის სხვა იარაღი რუსეთს პრაქტიკულად არა აქვს.

ვვარაუდობ, რომ რუსეთის ხელმძღვანელობა ემოციებს არ აჰყვება და საქართველოს წინააღმდეგ მის ხელთ არსებულ იარაღს მხოლოდ ბოლო მომენტში გამოიყენებს.

**— აფხაზეთში ისეთი ვითარებაა, პრაქტიკულად არავითარი მნიშვნელობა არა აქვს აღიარებს თუ არა რუსეთი აფხაზეთს. სახეზეა რუსეთის მიერ აფხაზეთის ეკონომიკური ანექსია.**

— ეს ხომ ახლა, 2008 წლის აპრილში არ მომხდარა. ეს უკანასკნელი წლების განმავლობაში ხდებოდა. საქართველოს ხელისუფლებამ კარგად იცოდა, რომ აფხაზეთი მოსკოვისაგან ეკონომიკურ მხარდაჭერას იღებდა. სხვა საკითხია, რა გზებით და როგორ. ახლა აფხაზეთში ხდება ის, რაც აქამდე ხდებოდა, ეტყობა უბრალოდ აფხაზეთში რუსული კაპიტალის დაბანდების ტემპებმა საგრძნობლად იმატა.

**— ფაქტია, რომ წვრილი, საშუალო და მსხვილი ბიზნესით ძირითადად აფხაზეთში რუსეთის ფედერაციიდან ჩასული მოქალაქეები არიან დაკავებული. თუ თბილისმა მოსკოვის თამაშის პირობები მიიღო, რა ბედი ეწევათ რუსეთის იმ მოქალაქეებს, რომლებმაც აფხაზეთში ბიზნესი წამოიწყეს? ყველა რუსული ფსბ-ს თანამშრომელი ხომ არ იქნება, რომ რუსეთმა ისინი აფხაზეთიდან გაიწვიოს?**

— აფხაზეთიდან თუ ვინმეს გამოწვევაა შესაძლებელი, ეს სარკინიგზო ჯარებია. დანარჩენები ხომ რუსეთის მოქალაქეებია, აფხაზეთში მცხოვრებლებიც და რუსეთიდან იქ ჩასულებიც რუსეთის მოქალაქეები არიან და იქ უნდა დარჩნენ.

აფხაზეთი პატარა ქვეყანაა და არა მგონია, რომ აფხაზეთში რუსეთის იმდენი მოქალაქე იყოს ჩასული, როგორც ამბობენ. ისე, გეთანხმებით, რომ ეს სერიოზული პრობლემაა.

რაც სამწუხაროც არ უნდა იყოს, საქართველო რთულ და მკაცრ სიტუაციაშია ჩაყენებული. საქართველოს სერიოზული არჩევანის გაკეთება მოუწევს: ან ნატოზე უარის თქმა, ან ტერიტორიული მთლიანობის დათმობა.

**— ქართული ჯარი კარგა ხანია ნატოს სტანდარტებს ითვისებს და ძნელად წარმოსადგენია, რომ ქართულმა მხარემ ჩრდილოატლანტიკურ არჩევანზე უარი თქვას.**

— ნატოს სტანდარტები სხვაა და ნატოს წევრობა სხვა. ჩემი აზრით, ყველა ქვეყანა, რომელიც დიდი სახელმწიფოს მეზობელია და სამხედრო ორგანიზაციაში გაწევრიანების კურსს იღებს, რომელსაც დიდი მეზობელი სახელმწიფო მტრულ ორგანიზაციად განიხილავს, ძალიან სარისკო თამაშს ეწევა. ეს ეხება კუბას, საქართველოსაც და ზოგიერთ სხვა სახელმწიფოსაც. სამწუხაროდ, ეს საერთაშორისო ურთიერთობების კანონია.

ამიტომაა, რომ კურსის შერჩევისას გასათვალისწინებელია ის რისკები, რომელიც ამა თუ იმ კურსის განსაზღვრას შეიძლება მოჰყვეს. უნდა იცოდე, რა ფასის გადახდა მოგიწევს ამა თუ იმ კურსის შერჩევისას. კუბა დღემდე იძულებულია შეეგუოს იმას, რომ მის ტერიტორიაზე ამერიკელი სამხედროები არიან განლაგებული. ასეთია თანამედროვე მსოფლიოს ცხოვრების წესი და ამას ვერავინ გაექცევა. უბრალოდ, კარგად უნდა გვესმოდეს, სად ვიმყოფებით.

**— მოგეხსენებათ, საქართველო ევროპისკენ ისწრაფვის. ამ ფონზე საქართველოს რუსეთის ფარვატერში დაბრუნება წარმოუდგენლად მეჩვენება.**

— მე არ ვფიქრობ, რომ რუსეთი ცდილობს საქართველოს თავის ფარვატერში დაბრუნებას. ჩემი აზრით, საქართველოს მიმართ რუსეთის პოლიტიკა ასეთია: — რუსეთს სურს თავისი საზღვრების პერიმეტრზე შექმნას ისეთი ქვეყნების ჯაჭვი როგორიც ფინეთია. ამ ჯაჭვში დამოუკიდებელი და ნეიტრალური უკრაინა და საქართველო რუსეთისათვის მისაღები ვარიანტია.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საქართველოს ექნება მჭიდრო კავშირი დასავლეთთან, ის არ იქნება რუსეთზე ორიენტირებული, ის ევროპაზე და ევროკავშირზე იქნება ორიენტირებული, რომლის წევრი პერსპექტივაშიც გახდება. მაგრამ იმავდროულად, საქართველო ითვალისწინებს თავის გეოპოლიტიკურ მდებარეობას და რჩება ნეიტრალურ სახელმწიფოდ. მე ვხედავ, რომ საქართველოს მიმართ კრემლში ასეთი ლოგიკით ხელმძღვანელობენ.

**— შეგახსენებთ, რომ 1918-1921 წლების დამოუკიდებელი საქართველო ნეიტრალური სახელმწიფო იყო, როცა წითელმა არმიამ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების ექსპორტი განახორციელა. საქართველოში ნეიტრალიტეტზე ყოველგვარი საუბარი არაპოპულარული, მიუღებელია და იგი შიშს იწვევს.**

— მე კარგად მესმის რასაც ამბობთ. ისტორიას ჩვენც ვსწავლობთ. საქართველოს შეუძლია გახდეს ნატოს წევრი, თუ იგი დაარწმუნებს ალიანსის წევრებს, რომ მისი ნატოში გაწევრიანება დასავლეთს რუსეთთან ომამდე არ მიიყვანს. ამასთან ნატოში საქართველოს გაწევრიანების შემთხვევაში, მე ვერ ვხედავ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის იმ საზღვრებში აღდგენის შესაძლებლობას, როგორშიც იგი საბჭოთა კავშირის დროს იყო.

პრობლემა ისაა, რომ ისევე როგორც თბილისის ხელისუფლება არ ენდობა კრემლს, კრემლშიც არ ენდობიან საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებას. საქართველოს ნატოში გაწევრიანება იმიტომ შეუძლია, რომ საქართველოს პოლიტელიტა და საზოგადოება რუსეთს იმ მტრად მიიჩნევს, რომლისგანაც თავი უნდა დაიცვას.

**— ეს რომ ასეა, ამას თავისი საფუძველი აქვს. საქართველოში ძნელად თუ მოძებნით ადამიანს და დასავლეთში დიპლომატსა თუ ექსპერტს, ვისაც სჯერა, რომ საქართველო აფხაზებმა დაამარცხეს და დარწმუნებული არაა, რომ დღესაც სოხუმისა და ცხინვალის ხელისუფლებებს რუსეთი არ იცავს.**

— ის, რომ საქართველოს ნატოში შესვლა სურს, ამ აზრის მიუხედავად, რუსეთს შეუძლია ცხოვრება, მაგრამ საქართველოს ნატოში გაწევრების შემთხვევაში რუსეთი საქართველოს აფხაზეთს არასოდეს დაუბრუნებს. არა მგონია, რომ აფხაზებმა ოდესმე მოინდომონ საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნება.

რუსეთი აფხაზეთში საომარ მოქმედებებს არ აპირებს, მაგრამ საქართველოს ნატოში შესვლის შემთხვევაში მოუწევს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გარეშე თავისი საზღვრების აღიარება.

მე ნაკლებად სავარაუდოდ მივიჩნევ საქართველოს ნატოში გაწევრიანების პერსპექტივას, მაგრამ შემიძლია წარმოვიდგინო ნატოს წევრი საქართველო, რომელიც ნებაყოფლობით იტყვის უარს აფხაზეთზე და სამხრეთ ოსეთზე, რომელიც ნორმალურ ურთიერთობებს დაამყარებს რუსეთთან და დამოუკიდებელ აფხაზეთის სახელმწიფოსთან.

**კობა ბენდელიანი**

ინფორმაცია

## საქართველოში ნატოს გენერალური მდივნის თანაშემწე

**საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგოლ ვაშაძე ნატოს გენერალური მდივნის თანაშემწის მოადგილეს გენერალ ჰაინრიხ ბრაუსს შეხვდა.**

**შეხვედრისას მხარეებმა განიხილეს საქართველოს ნატოში ინტეგრაციის მნიშვნელოვანი ასპექტები, საქართველო-რუსეთის ურთიერთობები და კონფლიქტების მოგვარების პროცესის მიმდინარეობასთან დაკავშირებული საკითხები.**

**საუბარი შეეხო საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში მიმდინარე რეფორმას, ამ კუთხით ნატოსთან სრული თავსებადობის მიღწევის პერსპექტივებს.**

**საქართველოში ვიზიტისას გენერალი ბრაუსი შეხვედრებს გამართავს საქართველოს თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების წარმომადგენლებთან.**

## შეხვედრა ლიტვის მხარის თხოვნით

**საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგოლ ვაშაძე საქართველოში ლიტვის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს რიჩარდას დეგუტისს შეხვდა. შეხვედრა ლიტვის მხარის თხოვნით გაიმართა.**

**მხარეებმა საქართველოსა და ლიტვის რესპუბლიკას შორის არსებული ორმხრივი ურთიერთობების აქტუალური საკითხები და კონფლიქტურ რეგიონებში ბოლო დროს განვითარებული მოვლენები განიხილეს.**

**ინტერპრესნიუსი**

სათქმელი

# სინამდვილე – მარადიული სიახლე!

## სტუმრად მწერალ თამაზ ჭილაძესთან



***თბილისში, ჩიქოვანის (ყოფილი ხილიანის) 22-ში უკვე კარგა ხანია, ერთ ჭერქვეშ ცხოვრობს ქართული მწერლობის ორი პატრიარქი, – ძმები თამაზ და ოთარ ჭილაძეები.***

***ბატონ თამაზს, ჟურნალ „მნათობის“ მთავარ რედაქტორს, ქართველი მკითხველი იცნობს როგორც ერთ-ერთ თვალსაჩინო რომანისტსა და პოეტს, დრამატურგსა და ესეისტს, რომლის მახვილი თვალიც ყოველთვის იმას ხედავს, რაც ქვეყანას დროისეულ სატკივრად ჰქცევია.***

***ჩვენი საუბარიც ბატონ თამაზ ჭილაძესთან ჩვენი შეჭირვებული ქვეყნის ზოგიერთ ამ სატკივარს ეხება.***

**– ბატონო თამაზ, უამრავი სიახლის, უამრავი ახალი მოვლენის მოწმენი ვართ, მაგრამ, ჩემი აზრით, მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი „ახალი ადამიანის“ ცნებაა, თქვენ რას ფიქრობთ ამის შესახებ?**

– სიმართლე რომ გითხრათ, არ ვიცი, რას ნიშნავს ეს ცნება, ვინ არის, რას წარმოადგენს „ახალი ადამიანი“, არსებობს თუ არა საერთოდ, რადგან ყველასთვის ერთნაირად სავალდებულო, სტანდარტული „უნარ-ჩვევების“ დაზეპირება სრულებითაც არ ნიშნავს, ,რომ შენ „ახალი ადამიანი“ ხარ. არ მჯერა, ასეთი რამ საერთოდ თუა შესაძლებელი, თუმცა, რასაკვირველია, ვიცი, ამის სერიოზული ცდები ადრეც, არცთუ ისე შორეულ წარსულში, სხვაგანაც იყო. „ადამიანის სულის ინჟინრობის“ სიკეთე კაცობრიობამ საკუთარ თავზე გამოსცადა, ალბათ მსგავს შეცდომას აღარ გაიმეორებს, მიუხედავად იმისა, რომ კაცობრიობა თავის შეცდომებს რატომღაც ძალიან ადვილად ივიწყებს.

**– თქვენ ფიქრობთ, რომ ჩვენში ამის, ანუ „ახალი ადამიანის“ მოვლინების ცდაც კი არ შეინიშნება?**

– როგორ არა, რასაკვირველია, შეინიშნება. ჩვენში იმდენად ძლიერია გლობალიზაციის მომხრეთა ფრთა, რომ შეიძლება ისიც კი იფიქრო – მსოფლიოში ერთადერთი ქვეყანა ვართ, რომელიც გლობალიზაციის დამკვიდრებას თვითონ უწყობს ხელს. აშკარად ნაჩქარევი, ბოლომდე გაუაზრებელი რეფორმები, თუნდაც განათლების სფეროში, ამაზე მეტყველებს. ხდება უცნაური რამ: ევროპისა და ამერიკის მიბაძვით შექმნილი ჩვენი რეფორმები, თავიანთი შედეგით, სწორედ ევროპასა და ამერიკას უპირისპირდება, თუნდაც იმით, რომ იქ არ ზღუდავენ საკუთარი ისტორიის სწავლებას, არ უპირისპირდებიან საკუთარ ეროვნულ თავისებურებებს, ანუ აშკარად იბრძვიან საკუთარი რაობის გადარჩენისთვის.

გლობალიზაცია, უპირველეს ყოვლისა, ჩვენს ემოციებზე ნადირობს, თუკი რაიმე უშლის ხელს მის თითქმის მექანიკურ ანუ უგონო სწრაფვას საერთო ერთფეროვნებისკენ (უპირველეს ყოვლისა, სულიერების სფეროში), ანუ „ახალი ადამიანის“ შექმნისკენ, ეს ადამიანური გრძნობებია: თუნდაც სიყვარული, სიბრალული, თანაგრძნობა, ყველას ვერ ჩამოვთვლი – სიძულვილიც კი! ფრანგი კომედიოგრაფის ანდრე რუსენის ერთ-ერთ პიესაში ამბობენ: ცივილიზაცია იმისთვის იყო საჭირო, რომ ადამიანში მოეკლა ადამიანურიო.

ადამიანის, როგორც მოაზროვნე არსების, შეცვლა შეუძლებელია. ამ შემთხვევაში, არ არსებობს უკეთესის და უარესის ცნებები. ახალმოვლენილი ლისენკოების გარჯა ადამიანის გენეტიკური კოდის შესაცვლელად, რა თქმა უნდა, ამაოა, მაგრამ რატომ უნდა გაჩენილიყო ჩვენს სინამდვილეში ამის სურვილი, აი, ეს არის საკითხავი.

არსებობს დიადი, ღვთაებრივი ლოგიკა – უცვლელი ცვალებადობა. განა, მართლაც, ჩვენი დიდი მასწავლებლის – ბუნების – მარადიული ერთფეროვნება (წელიწადის ოთხი დრო, მზის ამოსვლა, ჩასვლა...) ასევე მარადიული სიახლე არ არის? სინამდვილის, როგორც მარდიული სიახლის განცდა არის ერთგვარი პირობა იმ უკვდავი ერთფეროვნებისა, რასაც ადამიანთა ცხოვრება ჰქვია.

ადამიანი კი არ იცვლება, არამედ ცივილიზაციის განვითარების ახალ-ახალ ეტაპზე ერთი შეხედვით მოულოდნელ თვისებებს ავლენს, ამჟღავნებს. ადამიანის არსების წიაღში უამრავი უცნობი რამ ინახება. ხდება თანდათანობითი გამომზეურება ადამიანის არსების საიდუმლო, ულევი საგანძურისა. სწორედ ასეთი ცვლილებებისა და მოულოდნელი გამონათებების შემჩნევა და აღნუსხვაა მწერლობა, საერთოდ, ხელოვნება, რომლის მეშვეობითაც ყველა ახალი სიახლე მარადიული ხდება. ამდენად, ადამიანი მარადიული გამოცანაა და კიდევ კარგი, რომ ასეა. „ახალი ადამიანის“ შექმნის ცდაც ამიტომ არის არა მარტო სახიფათო, არამედ, საბედნიეროდ, ამაოც!..

**– როგორ ფიქრობთ, რამდენად სწორია, როცა ზოგიერთი ჩვენგანი ტრადიციების გადასინჯვას მოითხოვს, უფრო მეტიც – ზოგიერთ ტრადიციას „კომუნისტურ გადმონაშთად“ მოიხსენიებს. რა არის ეს – ქარის წისქვილებთან ბრძოლა, თუ კუდიანებზე ნადირობა? საერთოდ, არსებობს თუ არა ჩვენს სინამდვილეში კომუნისტური გადმონაშთები?**

– ქარის წისქვილთან ბრძოლა ღიმილს იწვევს, კუდიანებზე ნადირობა კი – შეშფოთებას, ანუ არც ერთია კარგი და არც მეორე. რაც შეეხება კომუნისტურ გადმონაშთებს, რა თქმა უნდა, ჩვენს სინამდვილეში არსებობს ასეთი რამ და თანაც მრავლად. წარსული უცებ არ თავდება, დიდი ხნის განმავლობაში მოგვყვება თანამგზავრივით, ზოგჯერ მართავს კიდეც ჩვენს ცხოვრებას. გააჩნია, როგორ ცხოვრობ: წარსულით თუ წარსულთან ერთად...

**– შეიძლება თუ არა ტრადიცია კომუნისტურ გადმონაშთად მივიჩნიოთ?**

– ტრადიციას გააჩნია. არსებობს კარგი და ცუდი ტრადიციები. ხალხის ცხოვრება მარტო კარგი ტრადიციებით არ იქმნება, მაგრამ მნიშვნელობა ენიჭება იმას, როგორი ტრადიციები წარმართავენ ჩვენს ცხოვრებას. ზოგიერთი დამპყრობელი, ზოგიერთი კი არა ყველა – არაბი, მონღოლი, სპარსი, თურქი, რუსი – იმდენ ხანს იყო ჩვენში, რომ ბევრი მისი ცუდი თვისება თუ ჩვევა თანდათანობით ტრადიციად ჩამოყალიბდა, რომელსაც რატომღაც უკვე ჩვენად მივიჩნევთ, არადა, სინამდვილეში ოკუპანტის დანატოვარია. როგორმე უნდა შევძლოთ ავისა და კარგის გარჩევა. ამასთანავე, ალბათ ისიც უნდა ითქვას, რომ არც ერთ მავნე ტრადიციას ჩვენი ცხოვრების ძირითადი წესი არ შეუცვლია.

**– რა იყო ამის მიზეზი?**

– უპირველეს ყოვლისა, მძლავრი კულტურული ინერცია, აუცილებელი ერის ნორმალური განვითარებისთვის. ამ შემთხვევაში, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება კულტურულ-ისტორიულ მემკვიდრეობას. ჩვენ, ამ თვალსაზრისით, უმდიდრესი წარსულიდან მოვდივართ. ეს, თუ შეიძლება ითქვას, ცოცხალი, მე ვიტყოდი – უკვდავი წარსულია. უწარსულოდ სამშობლოს ცნება არ არსებობს, წარსულით სიამაყე ამძაფრებს სამშობლოს სიყვარულს, ასე აუცილებელს ჩვენთვის და ასე ზედმეტს „ახალი ადამიანისთვის“! ამასთანავე, ჩვენ მკვდარი ერი არა ვართ, მარტო წარსულს რომ დავჯერდეთ. ღირსეულ მომავალზე ოცნებამ მოგვიყვანა აქამდე და დღესაც ღირსეულ მომავალზე ვოცნებობთ. ჩვენი მატიანე ჯერ კიდევ იწერება. ამიტომაც, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ტრადიციებთან დამოკიდებულებას, როგორც ვთქვი, კარგისა და ავის გარჩევას, რაც უფრო დიდი წარსულის მემკვიდრეებად მივიჩნევთ თავს (და სამართლიანადაც!), მით უფრო უნდა ვერიდოთ საკუთარი ისტორია მითოლოგიად არ გადავაქციოთ, რადგან ილუზიების ბურუსში მომავლის ნამდვილ სახეს ვერ დავინახავთ.

ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს კრიტიკული პათოსი საერთოდ არ გაგვაჩნდეს, რასაც ხშირად აბსურდამდეც კი მივყავართ ხოლმე. ახლახან ტელევიზორიდან შევიტყვე, თურმე ორი დედაქალაქი გვქონია, მსოფლიოში ამ მხრივ უნიკალური ქვეყანა ვყოფილვართ და არ კი ვიცოდით.

ამას წინათ კიდევ უფრო უცნაური რამ გვაცნობეს იმავე ტელევიზორიდან: თურმე ისნის მოედანზე კინოფილმ „მიმინოს“ პერსონაჟების სკულპტურული ფიგურების ჩამწკრივებას აპირებენ! მე, რასაკვირველია, არ დავიჯერე, ან როგორ უნდა დამეჯერებინა, რადგან, თუკი ეს განხორციელდება, აი, ეს იქნება ნამდვილი კომუნისტური გადმონაშთი – საბჭოთა კავშირის ნოსტალგია! „ხალხთა მეგობრობის“ ლენინური იდეით შთაგონებული ამ რუსული ფილმის პერსონაჟების მწკრივმა მოედანზე, რომელსაც არცთუ ისე დიდიხნის წინ 26 კომისრის სახელი ერქვა, არა მგონია, სასიამოვნო ასოციაციები გამოიწვიოს... ვერაფრით ვერ ვიჯერებთ, რომ დამპყრობლისა და დაპყრობილის მეგობრობა არ არსებობს, ასევე, არ არსებობს ცალმხრივი მეგობრობა, ჩვენ კი სწორედ ცალმხრივი მეგობრობის მსხვერპლნი ვართ...

აბულაძისა და იოსელიანის ფილმები გვქონდეს და „მიმინოს“ ძეგლს უდგამდე, განა მართლა საკვირველი არ არის?

რადგან ჩვენი საუბარი ასე წარიმართა, ბარემ იმასაც ვიტყვი: საერთოდ, ამ ბოლო დროს, მართლაც, მოულოდნელი, საკვირველი ამბების მოწმენი გავხდით. არ ვიცი, სხვანაირად რა დავარქვა თუნდაც ჩვენს ამოუხსნელ მძაფრ ლტოლვას ბერძნული მითოლოგიისკენ. ამ შემთხვევაში, ვგულისხმობ მედეას ძეგლს ბათუმში, თბილისში კი პრომეთეს ძეგლს. არაფერს ვიტყვი მათი შესრულების ხარისხზე, ამის შესახებ უკეთესია პროფესიონალებმა ილაპარაკონ.

მედეას, რასაკვირველია, საქართველოსთან ასე თუ ისე მაინც რაღაც აკავშირებდა, თუმცა ქართული მითოლოგია მას საერთოდ არ იცნობს. ამავე დროს, უმჯობესია არ დავაზუსტოთ, როგორი ხასიათისა იყო ეს კავშირი. თანაც საქართველოში მისი ძეგლი უკვე კარგა ხანია დგას, ბიჭვინთაში (ავტორი მერაბ ბერძენიშვილი), მეორე ძეგლის აუცილებლობა არ ვიცი რამ გამოიწვია...

პრომეთეს ძეგლი კიდევ უფრო მოულოდნელი და კიდევ უფრო გაუგებარია. ოღონდ, ეს კია – ნამდვილად გადარჩენილები ვართ – ხომ შეიძლებოდა მის ნაცვლად ავაზაკ იაზონის ძეგლი დაგვედგა – ჩვენი სიძის, მით უმეტეს, რომ სიძეების ძეგლების დადგმა გვიყვარს – ერთი ასეთი სიძის, საქართველოს რუსეთის კოლონიად ქცევის პროექტის ავტორის ძეგლი განსაკუთრებულ ადგილას გვაქვს წამოჭიმული, თბილისში, ანუ ერთ-ერთ დედაქალაქში!

დგას ახლა ეს ბერძენი, ლამაზი, ნაზი ყმაწვილი ქუჩის კუთხეში წყნარად, მორიდებულად და, მგონი, თვითონაც უკვირს, რატომ დგას, რა უნდა აქ, ყოველ შემთხვევაში, აქაურობა ნამდვილად კარგს არაფერს არ უნდა ახსენებდეს. ჩვენთვის არასასიამოვნოა ამის მოსმენა, მაგრამ ფაქტია, რომ საქართველო, კერძოდ, კავკასიონის ქედი, პრომეთესთვის საპყრობილე იყო და მეტი არაფერი!..

აბულაძისა და იოსელიანის ფილმებისა არ იყოს, ამირანი გვყავდეს და პრომეთეს უდგამდე ძეგლს?!

თუ ძეგლის დადგმაზე მიდგებოდა საქმე, იქნებ გენერალ მაზნიაშვილის ღვაწლი და დამსახურება გაგვეხსენებინა ბათუმისა და, ამდენად, მთელი საქართველოს წინაშე, ანდა თბილისში იქნებ საქართველოს ეროვნული გმირის მარო მაყაშვილის ძეგლი დაგვედგა!..

**– ამ ერთი თვის წინ კულტურის სამინისტროში, მინისტრის მწერლებთან შეხვედრაზე თქვენ რუსთაველის პრემიის აღდგენა მოითხოვეთ. და აი, აგისრულდათ – რუსთაველის პრემია აღდგენილია. გილოცავთ!**

– მადლობთ, ყველას ვულოცავ და, რა თქმა უნდა, თქვენც. ნამდვილად სასიამოვნო ამბავია. ჩემი გამოსვლა, ეტყობა, უბრალოდ დაემთხვა ზემოთ უკვე მიღებულ გონივრულ გადაწყვეტილებას. ამით არა მარტო ეროვნული პრემია აღდგა, არამედ გაჩნდა იმედიც, რომ ამოქმედდება სხვადასხვა ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზით თითქმის ჩამკვდარი შემოქმედებითი ცხოვრება. დარწმუნებული ვარ, ამ დროულ, საჭირო და აუცილებელ გადაწყვეტილებას უამრავი და უამრავი სასიკეთო რამ მოჰყვება...

**– კონკრეტულად მაინც რას გულისხმობთ?**

– აღდგება რწმენა ჩვენს სახელმწიფოში შემოქმედებითი შრომის აუცილებლობისა, რომელიც საუკუნეების მანძილზე ახასიათებდა ქართველ ხალხს. ამასთანავე, აღდგება და განახლდება, ანუ ბიუჯეტიდან დაფინანსდება, ჩვენი ლიტერატურული ჟურნალები: „მნათობი“, „ცისკარი“, „საუნჯე“ და „არილი“, რაც გამოიწვევს ჩვენი ლიტერატურული ცხოვრების საერთო გაჯანსაღებას. ფაქტია, რომ დიდი ეროვნული პრემიის აღდგენით სახელმწიფომ გამოხატა თავისი,

იხ. 8 გვ.

## სათქმელი

(მეშვიდე გვერდიდან)

მოდით პირდაპირ ვთქვათ, შეცვლილი, ახალი დამოკიდებულება ქართული მწერლობისა და ხელოვნების მიმართ. როგორც ჩანს, მწერლებს დაუბრუნდებათ გაურკვეველი მიზეზით ჩამორთმეული სახლიც, რომელიც ყველა ქართველს ჩვენი დიდებული წინაპრების აჩრდილებით დასახლებულ სამლოცველოდ მიაჩნია. ეს შენობა ქართველმა ხალხმა მწერლობას გადასცა. ხშირად ვჩივით, თბილისში დიდი ნიკო ფიროსმანაშვილის სახლი არა გვაქვს და ახლა ქართული მწერლობა დავტოვოთ უსახლოდ? მივმართავ მათ, ვინც ეს სახლი დაარბია დღისით, მზისით, უამრავი ადამიანის თვალწინ: ნუთუ არ შეიძლებოდა მოვქცეოდით მწერლებს (პატივისცემას არ ვთხოულობ!), როგორც თანამემამულეებს, როგორც დემოკრატიული სახელმწიფოს მოქალაქეებს?

**— ამბობენ, „მწერალთა სახლი“ „ლიტერატორთა სახლად“ გადაკეთდებაო...**

— რატომ, რომელი სიტყვა არ მოგვწონს: „კავშირი“ თუ „მწერალი“? შეიძლება ლიტერატორი იყო და მწერალი არა, მწერალი კი ისედაც ლიტერატორია. თქვენ შეიძლება არ გაგიგიათ, იმასაც ამბობენ: ამ სახლში უნდა შევიდეს ყველა, ვინც კი რაიმეს წერსო. ანუ კარი გაეხსნება იმ ნიაღვარს, ამჟამად წალეკვით რომ ემუქრება ჩვენს სულიერებას. რასაკვირველია, უკვე ჩამოყალიბებულ მწერლებს ვერაფერს დააკლებს, მაგრამ ახალგაზრდობას კი ფეხქვეშ მოიყოლებს. თუ ჩემი აზრი გაინტერესებთ...

**— ამისთვისა ვარ სწორედ აქ!**

— ამ სახლში ყველა კი არა, მხოლოდ ნამდვილი მწერლები უნდა შევიდნენ, რასაკვირველია, ასაკს მნიშვნელობა არა აქვს.

**— როგორ უნდა გავიგოთ, ვინ არის ნამდვილი მწერალი და ვინ არა?**

— ეს თუ აქამდე არ ვიცოდით, კარგად ყოფილა ჩვენი საქმე! მწერლების ბუნებრივი შერჩევა ხალხის საქმეა და ხალხმა იცის კიდეც, ვინ არის ნამდვილი მწერალი და ვინ არა. რასაკვირველია, ყოფილა შემთხვევები, როცა ხალხს შეშლია ეს, მაგრამ დროებით, ძალიან ცოტა ხნით. რაც შეეხება ხელოვნურ შერჩევას, აქ სახელმწიფოს ჩარევა აუცილებელიც კია. ნამდვილი მწერლების სიის დადგენა ამომრჩეველთა სიებზე ნაკლებად რთული და სახიფათო როდია – აქაც ძალიან ბევრი „მკვდარი სულია“. სახელმწიფომ ოფიციალური ცენზი უნდა მიანიჭოს ხალხის მიერ აღიარებულ მწერალსა და კეთილიც ინებოს, იზრუნოს კიდეც მასზე, როგორც ეს სხვა კულტურულ ქვეყნებშია. მითი, თითქოს იქ სახელმწიფო მწერლებზე არ ზრუნავს, მარტო საქართველოში შეიძლება შექმნილიყო. ამავე დროს, სახელმწიფო არ უნდა ჩაერიოს მწერლების საქმიანობაში, უნდა მისცეს მათ საშუალება, აირჩიონ ისეთი სახის გაერთიანება, როგორსაც თავად მიიჩნევენ საჭიროდ. ამას კი იმიტომ ვამბობ, რომ თავისუფალი საქართველოს პარლამენტმა დაგვიკანონა ორგანიზაციის ფორმა, როგორიც კომუნისტური რეჟიმის დროს გვქონდა. ამასთანავე, მთელი ერთი სხდომა მიუძღვნა მწერალთა კავშირის სახელწოდებიდან სიტყვა „ეროვნულის“ ამოღებას...

# სინამდვილე – მარადიული სახლი!

## სტუმრად მწერალ თამაზ ჭილაძესთან

**— თუ მიგაჩნიათ, რომ სახელმწიფო მწერლების საქმიანობაში არ უნდა ერეოდეს, რატომღა ვთხოვთ მას დაფინანსებას, ეს ცოტა უცნაურად ხომ არ ჟღერს?**

— კი, უცნაურად ჟღერს იმიტომ, რომ სახელმწიფოსთან ნამდვილ ურთიერთობას შერჩეულები არა ვართ. თუ სახელმწიფო ნამდვილად დემოკრატიულია, მაშინ ხალხისა და ხელისუფლების ცნებები გაიგივებულია და ამდენად, მისგან დახმარების მიღება აუცილებელიც კია, რადგან ის გეხმარება, ვისთვისაც ქმნი. თუკი ჩვენშიაც ასე მოხდება, ეს იქნება დიდი სასიკეთო სიახლე ჩვენი ხალხის ცხოვრებაში.

**— მაინც როგორ უნდა დაეხმაროს სახელმწიფო ამ ეტაპზე ქართულ მწერლობას?**

— უპირველეს ყოვლისა, ქვეყანაში უნდა შეიქმნას სამწერლო, ანუ მწერლისთვის აუცილებელი სასიცოცხლო სივრცე, რომელიც მწერლობისა და ხელოვნების სხვადასხვა დარგების მჭიდრო ურთიერთობას გულისხმობს, ანუ სხვანაირად რომ ვთქვა – აუცილებელს ხდის საზოგადოების ცნების აღდგენას, საზოგადოებრივი აზრის დამკვიდრებას, რომელიც ყველა კულტურულ ქვეყანაში დაუწერელ კონსტიტუციასავით განსაზღვრავს და წარმართავს კიდეც ადამიანთა ურთიერთობებს. მერიდება, გავიმეორო ჩემს მიერ ათასჯერ თქმული, მაგრამ სხვა გზა არა მაქვს: სახელმწიფოს ნამდვილი დახმარება იქნება, თუკი გამოაცხადებს, რომ მწერლობა, საერთოდ კულტურა, წარმოადგენს ეროვნულ საგანძურს და დაცულია სახელმწიფოს მიერ. სხვათა შორის, რუსთაველის პრემიის აღდგენა თამამად შეიძლება აქეთკენ გადადგმულ ნაბიჯად მივიჩნიოთ. ჩვენმა სახელმწიფომ უნდა აღადგინოს ჰონორარის ცნებაც, მწერალმა, ასევე ხელოვანმა უნდა შეძლოს თავისი უნარით მოპოვებული სახსრებით ირჩინოს თავი, რათა რაიმე დახმარების მოლოდინში თანდათანობით არ დაკარგოს ღირსების გრძნობა. ასეთი ჰონორარი კი საგრძნობი და მნიშვნელოვანი გახდება, თუკი სახელმწიფო შექმნის ბიბლიოთეკების ფართო ქსელს, ანუ წიგნსაც დაუბრუნებს მკითხველს და გამომცემელსაც და ავტორსაც გადაარჩენს. სახელმწიფოს დიდი დახმარება იქნება, თუკი ასე თუ ისე მაინც კრიზისულ ვითარებაში დააარსებს, თუნდაც, ერთ სახელმწიფო გამომცემლობას, მოაწესრიგებს მწერლობისა და თეატრის ურთიერთობას, დააფინანსებს თუნდაც ერთ თეატრს, რომელიც დადგამს მხოლოდ ეროვნული დრამატურგიის ნიმუშებს, როგორც ეს ევროპის ზოგიერთ ქვეყანაშია...

**— ეს, მართლაც, ხშირად მოგვისმენია თქვენგან!**

— ანუ თქვენც ფიქრობთ, რომ ჩემი ლაპარაკი „ხმაა მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“ არა? გეთანხმებით, ასეა, მაგრამ მე სხვა გზა არა მაქვს, სულ ერთი და იგივე უნდა ვიმეორო, მოკლედ: „კართაგენი უნდა დაინგრეს“, ქართული მწერლობა კი აღორძინდეს!

**— კართაგენისა რა მოგახსენოთ და, რატომღაც, ოსტაპ ბენდერის ჭადრაკის ქალაქი გამახსენდა!**

— რასაკვირველია, ღიმილის მომგვრელია ჩემი სურვილები ხელისუფლების მწერლობისადმი ამჟამინდელი დამოკიდებულების ფონზე. მაგრამ არ დაგიმალავთ, რუსთაველის პრემიის აღდგენამ ამალაპარაკა ასე – კარგ ნიშნად მივიღე. მწვავე პრობლემების წინაშე ვდგავართ, რომლებიც სასწრაფო გადაჭრას თხოულობს. ვაჟა-ფშაველამ თქვა: რუსთაველი იგივე საქართველოაო. დიახ, ქართული მწერლობა იგივე საქართველოა, რომელზედაც ყველამ ერთნაირად უნდა ვიზრუნოთ.

**— დაბოლოს, რას ეტყვით ჩვენს მკითხველს?**

— ქართველ ხალხს ჩემი შეხსენება არ სჭირდება, რომ თვით ეკონომიკურად და პოლიტიკურად წელში გამართულ ხალხსაც კი ვერ მივიჩნევთ სრულყოფილად, თუკი ბუნებას, სინამდვილეს, სიცოცხლეს ადეკვატური ემოციებით არ ეპასუხება, არ თანამშრომლობს მასთან. ასეთი ემოციები კი მწერლობის წიაღში იბადება და მათი ძიება და პოვნაა სწორედ სულიერი ჰარმონიის სტიმული. ადამიანის ოცნებამ, საიდანაც ერთი ნაბიჯიღაა პოეზიამდე და რომელმაც გამოქვაბულიდან გამოიყვანა და მთვარემდე აამაღლა ადამიანი, არ შეიძლება ცივილიზაციის (იგივე გლობალიზაციის!) მიერ დათრგუნული, მიტოვებულ სკასავით გამოცარიელებული ჩვენი არსება ისევ მძაფრი, ცხოველმყოფელი მისწრაფებებითა და სურვილებით არ აღაგზნოს. ეს კი ისევ წიგნის საშუალებით მოხდება. ჩვენი ისტორია მაგალითია იმისა, თუ რა სასიკეთო გავლენა შეუძლია მოახდინოს წიგნმა მთელი ხალხის ცხოვრებაზე. საერთოდ კი, ერთ, ჩემი აზრით, საინტერესო დეტალს გავიხსენებდი: ერთ-ერთ ჩვენს ჟურნალში ამოვიკითხე: თურმე 13 წლის ინგლისელი გოგონას მიერ შედგენილ „ბრიტანული სლენგის ლექსიკონში“ სიტყვა „წიგნი“ ბრიტანელი მოზარდების ენაზე ნიშნავს „მაგარია“-ს! მე მგონი, ამით ბევრი რამ არის ნათქვამი. მიუხედავად იმისა, რომ დღეს მეტად საინტერესო მწერლობა გვაქვს, ქართული წიგნი რატომღაც მიტოვებულივით გამოიყურება. გული მწყდება, რადგან ძალიან უცხოა ჩვენთვის წიგნისადმი ასეთი გულგრილი დამოკიდებულება.

**— ბატონო თამაზ, ქართულ წიგნზე, ქართულ მწერლობაზე აუგის საქთმელად ენა ვის მოუბრუნდება?**

— უბრუნდებათ და მერე როგორ! უფრო სწორად, უბრუნდებოდათ, რადგან ამჟამად აუგიც სანატრელი გაგვიხდა, საერთოდ აღარ ახსენებენ მწერლობას. გამქრალია მწერლის, როგორც საზოგადოების წევრის, ცნება. მხოლოდ ერთი-ორი, ჩვენი ტელევიზორის ენით რომ ვთქვა, „ცნობადი სახე“ თუ გაიელვებს ეკრანზე. ეს არის და ეს. ზოგჯერ ისეთი შთაბეჭდილებაც რჩება, ჩვენს უაღრესად პოლიტიზებულ ქვეყანაში, ხელისუფლებამაც და ოპოზიციამაც ერთნაირად არ იციან, დღეს საქართველოში მწერლობა არსებობს თუ არა. სინამდვილეში, რა თქმა უნდა, ასე არ არის, ოღონდ ეს პრობლემა არც ერთხელ არ გამხდარა მათი განსჯის საგანი. სხვათა შორის, იმ ქვეყანაში, სადაც მწერლობა არ არსებობს, არც პოლიტიკურ ბრძოლასა აქვს აზრი. დიდი ილიასი არ იყოს, ქვეყანა გენერლებით კი არა, მწერლებით ფასდება...

ესაუბრა
**თამარ შაიშმელაშვილი**



**სურათზე:** თამაზ და ოთარ ჭილაძეები (2008 წელი)

**ჯემალ კასრაძის ფოტო.**

## წარდგინება

# ჯაჭვური RE:აქცია

**18 ივლისს ოკუპაციის მუზეუმში საზოგადოებისთვის ინტერნეტ-ჯგუფ „RE:აქციის“ ოფიციალური წარდგინება მოხდა. ეს ინტერნეტ-ჯგუფი წარმოადგენს განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებებისა და პოზიციების მქონე ადამიანების ზეპარტიულ, პოლიტიკურად აქტიურ, საერთო-სახალხო საზოგადოებრივ გაერთიანებას. მისი მთავარი მიზანია ხელი შეუწყოს რუსული ე. წ. შვიდობისმყოფელებისა და სამშვიდობო მანდატით გაუთვალისწინებელი სხვა სამხედრო თუ გასამხედროებული ფორმირებების საქართველოს ტერიტორიიდან გაყვანას.**

„ვინაიდან რუსეთი ღიად და დაუფარავად გამოიკვეთა საქართველოს ტერიტორიაზე არსებული მის მიერვე ინსპირირებული კონფლიქტების მეორე მხარედ, ჩვენ, ინტერნეტ-ჯგუფი „RE:აქცია“, ვთვლით, რომ ახლა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მთელი ერის კონსოლიდაცია, მიუხედავად ერში არსებული პოლიტიკური თუ რელიგიური შეხედულებების მრავალფეროვნებისა, რათა მსოფლიო საზოგადოებრიობას გავაგებინოთ საქართველოს მოსახლეობის ერთიანობისა და დარაზმულობის შესახებ რუსი ოკუპანტების წინააღმდეგ ბრძოლაში“, – ნათქვამია გაერთიანების მიმართვის ტექსტში.

იმ დღესვე ინტერნეტ-ჯგუფ „RE:აქციას“ გაერთიანება „კოკოითი ფანდარასტის“ წევრები შეუერთდნენ. ჯგუფი ოფიციალურად მას შემდეგ შეწყვეტს არსებობას, როდესაც საქართველოს უკანასკნელი რუსი სამხედრო დატოვებს. მანამდე კი არაერთი„აბსოლუტურად მშვიდობიანი ხასიათის“ საპროტესტო აქცია იგეგმება.

პირველი მასშტაბური აქცია 14 აგვისტოს გაიმართება. მას სიმბოლურად „ჯაჭვური რეაქცია“ ვიწოდეთ. აქციის ფარგლებში მოხდება ერგნეთიდან ენგურის ხიდამდე, ანუ იმ დაახლოებით 360-კილომეტრიან მონაკვეთზე, სადაც ეგრეთ წოდებული „რუსი სამშვიდობოები“ დგანან, ცოცხალი ჯაჭვის გაბმა, რასაც დაახლოებით ამდენივე ათასი ადამიანი ჭირდება, – აცხადებს ინტერნეტ-ჯგუფის ხელმძღვანელი გიგა ნასარიძე.

ინტერნეტ-ჯგუფი „RE:აქცია“ ღიაა ნებისმიერი მსურველისთვის.

**ანა ვეშაგურიძე**

## ჩვენი ბიბლიოთეკა: ახალი თარგმანი

**დაახლოებით** საღამოს ექვს საათზე ვეება გალაქულ-გაპრიალებულმა გონდოლამ ახალგაზრდა წყვილი კამპო მოროზინიზე გადასვა, სადაც იმდენი ხალხი შეტბორებულიყო, რომ ახალგაზრდებმა ძლივს გააღწიეს ხმელეთზე. ქალიშვილს თეთრი აბრეშუმის კაბა ემოსა და თეთრივე ხელთათმანები ეცვა, რომელთა ზედაც ხასხასა წითელლაქწასმული ფრჩხილები იყო დაწებებული, ვაჟს კი, ქალიშვილის თანამგზავრს, თეთრი აბრეშუმის ლაბადა და უცხოდ ნაქარგმოვლებული ფეხსამოსი შვენოდა. როგორც ერთს, ისე მეორეს, მომცრო ნიღაბი უფარავდა სახეს, რომელ ნიღაბთაც bauta ჰქვია. ორივენი ისე ტანადნი და მოხდენილნი იყვნენ, გამოჩნდნენ თუ არა, ხალხს აღტაცების ვიში აღმოხდა. ესენი გახლდნენ ანა პოცე, მეჩემბალოე და ზაქარია ორფელინი, კირ დიმიტრის თეოდოსის ვენეციური სტამბის კორექტორი.

ორივემ კარგად უწყოდა, რომ ძიება უნდა დაეწყოთ გრძნეულ სასმელთა, თილისმათა და რელიკვიათა გამყიდველებს შორის, რომელთაც ერთ-ერთი ქუჩის სცენასთან უკვე მოეყარათ თავი, და ვინმე თურქეთიდან მოსული უნდა ეპოვათ. ვენეციაში ეს ნიშნავდა სუყველას, ვინც იმ საზღვრისიქითა ქვეყნებიდან მოსულიყო, რომელ საზღვრამდეც შეაღწიეს თურქთ ევროპაში. ჯელოზის დასის ორმა მსახიობმა ვიღაც დედაბერზე მიუთითა, რომელი დედაბერიც ხელებგაშვერილი ყვიროდა ვენეციურ ენაკავზე:

— მოწყალებას მხოლოდ იმ სინიორათაგან ვიღებ, ვისაც არცროდის არ მოუტყუებია თავისი ქმარი! მხოლოდ იმათგან!

— ეგ თურქეთიდან მოსული არ არის, — თქვა ანამ.

— შენ რა იცი?

— რა ვიცი და, ვენეციურად უფრო კარგად მეტყველებს, ვიდრე ალვის მოჩენიგო.

— ეგ მოჩენიგო ვინღაა?

— როგორ თუ, ვინღაა, დოჟია, ბატონო!

შემდეგი შესაძლებლობა, რომელიც ახალგაზრდებს მიეცათ, ლამაზი შავოსანი ყმაწვილქალი იყო. ის გემრიელად ილუკმებოდა, თხის ყველს შემწვარ გოგრას ატანდა. ზაქარიამ გულში გაიფიქრა, ნამდვილად ეს არის, ვინც გვჭირდებაო, მაგრამ როგორც კი ყმაწვილქალმა პირი დააღო, იმის მაგივრად, რომ ეპასუხა, თურქეთიდან იყო თუ არა, პირიდან ცოცხალმა გველმა გამოუყო თავი და ეგრევე ენა გაასარსალა. ყმაწვილქალი იმწუთას ვიღაც იისფერნიღბიან ვენეციელ მანდილოსანს მიუბრუნდა და გათვალულის შელოცვა დაუწყო. თან სახრავდა, თანაც ბუტბუტებდა:

სიტყვა თუა მხრიანი
შეედაროს რა ოქრო,
მღვდელს ასტკივდა საოხრო...
ზედაც კბილი ჭიანი.
დაუძახა დალაქსა,
დალაქს თვალი დაუდგა,
მღვდელს საოხრო აუდგა
უალაგო ალაგსა...

ამ სიტყვების გაგონებისთანავე ზაქარიამ გადაიხარხარა და თქვა:

— არა, შენ თურქეთიდან მოსულისა არცრა გცხია, ჩვენებური ხარ! ვხედავ, რარიგად ასულელებ ვენეციელთ.

გულგახეთქილი ყმაწვილქალი მკითხავი ყელგადაგდებით შეეხვეწა ზაქარიას, არ გამცეო. ანა განცვიფრებული უსმენდა, როგორ ქაქანებდა მკითხავი რომელიღაც გაუგებარ ენაზე:

— არ გამცე, ჩემო კარგო ბატონო, ღმერთი იყოს შენი მფარველი! დილითაც და საღამოთიც სულ წყაროზე ვატარებ შენს სულს მშვინვიერს, მთავარანგელოზთა მზემ, გამოგადგები. საბუჩულე ვინმე არ გეგონო, ჩემს თავში შვიდ თხას იძლეოდნენ ცავტატში, დრიევში კი ყოვლის უფრო ცხარე წიწაკის მთელ გალას... შენს ქალბატონს თითქმის მუქთად დავუთმობ ხის საათს, რომელსაც გზაში ქამარზე იკიდებენ!

მკითხავმა პატარა ბოხჩიდან ხის სამკუთხედი გამოაძრო, სულ ერთიანად დაჭდეული, და ანას გაუწოდა, იაფად ყიდვა შესთავაზა დამტვრეული იტალიურით.

— ვითომ რატომ ეძახის ეს ქალი ამას საათს? — გულმოსულმა ჩაილაპარაკა ანამ. — ნეტავი, მაინც რა ძალა ამუშავებს? იქნებ ქარის ძალა?

— ქარისა კი არა, მზის ძალა, ჩემო დედა მტრედო, — წააყარა მკითხავმა კიდევ უფრო უარეს ვენეციურზე. თუ ეს არ გინდა, შენც სუ, მეც სუ, ნატი დაიგე.

საბედნიეროდ ანა ვერ მიუხვდა მკითხავს, რა ეშმაკურად ჩართო მან წინადადებაში სიტყვა სუსუნატი, თორემ პირდაპირ მოროზინის მოედანზევე წასწვდებოდა თმაში. მაშინ კინკლაობაში ზაქარია ჩაერია:

— გეყოფა, ჩემო კარგო, თამაში და ანცლობა. მე აქ იმიტომ ვარ, რომ როგორც შენ, მეც რაღაც მეჭირვება.

— მაინც რა გეჭირვება, ჩემო ტურფავ?

— ერთს რასმე ვეძებ და იქნებ მაპოვნინო.

— გაპოვნინებ, გაპოვნინებ, ჩემო ტურფავ, ოხერი თვალი მაქვს, ყველაფერსა ვხედავ, თუ შევხედე, დაძილქუშებულს გამოავაღვიძებ, ის კი არა, სიზმარში ქალს შევუწვენ. გიპოვნი,რასაც ეძებ. წყალქვეშ რომ ცეცხლია, თუ გეჭირვება, არც იმის პოვნა გამიჭირდება...

— თიხის ჭიჭლას ვეძებ, ღვთისმშობლისცრემლებიანს.

მკითხავს ენა მუცელში ჩაუვარდა. მერმე მკვახედ მოუჭრა:

— მე არა მაქვს. იმ ცრემლთაგან ხეირს რასმე ვერც შენა ნახავ.

— ვითომ რატომ?

— რატომ და, ფასი არ ადევს და თანაც ჩალადაც არა ღირს. არტემიდას სიტყვები და ბეჭედი ხელთა გაქვს? თუ არა გაქვს, ვერც წყალი წაგადგება.

— ეგ შენი საქმე არ არის. მიშოვე ღვთისმშობლის ცრემლები, და სხვას არცრას ვითხოვ შენგან.

— მაგ ცრემლთათვის თვითონ სტამბოლშია წასვლა საჭირო. ძვირი ჯდება. მე არა მაქვს.

— მაშ, ვისა აქვს?

— ჯურჯეს.

— გადავიხდი, ბატონო. ნახე ის ჯურჯე.

— ჯურჯე აქ არ არის. ლოდინი უნდა.

— რამდენ ხანს?

— ცოტა კიდევ. ვიდრე საათი არ დაჰკრავს.

ამ ლაპარაკ-ლაპარაკში მკითხავი თან სხვა ხალხის მომსახურებასაც ასწრებდა. და სინამდვილეში არც ისე ძალიან იყო ელდანაკრავი, როგორც ამას წარმოსახავდა. იისფერნიღბიან ვენეციელ ბანოვანს, ვითომც ავი თვალისა მართლაც შეულოცა, გასამრჯელო წაჰგლიჯა, მავან ბერიკაცს კი, რომელიც მამლის მწვანე კვერცხზე ეჩინჩხებოდა და სულ იმას ეკითხებოდა, ამ კვერცხიდან ნამდვილად ეშმაკნი თუ იჩეკებიანო, ცივი უარი სტკიცა.

— შენ რა, კვერცხთან ერთად იმავე ფასად არაჟანიც გინდოდა? ფააფუ, მეგობარო, არაჟანი ფააფუ! უკვე დიდი ხანია, რაც აღარ ვიწველები, არაჟანი საიდან უნდა მქონდეს.

ყოველივე ამას მკითხავი იმ ენაზე კაკანებდა, მარტო თვითონ და ზაქარიას რომ ესმოდა, და სულაც არ ანაღვლებდა ვინმე უგებდა თუ არა ნათქვამს, რადგან ისედაც ცუდად არა ვაჭრობდა თავისი საქონლითა თუ მომსახურებით. ყველაზე მეტად მაინც ჯადოსნურ ღილებს ასაღებდა, რომელი ღილებიც თავისით წყდებოდნენ, თუ ჰანგს რასმე წაუღიღინებდი, და მისწრება იყო საჭირო დროს გულ-მკერდის გასაღელად. გარდა ამისა, ყოველთვის ჰქონდა გასაყიდად ქალის საჭმელი ნიფხვები, დიახ, იჭმეოდა, თუ გინდოდა, შეჭამდი, და ურწმუნო მოციქულის თომას თითი, აქლემის ძვლის კოლოფში ჩადებული. როდესაც ერთხელ მავანი ახალგაზრდა კაცი, თავისი სასიყვარულო ამბებით შეწუხებული, დოგა-დოგა დაადგა, გინდა თუ არა, მიმკითხავეო, მან ცალი თვალის ჩაკიჟვა უბრძანა და თითქოს ზარბაზანი დაცალაო, ისე მიახალა:

დამინახე ბარკალი,
დაგავიწყდა თავიო.
აგივარდა კანკალი,
დაგივარდა კავიო...

ზაქარიამ მკითხავს ფუჭი შაირსიტყვაობისთვის თავი დაანებებინა და ჰკითხა:

— კიდევ დიდხანს უნდა ველოდო?

— სანამ მთვარე არ დაივახშმებს, ჩემო ოქრო. უფრო ჩქარა არ გამოვა.

— კარგი, კარგი, ის მაინც მითხარი, რა უნდა მომყიდო.

— რაცა მთხოვე, სხვა რა უნდა მოგყიდო? შენ რა, ღვთისმშობლის ცრემლები არა მთხოვე, ჩემო ლამაზო?

— მერედა, რა არის ეგ ღვთისმშობლის ცრემლები?

— ყიდვა გინდა, და არ იცი, რასა ყიდულობ?

— რომ ვიცოდე, იქნებ არც კი მეყიდა.

— მაშ, აბა, უნდა გითხრა, რაც არი. მაღლა აიხედე, შენს თავს ზემოთ. რასა ხედავ?

— რასა ვხედავ, და ვარსკვლავთ, ღამე სხვა რა უნდა დავინახო?

— არა, ჩემო ბატონო. ეგ ვარსკვლავნი არ გეგონოს. ეგ ღვთისმშობლის ცრემლებია. დაღუპულ ყრმათა სულნი შავეთში რომ გადადიან, ღვთისმშობლის ცრემლთ მისდევენ, არა არი გზაკვალი არ აებნეთ და შავ ციურ თავადთა ხელში არ ჩაცვივდნენ. თანაც გზაში ამ ცრემლებით საზრდოობენ. ეს ცრემლნი კი, ჩვენებურო, მე და შენი არ იყოს, მარილიანია. აბა, მიდი, ალოკე, მაგ შენი პირწყლიანი ნანდაურის ოფლი და გაიგებ, რომ ცხოვრება მლაშე წყალია... ეჰ, მართლაც, გვარიანად ვილაქლაქეთ, და ამასობაში მთვარემაც დაივახშმა...

როცა უკანასკნელად ჩამოკრული ზარების ხმაც მიწყდა, მკითხავმა ყვირილი მორთო:

— ჯურჯე, ჰაი, ჯურჯე!

და თითქოს მიწიდან ამოძვრაო, მკითხავისა და ზაქარიას წინ მთლად ტალახში ამოგანგლული ცეროდენა ბერიკაცი დაერჭო, რომელსაც თვალებიც დაბანჯგვლული ჰქონდა და ყურებიც.

— რაღა წინდის ყელი, და რაღა ამისი პირი!.. — დამცინავად შეაფასა მკითხავმა ჯურჯე და ყურში რაღაც ჩაუჩურჩულა.

ჯურჯემ ვაცსაებრ დაიბღავლა და მკითხავის მოთხოვნაზე უარის ნიშნად თავი გააქნია. მაშინ მკითხავმა ცეცხლოვანი მზერა ესროლა ბერიკაცის ულვაშს, და ისიც უმალ აალდა ანასა და ზაქარიას თვალწინ, ის კი არა, აბრიალდებოდა კიდეც, ჯურჯეს ხელისგულებით რომ არ ჩაექრო. ასეთი მოულოდნელი ამბის შემდეგ მან თავისი გამურული ხელებით ერთბაშად დააძრო ჯიბეებიდან ორი თიხის ჭიჭლა, ალი-კვალი იმ ჭიჭლისა, განსვენებული მაესტრო ჯერემიას ფეხებთან რომ იპოვეს.

— თვითონ ეფესოში ჩავედი ამათი გულისთვის, — შესჩივლა ბერიკაცმა მკითხავს და ერთ-ერთი ჭიჭლა გაუწოდა.

მკითხავმა კი ორი თითი იჩრა პირში და გამაყრუებლად დაუსტვინა, თანაც იმდაგვარად, რომ ხმას მიმართულება მისცა. სტვენის ხმამ შუბლზე გაუშხუილა ბერიკაცს, და ზედ ორი მომცრო ნასერი დაუტოვა. ბერიკაცმა იმ ადგილას ისე მიიტყაპუნა ხელისგული, თითქოს კოღო მოკლაო, და ხმის ამოუღებლად მიაწოდა მკითხავს მეორე ჭიჭლაც. მერმე აბუტბუტდა:

— ოჰ, ოჰ, რატომა ხარ ეგრე უგულო? რა კატასავით იცი გაავება. მერე რა, თუ ჯურჯემ უცებ ვერ გაგიგო!

მკითხავმა მეორე ჭიჭლა გამოართვა და უთხრა:

— ახლა კი, ჩემო ჯურჯე, შრომისასაც გადაგიხდი და ჭიჭლისასაც.

ჯურჯემ სიხარულისგან ნები ნებსა ჰკრა, მკითხავმა კი იმისკენ მომუჭული ხელი გაიშვირა და, მუჭა რომ გახსნა, შიგ ცოცხალი პეპელა აღმოჩნდა, რასაც ის, მკითხავი, იმ ორი ჭიჭლის საფასურად სთავაზობდა ჯურჯეს, რომელმაც თავისი წინდისყელისდამაგვარი პირით გაიღიმა, სტაცა ხელი პეპელას და ეგრევე გადაყლაპა. ამის შემდეგ კი უმალ ხალხს შეერია.

— არ იღელვო, ეს ნამდვილი წყალია! — უთხრა მკითხავმა ზაქარიას, ჭიჭლა გადასცა და იმაზე ორჯერ მეტი ფული მოითხოვა, ვიდრე მყიდველნი ელოდნენ.






— რას იტყვი, ცოტა მეტს ხომ არ თხოულობ? — გაკვირვებულმა ჰკითხა ზაქარიამ.

— ე-ე, ჩემო ლამაზო ბატონო, შენც რაღაც თურქეთიდან მოსულსა ჰგავხარ, — მოუჭრა მკითხავმა. — ერთი ამას დამიხედეთ, საფლავიდან მღამიობი გამოვიხმეთ, ვენეციაში გამოვიყვანეთ, რათა პირადად ჩამოეტანა საქონელი, ეს კი ამბობს, ბევრიაო. ეძვირება! ბევრი, ჩემო ბატონო, მაშინ არის, როცა გირტყამენ!

— რას ნიშნავს ეს სიტყვა „მღამიობი“, რაც ამან ბერიკაცს უწოდა? — ჰკითხა ანამ.

— რას ნიშნავს, და ვამპირს. მღამიობი იგივე ვამპირია, — აუხსნა ზაქარიამ.

— მაშ, აბა, ჯურჯე ვამპირი ყოფილა, — გაიოცა ანამ.

— რასაკვირველია, ნუთუ ვერ შენიშნე?

ამ დროს ნიღაბაფარებულ მსახიობთა ჭრელი ჯგრო სცენისკენ გაემართა და თან გაიყოლა ანაც ზაქარიასთან ერთად. წითელტალავრიანმა და თეთრქუდჩიტიანმა პანტალონემ ორივე, ანასაც და ზაქარიასაც, ნიღბები ჩამოჰგლიჯა. ერთ-ერთმა მსახიობმა კი გზადაგზა შექმნილი ჯგლეთით ისარგებლა და ანას უჩქმიტა, რის პასუხადაც ანამ გაუღიმა და ხელში ჩაუტყაპუნა. ხოლო ვიღაც ბოღმამორეულმა მსახურთაგანმა შურიანად შეუთვალიერა ანას კაბა, მერმე გული მოიღეღა და ზაქარიას უჩვენა, რომ საკუთარი ძუძუს წოვა შეეძლო.

და მაშინ ნამდვილი ქაოსი დაიწყო. ზაქარიას ვერა გაეგო რა ამ ვენეციური ხუმარსიტყვის, ფაციფუცისა და ნაირფერად აბდღვრიალებული შუქის მორევში. ის მარტო იმასა გრძნობდა, რომ ეს რია-რია თავბრუდამხვევი სისწრაფით სადღაც მიაქანებდა სუყველას. უცებ მან განცვიფრებულმა გაიგონა, როგორ წამოისროლა ერთ-ერთმა ნიღაბმა: „განსხვავება ორ ქალს შორის მუდამ ბევრად მეტია, ვიდრე განსხვავება კაცსა და ქალს შორის...“ რაზეც მაყურებელმა ხარხარი ატეხა. ზაქარიას ახსოვდა, რომ ეს განსვენებული ჯერემიას ერთ-ერთი „გნომა“ იყო, რომელთაც ანა მსახიობთათვის იწერდა ხოლმე. ამის გამო მან თავი უფრო მშვიდად იგრძნო, და მთელი ეს ორომტრიალი, რომელშიც მოხვდა და რომელიც სულ უარდაუარ მწვავდებოდა და მძაფრდებოდა, მაინცდამაინც აღარც ისეთი საშინელი ეჩვენა და აღარც ისეთი მქისე. ზედდატანებაზე მწვანე, ყვითელ და წითელ ნაჭერთაგან დომინოდ გამოწყობილმა არლეკინმა კარგი ლაზათიანი წიხლი ჰკრა ზაქარიას უკანალში და ზედ მიაგდო ანას. ანამ იგრძნო, რომ ზაქარიას თმას ბოლის სუნი ჰქონდა, ხოლო ტანს რაღაც უცნობი ჩაის სუნი ასდიოდა, მან კიდევ უფრო მაგრად მიიკრა გულზე ზაქარია, ვნებიანად ჩაკოცნა და უცხო ხმით შეჰყვირა:

— ახლა კი უნდა დამიპყრო, ჩემო სიყვარულო! გვეყო, რაც ამ ბედნიერების წამს ველოდეთ! აქ და ახლავე გნებდები! დამიპყარი! — გაჰყვიროდა იგი დაბალი ხრინწიანი ხმით, რომელიც გარშემო მყოფ მსახიობთა ხმა გეგონებოდათ.

გადმოაენა
**ზურაბ გოგიაშვილმა**

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

გაგრძელება. დასაწყისი
იხ. „სრ“ № 100-112.

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# ამერიკის შეერთებულმა შტატებმა რუსეთს საქართველოზე ზემოქმედება აუკრძალა



**ამერიკის** ადმინისტრაცია უკიდურესად შეშფოთებულია საქართველოზე რუსეთის მხრიდან როგორც პოლიტიკური, ისე სამხედრო ზემოქმედების გაძლიერების გამო. კონგრესის წევრების წინაშე გამოსვლის დროს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მოადგილემ ევროპისა და ევროაზიის ქვეყნების დარგში დენიელ ფრიდმა განაცხადა, რომ „რუსეთმა უკანასკნელი ორი თვის განმავლობაში ორჯერ გაზარდა აფხაზეთში თავისი სამხედროების რაოდენობა, თანაც საქართველოს ოფიციალურ პირებთან კონსულტაციების გარეშე“. მან დააზუსტა: აპრილში მოსკოვმა აფხაზეთში თავისი სამშვიდობო ძალების ჩარჩოებში გაგზავნა სამხედროები, მაისში კი – სარკინიგზო ჯარები რუსეთის ფედერაციისკენ მიმავალი სარკინიგზო ხაზის რემონტისთვის. დიპლომატის განსაკუთრებული აღშფოთება გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ კრემლი არც ცდილა გამოეყენებინა ეს სამშვიდობო ოპერაციები რაიმეს საბაბად.

მან გაიხსენა, რომ აპრილში ვლადიმერ პუტინმა „გასცა განკარგულება, რომლითაც მოუწოდა რუსეთის სამინისტროებს, დაამყარონ უფრო მჭიდრო ურთიერთობა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ანალოგიურ უწყებებთან“. ფრიდმა ამერიკელ კანონმდებლებს აცნობა, რომ რუსი ინვესტორები აფხაზეთში ყიდულობენ საკუთრებას საქართველოს კანონების გვერდის ავლით და ამ საკუთრების ნაწილი შეიძლება ეკუთვნოდეს გადაადგილებულ პირებს, რაც კიდევ უფრო ართულებს მათს დაბრუნებას თავიანთ სახლებში. მან ხაზგასმით აღნიშნა აგრეთვე, რომ რუსეთის ბანკებს დამყარებული აქვთ საკორესპონდენტო ურთიერთობანი ლიცენზიის უქონებელ ბანკებთან. დიპლომატი ამტკიცებდა, რომ ეს არის „მიწვევა ფულის გათეთრებისკენ“. ამასთან დაკავშირებით ბუშის ადმინისტრაციამ მოუწოდა მოსკოვს, უარი თქვას მის მიერ ამასწინათ განხორციელებულ არაკონსტრუქციულ მოქმედებებზე და იმუშაოს სხვა მხარეებთან ერთად, რათა მოაწესრიგოს კონფლიქტები დიპლომატიური გზებით.

ამასთან ერთად ფრიდმა დააზუსტა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები „არ ცდილობს გამოდევნოს“ რუსეთი ამიერკავკასიიდან, ვინაიდან „ეს არის უგუნურობა და შეუძლებელი“. მისი აზრით, თეთრი სახლის პოლიტიკა ამ რეგიონში მეტად გამჭვირვალეა და არაორაზროვანი. „ჩვენ გვინდა დავეხმაროთ ამიერკავკასიის ქვეყნებს, იმოძრაონ იგივე გზით თავისუფლებისკენ, დემოკრატიისა და საბაზრო ეკონომიკისკენ, რომლითაც ბევრი მათი მეზობელი უკვე მიდის“. „საქართველომ გადაწყვიტა შეუერთდეს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს – ამერიკის შეერთებული შტატები და ნატოს წევრები ესალმებიან ასეთ არჩევანს და ამიტომ სახელმწიფო მდივნის მოადგილემ „მოულოდნელად“ გააკეთა ასეთი დასკვნა, – და საქართველოს მეზობლები პატივისცემით უნდა მოეპყრან ამ არჩევანს“. შემდეგ მან განაგრძელა: აზერბაიჯანმა უპირატესობა მიანიჭა იმას, რომ განავითაროს თანდათან თავისი ურთიერთობა ნატოსთან და ჩვენ ამას პატივისცემით ვეგებებით; სომხეთში სიტუაცია სხვაგვარია მისი ისტორიული გზისა და დღევანდელი რთული ურთიერთობის გამო ბაქოსთან და ანკარასთან, და ჩვენ აგრეთვე პატივისცემით ვეპყრობით მათ არჩევანს, – გადმოგვცემს იტარტასი. „ჩვენ არ მიგვაჩნია, რომ რომელიმე გარესახელმწიფო, მათ შორის რუსეთიც, უფლებამოსილია ჩართოს თავისი გავლენის სფეროში ეს ქვეყნები, – აღნიშნავს ფრიდი. – არც ერთი გარესამხელმწიფო არ უნდა დაემუქროს და გააძლიეროს ზეწოლა, ან დაბლოკოს ამ ქვეყნების სუვერენული არჩევანი შეუერთდნენ ევროპულ ინსტიტუტებს და ტრანსატლანტიკურ ოჯახს, თუკი ისინი ასეთ არჩევანს გააკეთებენ“.

ИЗВЕСТИЯ

# თბილისმა და მოსკოვმა ერთმანეთს პროვოკაციაში დასდეს ბრალი

**ოთხშაბათს** რუსი სამშვიდობოები, რომლებიც წინა დღით დააკავეს ზუგდიდის რაიონში ქართველმა პოლიციელებმა, გათავისუფლებული არიან. ამავე დროს ქართულმა მხარემ, რომელმაც მოახდინა მათი კუთვნილი სამხედრო ტვირთის – 20 ტანკსაწინააღმდეგო მართული რაკეტის (მეორე ვერსიით, დაახლოებით 35 ყუთი სხვადასხვა სამხედრო იარაღით) კონფისკაცია, განაცხადა, რომ ცისფერჩაფხუტიანები ცდილობდნენ მათ შეტანას კონფლიქტის ზონაში.

ინციდენტი მოხდა ზუგდიდის რაიონში სამშაბათს დაახლოებით შვიდის ნახევარზე. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსის შოთა უტიაშვილის განცხადებით, სამეგრელოს სამხარეო პოლიციას ჰქონდა ოპერატიული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ რუსი სამხედრო მოსამსახურეები ქართულ მხარესთან შეუთანხმებლად აპირებენ შეიტანონ კონფლიქტის ზონაში ზოგიერთი შეიარაღება. „სამშვიდობოების სატვირთო ავტომობილის დაკავება ზუგდიდის შესასვლელთან მოხდა რეალური ტვირთის შეუთავსებლობის გამო დოკუმენტაციასთან. ჩვენთვის გაუგებარია, რისთვის დასჭირდათ მათ კონფლიქტის ზონაში მართვადი რაკეტები“, – თქვა უტიაშვილმა.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებული ძალების სამშვიდობო ოპერაციების შტაბის უფროსმა მამუკა ყურაშვილმა ინციდენტის კომენტირებისას განაცხადა, რომ ქართული მხარე არ დაუშვებს ხელმოწერილი შეთანხმებების დარღვევას. „რუსი სამხედროები ცდილობდნენ შეექმნათ ამგვარი ბაზები თავისი შტაბის ტერიტორიაზე ზუგდიდის რაიონის სოფელ ურტაში. მაგრამ ჩვენ ამას არ დავუშვებთ, მაშინაც კი, თუ უკანონო სამხედრო ტვირთს გააცილებს მედესანტეების მთელი ბრიგადა. ასეთი ტიპის იარაღი, რომელიც ჩამორთმეულია, არ უნდა იმყოფებოდეს კონფლიქტის ზონაში. ეს რუსეთის მხარის პროვოკაციაა. რუსებმა უნდა გაიგონ, რომ ის, რის ნებასაც ისინი თავიანთ თავს აძლევდნენ ადრე, აღარასოდეს განმეორდება, – განაცხადა ყურაშვილმა და გაიმეორა პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის საყვარელი ფრაზა – საქართველო ძალიან შეიცვალა უკანასკნელი წლების განმავლობაში“.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურში გვაცნობეს, რომ ზუგდიდის რაიონში აფხაზეთის მხრიდან 35 ყუთი მართვადი ტანკსაწინააღმდეგო რაკეტების შემოტანასთან დაკავშირებით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. „მიმდინარეობს გამოძიება. ოთხი დაკავებული რუსი მშვიდობისმყოფელი 8-საათიანი დაკითხვის შემდეგ გადაეცა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში მშვიდობის შენარჩუნების კოლექტიური ძალების სარდლობის წარმომადგენელს. მათ დაუბრუნეს პირადი იარაღი და დოკუმენტები. სამხედრო ტვირთი, რომელსაც ისინი მიაცილებდნენ, ჩამორთმეულია, – განუცხადა ჩვენი გაზეთის კორესპონდენტს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრის ოფიციალურმა წარმომადგენელმა. იმის მიუხედავად, რომ სამხედრო მოსამსახურეები გათავისუფლებულია, ინციდენტი ამოწურული არაა. რუსეთის სამშვიდობო ძალების სარდლობის წარმომადგენელმა ვლადიმერ როგოზინმა ზუგდიდში ჟურნალისტებს განუცხადა: „სამშვიდობოების დაკავება იყო უკანონო და განხორციელდა არაცივილიზებულად. მე არასწორად მიმაჩნია ქართული მხარის მოქმედება, რომელმაც განაცხადა სამხედრო ტვირთის კონფისკაციის შესახებ. თუ ქვეყანა წინააღმდეგია ამ ტვირთისა, საჭიროა მისი დაბრუნება უკან, საიდანაც იგი მოჰქონდათ“.

ოთხშაბათს დილით ჩამორთმეული ნაღმებისა და რაკეტების დაბრუნების კატეგორიული მოთხოვნით გაჩნდა ამ ისტორიის ახალი დეტალები. ინციდენტის კომენტირებისას რუსეთის ფედერაციის ქვეითი ჯარების მთავარსარდლის თანაშემწემ პოლკოვნიკმა იგორ კონაშენკოვმა განაცხადა, რომ სამშვიდობოები დააკავეს არა პოლიციელებმა, არამედ უცნობმა სამოქალაქო პირებმა. „პოლიცია და ტელეჟურნალისტები ვითარების ადგილზე გამოცხადდნენ ოცი წუთის შემდეგ. მთელი ამ დროის განმავლობაში სამშვიდობოები იმყოფებოდნენ ავტომატების მიზნის ქვეშ... შემდეგ ისინი ბანდიტური სახით განაიარაღეს და მიიყვანეს პოლიციის განყოფილებაში, – განუცხადა კონაშენკოვმა მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენლებს. მისი სიტყვებით, სამშვიდობოები ასრულებდნენ სარდლობის ბრძანებას, არ აჰყოლოდნენ პროვოკაციას ინციდენტის ესკალაციის დაუშვებლობის მიზნით. „მსგავსი პროვოკაციული მოქმედებანი ქართული ძალოვნების მხრიდან პირველად როდი ხდება ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში... და ეს წარმოებს ყველა ნორმატიული დოკუმენტის დარღვევით, ვინაიდან ინციდენტი მოხდა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის უსაფრთხოების ზონაში და მხარეთა გამყოფი ხაზის მახლობლად“, – მიაჩნია იგორ კონაშენკოვს.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურში კატეგორიულად უარყვეს რუსი პოლკოვნიკის განცხადება. „პოლიციის მუშაკები ყოველთვის უნიფორმაში როდი აწარმოებენ ოპერაციებს. ალბათ, რუსეთშიც არ არის ეს იშვიათი შემთხვევა. თავისი განცხადებით ბატონი კონაშენკოვი ცდილობს შეცვალოს აქცენტები. პროვოკაცია იყო რუსი სამშვიდობოების მხრიდან, რომლებიც ცდილობდნენ შეეტანათ უსაფრთხოების ზონაში უკანონო იარაღი და არა ქართველი პოლიციელების მხრიდან, რომლებმაც აღკვეთეს ეს მოქმედება. ხოლო რისთვის სჭირდებოდათ რუსებს ეს, გამოიკვლევს გამოძიება“, – განაცხადა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა.







**იური სიმონიანი**

НЕЗАВИСИМАЯ ГАЗЕТА

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# კაზაკები აფხაზეთსა და საქართველოსთან საზღვრის დასაცავად მოქმედებას დაიწყებენ



**ყარაჩაელ-ჩერქეზი კაზაკები დაიწყებენ სამსახურს აფხაზეთთან და საქართველოსთან სახელმწიფო საზღვრის სამსახურში. ყარაჩაელ და ჩერქეზ ახალგაზრდა კაზაკობას სამხედრო სამსახურისათვის მომზადებაში დახმარებას გაუწევს ყუბანის კაზაკური ჯარი, რომელიც მზადაა ამ მიზნისათვის გამოყოს სახსრები თავისი ბიუჯეტიდან.** როგორც 19 ივნისს რია-რეგნუმის კორესპონდენტმა, ყარაჩაევო-ჩერქეზეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის პრესსამსახურზე მითითებით, გადმოსცა, კაზაკებისათვის ასეთი მნიშვნელობის გადაწყვეტილება მიღებული იქნა სამშაბათს სტანიცა ზელენჩუკსკაიაში, სადაც გაიმართა ბატალპაშინის კაზაკთა განყოფილების მორიგი შეკრება.

ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა ყარაჩაი-ჩერქეზეთის რესპუბლიკაში, მთავარმა ფედერალურმა ინსპექტორმა ალექსანდრე კოროზეინიკოვმა, ყარაჩაი-ჩერქეზეთის ვიცე-პრეზიდენტმა ვერა მოლდოვანოვამ, ყუბანის კაზაკი ჯარების ატამანმა ნიკოლაი დოლუდამ, ბატალპაშის კაზაკთა განყოფილების ატამანმა პაველ ზაპოროჟეცმა, ყარაჩაი-ჩერქეზეთის ყველა ეკლესიის ნეტარმა მამა ვალენტინმა (კოორნეევი), ზელენჩუკის მუნიციპალური რაიონის მეთაურმა ნიკალაი ბელანოვმა, რესპუბლიკის მუნიციპალური რაიონების მეთაურებმა და კაზაკთა სხვა გაერთიანებათა წარმომადგენლებმა.

იმის შესახებ, თუ როგორ იყენებენ ბატალპაშის კაზაკთა საზოგადოების პოტენციას, ისაუბრა თავის მოხსენებაში პაველ ზაპოროჟეცმა. ბატალპაშის კაზაკთა განყოფილების მუშაობის ძირითადი პრიორიტეტული მიმართულებანი, რომლებიც გაშუქებული იყო მოხსენებაში, – ეს არის ორგანიზაციულ-საკადრო მუშაობა, საკანონმდებლო ბაზის შექმნა, პატრიოტული მუშაობა, სულიერ- ზნეობრივი და ადმინისტრაციულ-სამეურნეო საქმიანობა.

პირველად რესპუბლიკის მხარდაჭერით შემუშავებულია, მოწონებულია და მიღებულია შესასრულებლად სამწლიანი პროგრამა – „ბატალპაშის კაზაკობისათვის მხარდაჭერა" და „კაზაკი ახალგაზრდობის პატრიოტული აღზრდა".

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელსაც შეეხო პაველ ზაპოროჟეცი, ეს არის „კანონი მუნიციპალური კაზაკური რაზმების შესახებ". ეს კანონი დღემდე შეუსრულებელია ზოგიერთი პუნქტის ურთიერთსაწინააღმდეგო შინაარსის გამო. მაგრამ მალე კანონში შეტანილი ცვლილებანი საშუალებას მისცემენ მათ დაძრან პრობლემა მკვდარი წერტილიდან.

ალექსანდრე კოროზეინიკოვმა შესთავაზა განესაზღვრათ კონკრეტული საკითხები, განეხილათ ისინი და მიეღოთ შესასრულებლად. ნიკოლაი დოლუდამ, თავის მხრივ, გამოთქვა მზადყოფნა, აღმოუჩინონ ფინანსური დახმარება ყუბანის კაზაკთა ჯარებს არაბიუჯეტური სახსრებიდან, კერძოდ, კაზაკების მიერ სამსახურის გავლა კონტრაქტით ყარაჩაევო-ჩერქეზეთის ტერიტორიაზე.

REGNUM

# საქართველო გულგატეხილია იმ უძრაობით, რაც მედვედევის გვერდით სუფევს



**რუსეთის ახალმა პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა ვერ გაამართლა თბილისის იმედები იმ მხრივ, რომ მისი ხელმძღვანელობით მოსკოვს არ შეუძლია შეამციროს დაძაბულობა ორი ქვეყნის ურთიერთობაში, განაცხადა სამშაბათს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა.**

„ის, რაც ჩვენ მოვისმინეთ, არ შეესაბამება ჩვენს მოლოდინს, – განაცხადა ეკა ტყეშელაშვილმა ასოშიეიტედ პრესის საინფორმაციო სააგენტოსთან ინტერვიუში. – ჩვენ გავიგეთ, რომ ამჟამად რუსეთს არ სურს მიმართოს საერთაშორისო შუამავლების სამსახურს". მისი სიტყვებით, 6 ივნისს სანქტ-პეტერბურგში საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის შეხვედრამ მედვედევთან არ მიგვიყვანა გარღვევამდე ამ შავიზღვისპირა ქვეყნის ძლიერ ჩრდილოელ მეზობელთან ურთიერთობის საკითხში.

როგორც ტყეშელაშვილი ამბობს, ჩვენ გადავეყარეთ უძრაობას რუსეთთან ურთიერთობაში. საქართველო ამჟამად უკვე ამყარებს იმედებს იმაზე, რომ ევროკავშირი შეასრულებს უფრო აქტიურ როლს განხეთქილების შეწყვეტაში პროდასავლური სააკაშვილის მთავრობასა და აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სეპარატისტული რესპუბლიკის პრორუსულ ხელისუფლებათა შორის.

„ჩვენ ევროკავშირის მეზობლები ვართ, ამიტომ ევროკავშირმა უნდა იკისროს უფრო მნიშვნელოვანი როლი მთელ ამ სიტუაციაში", – განაცხადა მან მოლაპარაკების წინა დღეს, რომელიც უნდა გაიმართოს ოთხშაბათს ნატოს შტაბ-ბინაში ბრიუსელში.

ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი საგარეო პოლიტიკის საკითხებში ხავიერ სოლანა ივნისში იმყოფებოდა საქართველოში, სადაც შეხვდა სააკაშვილს, აგრეთვე სეპარატისტული აფხაზეთის ლიდერებს. მისი სიტყვებით, მან განუცხადა აფხაზეთის წარმომადგენლებს, რომ ევროკავშირი ცდილობს მხარეთა შერიგებისათვის დახმარების გაწევას.

ყოფილი პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის დროს რუსეთმა გააძლიერა დახმარება სეპარატისტებისადმი, როდესაც საქართველომ დაიწყო აქტიური სწრაფვა ნატოსკენ. რუსი ჯარისკაცები იმყოფებიან აფხაზეთში 1994 წლიდან – სწორედ მაშინ ეს რეგიონი გამოეყო საქართველოს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ძალადობის აფეთქების შედეგად.

ამას წინათ რუსეთმა გააძლიერა კონტაქტები სეპარატისტულ ხელისუფლებასთან და გაგზავნა რაიონში დამატებითი ჯარები საქართველოს მთავრობის პროტესტის მიუხედავად. საქართველო ამტკიცებს, რომ რუსეთის თვითმფრინავმა ჩამოაგდო საქართველოს თავზე ქართული უპილოტო საფრენი აპარატი.

ტყეშელაშვილმა კვლავ განაცხადა საქართველოს შეშფოთების შესახებ იმასთან დაკავშირებით, რომ რუსეთი ცდილობს მოახდინოს აფხაზეთის ანექსია და თქვა, რომ რუსი სამშვიდობოები უნდა შეიცვალოს „ნამდვილი საერთაშორისო უსაფრთხოების ფორმატის" ძალებით.

მისი სიტყვებით, ასეთი გეგმა შეიძლება შეიცავდეს ევროპული სამშვიდობოების ან ერთობლივ პოლიციურ მისიას საქართველოსა და აფხაზეთს შორის სამშვიდობო პროცესის ჩარჩოებში საერთაშორისო მხარდაჭერით. რუსეთის მხარემ განაცხადა, რომ აფხაზეთში სამშვიდობო ოპერაციების შეწყვეტა გამოიწვევს კონფლიქტის გამწვავებას.

პუტინმა, რომელიც გახდა რუსეთის პრემიერ-მინისტრი მას შემდეგ, რაც მაისში საპრეზიდენტო უფლებამოსილება გადასცა მედვედევს, ამას წინათ ერთ-ერთი გაზეთისათვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ მიესალმება სააკაშვილის გეგმას მიენიჭოს აფხაზეთს ავტონომია და არა სრული დამოუკიდებლობა.

მიუხედავად ამისა, ტყეშელაშვილმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ვერ ხედავს აშკარა დადასტურებას მოსკოვის სურვილისა, ხელი შეუწყოს ამ გეგმის რეალიზაციას. „სამწუხაროდ, ის, რასაც ჩვენ ვხედავთ, აშკარად ეწინააღმდეგება სამშვიდობო პროგრესის პრინციპებს", – შეაჯამა მან.

International Herald Tribune

## დედამიწის ზურგზე

**ათასი** ტიბეტელი პატიმარი, რომლებიც ცდილობდნენ ჩინეთისაგან ტიბეტის გამოყოფას, დაიკარგა უგზო-უკვლოდ. სამართალდამცავებმა გამოაქვეყნეს მოხსენება, რომელშიც აღნიშნულია, რომ ჩინეთის ხელისუფლების მიერ დაკავებულ ტიბეტელებს სცემენ და არ აჭმევენ საჭმელს. მარტის მღელვარების შედეგად დაკავებულია დაახლოებით 4 ათასი კაცი. დაღუპულთა რაოდენობა უცნობია. ჩინელები ამაში ბრალს სდებენ დალაი-ლამას.

* * *

**დათრგუნული** ჰილარი კლინტონი ფიქრობს 20 მილიონი დოლარის ვალზე, ბილი კი დემაგოგიას ეწევა და გოლფს თამაშობს. წინასაარჩევნო კამპანიაში ჰილარი კლინტონმა განიცადა არა მხოლოდ დამარცხება, არამედ დაუგროვდა ვალი 20 მილიონი დოლარის ოდენობით. ატლანტიკის პლაჟზე დასვენების დროს, იგი, თვითმხილველთა სიტყვებით, იყო დათრგუნული და დაუძლურებული, თავისი მეუღლის ბილისაგან განსხვავებით. ის არაფერს არ აკეთებს, გარდა ლაპარაკისა ჰუმანიტარული დახმარების შესახებ, დაუსრულებელი ტრაპეზებისა და გოლფის თამაშისა.

* * *

**ემელიანე პუგაჩოვი** სურთ, რომ გახდეს უკრაინის გმირი: მას შეეძლო ქვეყანა გაეხადა დამოუკიდებელი. თავდაცვის სამინისტროს ოფიციალურ გამოცემაში პუგაჩოვს უწოდებენ თავისუფლების წინამორბედს. მან 170 წლით ადრე იცოდა, რომ „რუსეთის დატყვევებულ ხალხებს არ შეუძლიათ გათავისუფლდნენ დამოუკიდებლად, სათითაოდ, არამედ მათ შეუძლიათ მიაღწიონ ამას მხოლოდ მთელი კოლონიური იმპერიის დაშლის შედეგად".

* * *

**ერევანი** კვლავ აცხადებს სომეხი მოქალაქის დაღუპვის შესახებ აზერბაიჯანის საზღვარზე. სომხეთის მხარის განცხადებით აზერბაიჯანის მხრიდან სროლის შედეგად დაიღუპა სომხეთის მოქალაქე, 50 წლის რაფიკ სოღოიანი. დაღუპული ტავუშის ოლქის სოფელ ჩინარის მცხოვრებია. ამ ინფორმაციის გავრცელებამდე რამდენიმე საათით ადრე იტყობინებოდნენ ამ სოფლის კიდევ ერთი მცხოვრების მკვლელობის შესახებ. ინციდენტები საზღვარზე დაიწყო ორივე ქვეყნის პრეზიდენტის მოლაპარაკებიდან რამდენიმე დღის შემდეგ მთიანი ყარაბახის საკითხებზე.

* * *

**ზავი** ისრაელსა და „ჰამასს" შორის შევიდა ძალაში. „ჰამასის" წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დაჯგუფება დაიცავს ზავის პირობებს, მაგრამ არ კისრულობს პასუხისმგებლობას სხვა ტერორისტული ორგანიზაციების გამო. ისრაელში მიაჩნიათ, რომ ზავი იქნება არამდგრადი და მერყევი.

* * *

**იაპონიაში** შარშან თავი მოიკლა 33 ათასზე მეტმა კაცმა. დეპრესიები, ავადმყოფობა და ვალები – იაპონიაში თვითმკვლელობათა მთავარი მიზეზია, თანაც პირველ რიგში თვითმკვლელებად გვევლინებიან მამაკაცები 40 და მეტი წლის ასაკში. 2007 წელს ამომავალი მზის ქვეყანაში სიცოცხლე მოისწრაფა 2,9 პროცენტით მეტმა ადამიანმა, ვიდრე ერთი წლით ადრე.

* * *

**ბარაკ ობამამ** გამართა პირველი თათბირები თავის წამყვან მრჩევლებთან ეროვნული უსაფრთხოებისა და თავდაცვის საკითხებში. პირველ ასეთ თათბირში მონაწილეობდა 12-მდე სამოქალაქო სპეციალისტი, მეორეში – ოთხ ათეულზე მეტი სამხედრო. ობამას გვერდით საპატიო ადგილზე პირველ შემთხვევაში ისხდნენ ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი სახელმწიფო მდივანი მადლენ ოლბრაიტი და გადამდგარი კონგრესმენი ლი ჰამილტონი, მეორეში – ევროპაში ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების ყოფილი მთავარსარდალი გენერალი უესლი კლარკი.

* * *

**ასტრონომებმა** აღმოაჩინეს რამდენიმე ათეული პლანეტა მზის სისტემის საზღვრებს გარეთ, ისეთები, როგორიც ამ სისტემაშია. მიშელ მაიორმა ჟენევის ობსერვატორიიდან დაასკვნა, რომ დედამიწის მსგავსი პლანეტები შეიძლება არსებობდეს სულ ცოტა ყოველი მესამე მზის ტიპის ვარსკვლავის მახლობლად. აღმოჩენილთა შორის ყველაზე დიდია ვარსკვლავი, რომელიც 9,5-ჯერ მეტია დედამიწისაზე, ხოლო ყველაზე პატარა – სულ 4,2-ზე მეტი. მაგრამ ასტრონომები უფრო მეტად გააოცა არა ახალ სამყაროთა ზომიერმა სიდიდეებმა, არამედ მათმა ოდენობამ.

**აბა, გამოიცანით!**

# საქართველოში რომელი უფრო უხვია — საბიუჯეტო ჭარბი შემოსავლები თუ საგარეო ვალები?

**იოლი კითხვა არ გეგონოთ, თუმცა, არც იმის იმედი უნდა გვქონდეს, რომ ამ კითხვის დასმით ქართველ ხელისუფალთ ერთბაშად ბატებივით დავაბნევთ. როგორც გეკადრებათ, ამათ რომ მიმატება-გამოკლებისა და გამრავლება-გაყოფის საუკუნეობრივი გამოცდილების ყნოსვა არ ჰქონდეთ, ვერც ამდენ ბიუჯეტს დააგროვებდნენ და ვერც მილიარდიან საგარეო ვალებში ასე ხელმარჯვედ იცურავებდნენ.**

ეს რწმენა კიდევ უფრო გამიღრმავდა მას შემდეგ, რაც ტელევიზორით მოვისმინე, რომ მთავრობას მორიგი პრობლემა გაუჩნდა — მიმდინარე წლის პირველ კვარტალშივე ბიუჯეტში იმდენი შემოსავლები მოჯარდა, რომ აღარ იცის სად წაიღოს და მასში მორიგი ცვლილებების შესატანად ემზადება. ეს ავადმყოფობა (საბიუჯეტო პროფიციტიძ, როგორც მახსოვს, არც თუ შორეულ წარსულში ამერიკისაც სჭირდა, მაგრამ პრეზიდენტმა ბუშმა თავი მოიკლა და ქვეყანა ვიდრე ამ სენისგან არ განკურნა, ვერ მოისვენა. აქედან გამომდინარე, ცოტა უცნაურიც კია, ამერიკული ორიენტაციის ერთიანმა ნაციონალების გუნდმა, რომელიც ნიადაგ ოკეანისგაღმელი პარტნიორების ლაქუცა მხლებელია, ამ საქმეში რატომ წაიფორთხილა,მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება — ქვეყნის ეკონომიკის საყოველთაოდ აღიარებულ საერთაშორისო რეიტინგს საბიუჯეტო პროფიციტი აშკარად ჩაძირვით დაემუქრა (!ძ.

არადა სირცხვილით სად გამოვყოთ თავი — მსოფლიომ ამ დღეებში წარმატებულ რეფორმატორ სახელმწიფოთა შორის ერთ-ერთ გამარჯვებულად გვაღიარა, ჩვენ კი რით ვუპასუხეთ — საბიუჯეტო პროფიციტით (!ძ. ამას დაემატა მეორე კიდევ უფრო გაუგებარი წარმატება, 500 მილიონი დოლარის ღირებულების ევროობლიგაციების გამოშვება და ლონდონის საფონდო ბირჟაზე კონსპირაციულად განთავსება. როგორც მსხვილ-მსხვილი ქართველი ჩინოვნიკები აცხადებენ, ჩვენებურ ფასიან ქაღალდებზე მოთხოვნა იმდენად დიდი იყო, რომ ვაჭრობაში მონაწილე ინვესტორთა რაოდენობას თვლა არა ჰქონდა. ზოგი რამის დადგენა მაინც მოხერხდა — ქართული ბონდების ნახევარი ბრიტანელების, 13 პროცენტი ამერიკული ოფშორული კომპანიების ანგარიშებზე გადავიდა, დანარჩენი კი თურმე ევროპელმა და აზიელმა ინვესტორებმა დაიტაცეს.

**ამ წარმატების მიუხედავად, ერთი რამ მაინც ამოუცნობ გამოცანად დარჩა — თუ სახელმწიფო ბიუჯეტი იმდენად „წყალუხვია“, რომ ნაპირებიდან „გადმოედინება“, მთავრობას რაში დასჭირდა 500-მილიონიანი ევროობლიგაციების გამოშვება, მხოლოდ იმისთვის, რომ საგარეო ვალი 2,359 მილიარდ დოლარამდე გაეზარდა (?!ძ. არაო, გვიხსნიან, ეს ნაბიჯი იაფი და გრძელვადიანი რესურსის მოზიდვის მიზნით გადავდგით, რომელსაც გაზსაცავის, მცირე ჰესებისა და გადამცემი ხაზების მშენებლობას მოვახმართო. ყოველ შემთხვევაში, ადრე ამით ამართლებდნენ თავიანთ ჩიტირეკია საქციელს, ახლა კი გვეუბნებიან, გეგმები შევცვალეთ, ის თანხები, რომლებსაც უცხოეთიდან მოვიზიდავთ, ქვეყნის სტაბილური განვითარების ფონდის შესაქმნელად გვჭირდებაო.**

ისე, კაცმა რომ თქვას, გაზსაცავის მშენებლობა მართლაც არ არის ურიგო საქმე, მაგრამ თუკი უკვე გადაიფიქრეს? მცირე ჰესების აშენებაც არ გვაწყენდა, მაგრამ ექსპერტების აზრით, ამისთვის ვალის აღება სულაც არ იყო აუცილებელი, რადგან ქვეყანაში ენერგოსექტორი უკვე იქცა მომგებიან ბიზნესად და მასში თანხებს კერძო სექტორიც სიამოვნებით დააბანდებს.

მაგრამ, როგორც გვარწმუნებენ, მთავრობამ გადაიფიქრა და ამჯერად აღებულ ვალს უკვე გრძელვადიანი პროექტების განხორციელებას მოახმარს, თუმცა რომელია ეს გრძელვადიანი პროექტები, ხელისუფლებას ჯერჯერობით არ დაუკონკრეტებია. იქნებ გრძელვადიან პროექტში იმ 50-თვიან პროგრამას გულისხმობს, რომელმაც ქვეყანაში სიღარიბე და უმუშევრობა ერთხელ და სამუდამოდ უნდა დაამარცხოს? ალბათ, თორემ რატომ უნდა აელო პროფიციტური ბიუჯეტის მქონე ქვეყნის მთავრობას ერთბაშად 500 მილიონი დოლარის 7,5-პროცენტიანი საგარეო ვალი, მაშინ როცა შეეძლო ეს თანხა ნაწილ-ნაწილ ესესხა, რაზეც არც ერთი უცხოური ორგანიზაცია უარს არ იტყოდა.

**გონიერი მთავრობა ალბათ ასეც მოიქცეოდა, მაგრამ რადგან ხელისუფლებას არ სურს გაამხილოს, ნასესხებ თანხას რაში გამოიყენებს, ეკონომიკური ექსპერტები იძულებული არიან, იმარჩიელონ, თანაც, რა თქმა უნდა, არა ხელისუფალთა სასარგებლოდ. თავად ხელისუფალნი ასეთ შეფასებებს, ბუნებრივია აინუნშიც არ აგდებენ, პირიქით, თავსაც იწონებენ, თუნდაც იმ 50-დღიანი პროგრამით, რომელიც, მათი აზრით, წარმატებით დასრულდა. მართალია, მის განხორციელებას 50 დღეზე მეტი დასჭირდა, მაგრამ პენსიის 70 ლარამდე გაზრდას, სოფლის მოსახლეობის ტრაქტორებითა და დიზელის საწვავით დახმარებას, ახალი საფინანსო კანონმდებლობის მიღებას, „იაფი კრედიტების“ გაცემას და სხვა მრავალ სიკეთეს სწორედ მას მიაწერენ. მერე რა ვუყოთ, რომ სამოქალაქო სექტორმა, რომელმაც შეისწავლა 50-დღიანი პროგრამის ეფექტურობა, თავის დასკვნაში ჩაწერა, რომ მთავრობის მიერ იმ პერიოდში გაწერილი ბევრი ღონისძიება ფორმალური იყო და მხოლოდ ერთჯერად ეფექტზე გათვლილი. რაც მთავარია, პროგრამა დასრულდა, ამიერიდან იგი ჩაანაცვლა გაცილებით გრძელვადიანმა — 50-თვიანმა პროგრამამ, რომელიც ქვეყნიდან სიღარიბესა და უმუშევრობას განდევნის და სიმდიდრესა და კეთილდღეობას დაამკვიდრებს.**



სამუშაო ადგილების შესაქმნელად 50-თვიანი პროგრამა გრანდიოზული ეკონომიკური პროექტების განხორციელებას ითვალისწინებს. მარტო ფოთში აშენდება ასობით ახალი ქარხანა (ამდენის დატევა არ გინდა!ძ, რომლებშიც 20 ათასზე მეტი ადამიანი დასაქმდება. აშენდება და გაიხსნება ევროპასთან დამაკავშირებელი რკინიგზა, რომელიც ათასობით ოჯახს სტაბილურ შემოსავალს მოუტანს. რა თქმა უნდა, ყოველივე ამის და სხვა უამრავი გეგმის ხორცშესხმას მარტო საქმის კეთება და ლაპარაკის შეზღუდვა არ ეყოფა, საჭიროა დიდძალი თანხები, მათ შორის სესხებიც, რომლის აღებაზე გონიერმა და ამასთანავე, მამაცმა მთავრობამ, თუკი მას ხალხისთვის სიკეთე უნდა, უარი არ უნდა თქვას.

უარი არ უნდა თქვას მაშინაც კი, თუ მას გერმანიისა უკვე მართებს 182,6 მილიონი დოლარი, რუსეთისა — 120,5 მილიონი, თურქეთისა — 44,7 მილიონი, ამერიკისა — 39,8 მილიონი, ყაზახეთისა — 27,7 მილიონი დოლარი და ასე შემდეგ. არც მაშინ, თუ მან იცის, რომ ბიუჯეტის ხარჯებს ყოველწლიურად დაემატება დაახლოებით 40 მილიონი დოლარი, როგორც ვალის მომსახურების გადასახადი.

ამის მიუხედავად, ეკონომიკის ექსპერტებს მაინც ვერ გაუგიათ, რა საჭირო იყო საგარეო ვალის აღება, თუკი ჭარბშემოსავლიან ბიუჯეტს თავისუფლად შეეძლო 500 მილიონი დოლარის რეზერვის გამონახვა? დიდი გაუგებარი ხალხია ეს ექსპერტები!

**ოთარ ხუციშვილი**

**სიახლე**

# სასწაულმოქმედი ბიორაგი

## ამის მაგალითს უნივერსიტეტის ეზოშიც ნახავთ

**ყაზახეთში ოცწლიანი ცხოვრების შემდეგ საქართველოში დავბრუნდი, მაგრამ იქ შედარებით პატიოსან ბიზნესს შეჩვეული, აქ ვეღარ მოვერგე საქმეს და უკან დაბრუნებას ვაპირებდი, რაც გავუმხილე ჩემს სულიერ ძმას თორნიკე ალაშვილს. მან გადაწყვეტილება არ მომიწონა, მაგრამ დაამატა, თუ შენსას არ მოიშლი, მაშინ ერთ მეცნიერს, პროფესორ რამაზ გახოკიძეს გაგაცნობ, რომელმაც ბიოენერგოაქტივატორი „ბიორაგი“ შექმნა და 30 წელიწადზე მეტია, ამაოდ ცდილობს ქვეყნის ჯერ ძველი, ხოლო ამჟამად ახალი ხელისუფლების დაინტერესებას ამ ბუნებრივი პრეპარატით, რომელიც სასწაულებს ახდენს სოფლის მეურნეობაში. ყაზახეთში ხორბალია, რომლის მოსავლიანობას ბიორაგი ორ-სამჯერ ზრდის, სცადე. ამით იქნებ ყაზახი მეურნეები დააინტერესო და შენც იხეიროო.**

სიტყვას საქმე მოჰყვა და მეორე დღეს გავიცანი ბატონი რამაზი. მან ვიდეოზე მაჩვენა ყველა ის სასწაული, რისი გაკეთებაც ბიორაგმა შეძლო. მანვე მითხრა, თუ უნივერსიტეტში მოხვალ, ორ სასწაულს იქ გაჩვენებ, როგორ გააცოცხლა ბიორაგმა ხმობაში წასული ლეღვი და ადესის ჯიშის ყურძნის ვაზი, ორივე მათგანი უნივერსიტეტის ეზოში დგასო.

მეორე დღეს დათქმულ დროზე მივაკითხე უნივერსიტეტში ბატონ რამაზს და ვნახე გამხმარი ლეღვის ხე, რომელიც ნახევრად მუქი მწვანე ყლორტებით შემოსილიყო. ვაზის ტალავერს კი, რომლის ჩრდილში ჯერ კიდევ 1967 წლის აგვისტოს პაპანაქებაში ვიდექი და უნივერსიტეტში ჩარიცხულთა სიას ვუცდიდი (ვაზი საკმაოდ ხანდაზმულია და იქნებ ბუნებრივი სიკვდილითაც კვდებოდაძ, რქათა ნახევარზე მეტი გახმობოდა. დანარჩენიდან მეტრზე გრძელი ყლორტები გამოეღო და ყურძნის ჯერაც დაუყვავილებელი მტევნებით იყო დახუნძლული. შავი ვაზიდანაც მრავლად წამოეღო ახალი ყლორტები, რომ-



ლებსაც 3-4 მტევანი ამშვენებდა. ეს მართლაც საოცრება იყო.

უნივერსიტეტიდან საჯარო ბიბლიოთეკაში წავედი, სადაც სამი დღე ვამუშავებდი ბატონ რ. გახოკიძის წიგნ „ბიოენერგოაქტივატორს“. წაკითხული მართლაც გამაოგნებელი იყო. გქონდეს ასეთი პრეპარატი (რომლის შექმნაში ნებისმიერი ქვეყანა მილიონებს გადაიხდიდაძ და ხალხს საზღვარგარეთ ჩამოწერილი და სანახველაზე გადასაყრელი სურსათით კვებავდე, შეუნდობარი ცოდვაა.

წაკითხულიდან ჩემი განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ თურმე „ბიორაგი“, გარდა ბიოლოგიურად სუფთა, უხვი მოსავლისა, მნიშვნელოვნად ამაღლებს მცენარეთა იმუნიტეტს და სენშეუვალს ხდის. თუ ეს ასეა, მაშინ გამოდის, რომ კეთილშობილი ვაზის ჯიშები: რქაწითელი, საფერავი, ალექსანდროული და ბევრი სხვა, ბიორაგის დახმარებით ისეთივე სენშეუვალი შეიძლება გავხადოთ, როგორიცაა: ადესა, კაჭიჭი, დირბულა, თითა და სხვა ათობით ჯიში, რომლებიც ყოველგვარი შეწამვლის გარეშე იძლევიან უხვ მოსავალს.

რა თქმა უნდა, ყაზახეთში წასვლა გადავიფიქრე და ამჟამად ჩემი ამ ჩანაფიქრის ხორცშესხმაზე ვმუშაობ: ჩემს სოფელში (ჭიათურის რაიონშიძ ჩავყარე 100 ძირი ცოლიკაურისა და რქაწითელის ჯიშის ვაზი და ვიმედოვნებ, მიზნის მიღწევას.

დავუბრუნდეთ იმ ტალავერს. ბატონმა რამაზმა მითხრა, ეს სასწაული ერთმა ლიტრმა ბიორაგმა მოახდინა, რომელიც ვაზს აპრილის დასაწყისში ფესვებში ჩავუსხითო.

ის ზაფხული დარიალში მონასტრის მშენებლობაზე გავატარე. ოქტომბრის დასაწყისში დავბრუნდი თბილისში და მივაკითხე უნივერსიტეტში ბატონ პროფესორს. გზად ტალავერი მოვინახულე. ჩემდა გასაკვირად, ყურძენი შუა მწიფობაში იყო, როცა მიზეზი ვკითხე ბატონ რამაზს, მითხრა, პირველი მოსავალი სექტემბრის დასაწყისში დავკრიფეთ, ეგ მეორე მოსავალიაო. გამოვედი და კვლავ დავაკვირდი ვაზს. აღმოჩნდა, რომ ყველა რქას ნამხრევები ამოეღო, ნამხრევებს ყურძენი დაესხა და სწორედ ის მწიფდებოდა მეორე მოსავლად.ყველა მევენახემ იცის, რომ მეორე მოსავალს მხოლოდ განსაკუთრებული სიძლიერის მქონე ვაზები იძლევიან.

წლეულს ბიორაგის გამოცდის ჩემი პროგრამა შევიმუშავე. სოფელში ვენახის ჩაყრისა და თესლის მიწისთვის მიბარების შემდეგ, შუა აპრილში, კვლავ მოვინახულე უნივერსიტეტის ეზოში ის ტალავერი. სამწუხაროდ, ვაზი არავის გაუსხლავს და ყველა კვირტი გაღვიძებოდა. რადგან გასხვლის არავითარი შანსი არ იყო, ჩვენ ბიორაგით გადავწყვიტეთ ვაზის დახმარება და კვლავ ჩავუსხით ფესვებში ნახევარი ლიტრი ბიორაგის ხსნარი. მალე კვირტიც გაიშალა და ყველა მათგანიდან 4-5-მტევნიანი რქა წამოვიდა. მართალია, გაუსხლავი ადესისათვის ბევრი მტევნის დასხმა ჩვეულებრივი მოვლენაა, მაგრამ პატრონის უყურადღებობას ვაზი გაყვავილობის დროს ასწორებს და ყველა მტევანზე მხოლოდ იმდენი მარცვალს ტოვებს, რამდენის დამწიფებაც შეუძლია. ჩვენდა გასაკვირად, ჩვენმა ვაზმა წარმატებით დაიყვავილა და მის მტევნებს ერთი მარცვალიც არ დაჰკლებია. ასე რომ, დღეისათვის უნივერსიტეტის პირველი კორპუსის შიდა ეზოში ამაყად დგას ადესის ტალავერი, რომელსაც ჩვეულებრივზე 8-16-ჯერ მეტი ყურძენი ასხია და მარცვლის განვითარებით ორ კვირაზე მეტი დროით უსწრებს ქალაქში არსებულ ანალოგიური ჯიშის ვაზებს.

ჩემი ზღაპარივით მონათხრობი რომ ზღაპარი არ არის, ამაში ნებისმიერს შეუძლია დარწმუნდეს, თუ არ დაიზარებს და საკუთარი თვალით იხილავს ბიორაგით მოხდენილ ამ საოცრებას. ის უკვე მოინახულა მწერალმა ოტია იოსელიანმა. როცა მან ასფალტში ამოზრდილი ეს საოცრება იხილა, აღფრთოვანება ვერ დაფარა და ბრძანა: „ა, ბატონო, დასტური იმისა, რომ თურმე საქართველოში ტონობით ყურძნის მოყვანას, ახალი ზვრების გაშენება სულაც არ სდომებია. ჩარგე ასფალტში ერთი ძირი ვაზი და ყოველწლიურად ნახევარ ლიტრ ბიორაგს ნუ დაინანებ“.

ბიორაგით მოყვანილი სიმინდის, ლობიოს, კიტრის, პამიდვრის და კარტოფილის უხვი მოსავალი ყველა დაინტერესებულ პირს შემოდგომაზე შემიძლია ვაჩვენო. ხორბლის 50-60 პროცენტით გაზრდილი მოსავალი კი ხვალვე შემიძლია ვანახო ყველას. ვინც სოფელ კუმისში მესტუმრება. იქვე გაჩვენებთ, თუ როგორ დავამარცხე ბიორაგით ატმის ფოთლის ხუჭუჭა.

დასასრულ, იმედს გამოვთქვამ, რომ ქვეყანაში გამოჩნდება ხელისუფალი ან ბიზნესმენი, რომელიც დაინტერესდება იმ მილიარდებით, რაც ამ პრეპარატებში დევს და სათანადო დახმარებას გაუწევს პროფესორ რამაზ გახოკიძეს, რათა მისმა ქმნილებამ დროულად მიაღწიოს მომხმარებლამდე და იხსნას მიწა იმ კატასტროფისგან, რომელსაც მას პესტიციდების გამოყენება უქადის.

**გიორგი გაბრიჭიძე,**
ეკონომისტი.

**სურათზე: პროფესორი რამაზ გახოკიძე თავის ლაბორატორიაში.**

◉ ევრო – 2008

# ტოტალური რუსეთი



**კონტინენტის ჩემპიონატის ჯგუფურ ეტაპზე გამართული 24 შეხვედრიდან მხოლოდ 3 დასრულდა ფრედ, რაც თვალნათლივ ადასტურებს გადატანილ ბრძოლათა უკომპრომისო ხასიათს. თუ მართლაც ასეა საქმე, მაშ რაღას მივაწეროთ სამიოდე წითელი ბარათიო (შვაინშტაიგერი, აბიდალი, დემირელიძ – იკითხავთ, ალბათ. პასუხი მარტივია – მსაჯები პროფილაქტიკის მიზნით მატჩების დებიუტშივე გაფრთხილებებით სჯიდნენ დამრღვევებს, რაც უმეტეს შემთხვევაში სასიკეთო შედეგს იღებდა.**

რაც შეეხება მეოთხედფინალისკენ მქროლავ მატარებელს, უკანასკნელნი მას რუსები შეახტნენ, რასაც სტარტზე ესპანელთაგან ნაწვნევი ალიყურის (1:4ძ შემდეგ ცოტა ვინმე თუ იწინასწარმეტყველებდა. ვფიქრობთ, ჩრდილოელთა ეს წარმატება სავსებით კანონზომიერია და აი, რატომ: რუსულ სპორტში განხორციელებულ მსუყე ინვესტიციებს და საკითხისადმი სახელმწიფოებრივ მიდგომას ადრე თუ გვიან აუცილებლად



უნდა მოეტანა გამარჯვებები. ეს პროცესი, ბუნებრივია, ვერც ფეხბურთს აუვლიდა გვერდს. არც აუვლია – საკლუბო ტრიუმფს (ცსკა-ს და სანკტ-პეტერბურგის „ზენიტის" მიერ უეფას თასის მოპოვებაძ „დერჟავის" ნაკრების ალმასვლა მოჰყვა, რაც მისი ჰოლანდიელი თავკაცის გუს ჰიდინკის სახელს უკავშირდება.

თუ არა მისი, მაშ ვისი დამსახურებაა გათანამედროვებული ტოტალური ფეხბურთის ის ნიმუში, ინსბრუკის სტადიონზე შვედებთან გამართულ ყოფნა-არყოფნის შეხვედრაში რომ შემოგვთავაზეს დისკვალიფიკაციამოხდილმა არშავინმა, სემაკმა, ზირიანოვმა, ბილიალეტდინოვმა, ჟირკოვმა, პავლიუჩენკომ და მათმა პარტნიორებმა.

ამ მატჩზე საუბარს ერთი წინადადებით დავასრულებთ: სკანდინაველები უფალს უნდა უმადლოდნენ, რომ მეტოქემ უდიდესი სათამაშო უპირატესობა მხოლოდ 2:0-ით (პავლიუჩენკო, არშავინიძ გამოხატა, თუმცა პლეი-ოფში გასასვლელად ესეც საკმარისი აღმოჩნდა. მით უფრო საინტერესოა, როგორ განვითარდება მოვლენები ჰიდინკის თანამემამულეებთან მომავალ ჯახში (21 ივნისიძ, რომელშიც ფავორიტის გამოცნობა, ალბათ, ტოტალიზატორთა მესვეურებსაც გაუჭირდებათ.

დაგვეთანხმებით, ეპითეტებით შემკობას „დ" ჯგუფის ყოჩი – ესპანეთიც იმსახურებს, რომელმაც ჰოლანდიელთა და ხორვატთა მსგავსად პირველი წინაღობა უდანაკარგოდ გადალახა. აღსანიშნავია, რომ ზედიზედ მესამე გამარჯვება ევროპის აწ უკვე ექს-ჩემპიონებთან – ბერძნებთან პირენეელებმა „დუბლებით" მოიპოვეს – 2:1 (დე ლა რედი, გუისა; ხარისტეასიძ. მეოთხედფინალში ლუის არაგონესის შეგირდებს გაცილებით მძიმე გამოცდის ჩაბარება მოუწევთ ტრადიციულად უხერხული მეტოქის – იტალიის ნაკრების წინააღმდეგ (22 ივნისიძ.

* * *

**„მუნდიალ-2010"-ის შესარჩევი ციკლი.**

**სამხრეთ ამერიკის ზონა. VI ტური. ბრაზილია – არგენტინა 0:0, ურუგვაი – პერუ 6:0, ბოლივია – პარაგვაი 4:2, ეკვადორი – კოლუმბია 0:0.**

**ლიდერთა ჯგუფი: პარაგვაი – 13, არგენტინა – 11, კოლუმბია – 10, ბრაზილია – 9 ქულა.**

◉ მხარე

**დიხანს ეკიდა სოფლის თავზე საავდრო ღრუბელი. კიდევ უფრო რომ დამძიმდა და ტყვიისფერი გახდა, ღრუბლებიდან ელვა გამოკრთა და დაიქუხა კიდეც. კასპის რაიონის სოფელ თელიანში, უწინ კარაღაჯად რომ იწოდებოდა, ჭიდაობის ზეიმისთვის ემზადებოდნენ და ამინდის გაუარესება არავის აძლევდა ხელს. ბუნებამაც, თითქოს თელიანელების გულისთქმა გამოიცნოო, მოქურუხებული ღრუბლები ერთად შეჰყარა და კავთისხევისკენ წაიღო. სოფლის თავზეც გაიხსნა და მზემაც გამოანათა. შვებით ამოისუნთქა ყველამ: ზეიმს წინ აღარაფერი ედგა.**

**თელიანი რომ ჭიდაობაში განთქმულია, არახალი ამბავია. აქაურ მოჭიდავეებზე საოცარ ამბებს ყვებიან.**

# გიჭიდავიათ თელიანში?

**თქვენ იქ ყოველთვის გელიან**

– მალე ომის შემდეგ, საერთო გაჭირვების, უფულობის, უპუროზის, მაგრამ დიდი რწმენისა და იმედიანობის ჟამს, – მეუბნება ცნობილი მოჭიდავე და მწვრთნელი, საქართველოს ჩემპიონი სამბოში მიხეილ პაპინაშვილი, – მცხეთაში ქართული ჭიდაობის ფალავნები შეიყარნენ და იასპარეზეს კიდეც. თელიანელ გიგლა და სერგო პაპინაშვილებს გვიან შეუტყვიათ და რადაი არც ტრანსპორტი იყო და ფულიც არ ჰქონდათ, ფეხით ჩავიდნენ მცხეთაში. შეჯიბრება ის-ის იყო დაემთავრებინათ. „თქვენი არაფერი გვინდა, ისე ვიჭიდავებთ, ბოლოსდაბოლოს, კასპიდან ფეხით ჩამოვსულვართო". დათანხმებულან ტურნირის ორგანიზატორები. გამოუყვანიათ გამარჯვებული ფალავნები. დაძგერებულან სერგო და გიგლა, ბეჭებზე ხან ერთი გაუკრავთ, ხან მეორე, მერე მადლობა გადაუხდიათ მასპინძლებისთვის და ისევ ფეხით გამოუწევიათ სოფლისკენ.

თელიანში დღესაც პატივისცემით იგონებენ გამორჩეულ მოჭიდავეებს, გორის პედაგოგიური ინსტიტუტის აღზრდილებს სულხან და შოთა ბახტაძეებს. სულხანი საქართველოს შვიდგზის ჩემპიონი იყო ქართულ ჭიდაობაში, შოთა – ორგზის. ძმებმა სოფლად ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებისთვის ბევრი რამ გააკეთეს და მოჭიდავეების მთელი თაობაც აღზარდეს.

შორს გაიტანეს მშობლიური სოფლის სახელი აქაურმა ფალავნებმა შოთა გულიაშვილმა, შოთა მაზმიშვილმა, ამირან პაპინაშვილმა, ნუგზარ მამულაშვილმა, რომლებიც საქართველოს მრავალგზის ჩემპიონები არიან ქართულ ჭიდაობაში, „შეთავსებით" კი შოთა მაზმიშვილი და შოთა გულიაშვილი – სსრკ ჩემპიონები სამბოში, ნუგზარ მამულაშვილის ვაჟი, კახა, მსოფლიო პირველობის პრიზიორია სამბოში, ამირანი, ამირან პაპინაშვილის შვილიშვილი, საქართველოს ნაკრების წევრი, ძიუდოში ევროპის ჩემპიონატის პრიზიორია...

საიდან ამ ერთი ჩვეულებრივი ქართული სოფლიდან ამდენი ჩემპიონი და პრიზიორი, ამდენი ევროპის და მსოფლიო მასშტაბის მოჭიდავეები? – იკითხავთ, ალბათ.

საიდან და, ამ ნახერხმოყრილი სოფლის საჭიდაო მოედნიდან! აქ იზრდებიან, ფრთიანდებიან კუნთმაგარი ყმაწვილები, მომავალი სპორტსმენები, შემდეგ კი კასპის, გორისა და თბილისის სპორტულ სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში ოსტატდებიან.



იმ დღეს თელიანმა ქართულ ჭიდაობაში შიდა ქართლის მხარის ნაკრებ გუნდებს უმასპინძლა.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შიდა ქართლის სამხარეო ორგანიზაცია და მისი უცვლელი ხელმძღვანელი გივი ხაჩიძე კვლავაც ნაყოფიერ საქმიანობას ეწევიან ხალხური თამაშების აღორძინების, სპორტის მასობრივი სახეობების დანერგვისა და პოპულარიზაციისთვის. ქართულ ჭიდაობაში მხარეებს შორის გუნდური შეჯიბრება ერთმანეთთან მისვლა-მოსვლის სისტემით გივი ხაჩიძის ოცნების პროექტია და ისიც ცდას არ აკლებს მის ხორცშესხმას. მანამდე კი შიდა ქართლის ნაკრების დასაკომპლექტებლად თელიანში რაიონების ნაკრები გუნდები შეხვდნენ ერთმანეთს. მასპინძლებს ჩინებულად მოეწყოთ საჭიდაო სარბიელი, მაყურებელი – მთელი სოფელი, სტუმრები თბილისიდან – ჭიდაობის ფედერაციიდან, გორიდან – ცნობილი მწვრთნელები და სპეციალისტები, საპატიო სტუმრები ჰოლანდიიდან – ევროპის რეგიონული ასამბლეის დელეგაცია, რომელიც ამ დღეებში საქართველოში მოგზაურობს. შეჯიბრებაში მონაწილე გუნდების მაყურებლისთვის წარდგენა, აღლუმი, ჰიმნი, დროშა, ყვავილები და მისალმება, დოლი და ზურნა, ტაში და ყიჟინა – სხვა რა უნდა ჭიდაობას? ფეხის გამოკვრა? – ესეც იყო! სარმა და ლოჯური, კაური და მოგვერდი, ცერული და კისრული, მოკლედ, სულო და გულო, შენ მხოლოდ შექძლი და მეტოქე „ნახერხნაჭამი" გაუშვი მოედნიდან...

თელიანელებმა საჭიდაო მოედანზე მხარის ბევრი ცნობილი სპორტსმენი იხილეს. შეჯიბრება ოლიმპიური სისტემით მოეწყო. ფინალში კასპელი და გორელი მოჭიდავეები დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. გორელებმა აშკარად დაჩაგრეს მეტოქეები და იმარჯვეს ანგარიშით 6:1 (გუნდი შეჯიბრებისთვის მოამზადა გივი ზაუტაშვილმაძ. მათვე გადაეცათ ტურნირის მთავარი პრიზი. მესამე-მეოთხე ადგილებზე გავიდნენ ქარელისა და ხაშურის გუნდები.

ტურნირის ფალავნის ტიტულისთვის 16 მოჭიდავე ეცილებოდა ერთმანეთს. გორელმა პაატა ღვინიაშვილმა შეძლო ყველა მეტოქის დამარცხება და მას სპეციალურ პრიზთან ერთად „ცოცხალი" პრიზიც მიჰგვარეს – რქებმორკალული ერკემალი.

სხვა პრიზებიც ბევრი იყო. დასაჩუქრდა ყველა, ვინც თავი გამოიჩინა.

საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე, გორის უნივერსიტეტის სპორტის ცენტრის უფროსი გივი ხაჩიძე, რომლის საქმიანობასაც მხარის რწმუნებულის ადმინისტრაცია უწევს თანადგომას, ქართულ ჭიდაობაში რეგიონის ნაკრები გუნდების შემდეგი ეტაპის შეხვედრებისთვის ემზადება. იგი სავარაუდოდ აგვისტოში გაიმართება ხაშურის რაიონის სოფელ ვაყაში.

**გურამ ვაშაკიძე.**
**„სრ" საკ. კორ.**

◉ ინტერნეტიდან

## „ოქროს ბუცი" — კრიშტიანუ რონალდუს

**დამთავრდა ევროპის სპორტულ გამოცემათა ასოციაციის (FSMძ კონკურსი „ოქროს ბუცის" მფლობელი საუკეთესო ბომბარდირის გამოსავლინებლად.** ეს საპატიო პრიზი მოიპოვა „მანჩესტერ იუნაიტედის" პორტუგალიელმა ნახევარმცველმა კრიშტიანუ როლანდუმ. მან დააგროვა 62 ქულა – 31 გოლი, გამრავლებული ეროვნული ჩემპიონატის კოეფიციენტზე, მეორე ადგილზეა დანიელ გუისა („მალიორკა", 54 ქულაძ, მესამე ადგილი კი დაისაკუთრა კლას-იან ჰიუნტელარმა „აიაქსიდან" – 49,5 ქულა.

## ტრაგედია რალი-რეიდზე

**ის მოხდა რალი-რეიდზე „ტრანსორიენტალი", რომლის მარშრუტია სანკტ-პეტერბურგი-პეკინი. ყაზახეთში მარათონის მეექვსე მონაკვეთის – მოგეტსაიარკალიკის-120-ე კილომეტრის გავლის დროს ვლადიმერ ჩაგაევის ეკიპაჟის „კამაზთან" შეჯახების დროს დაიღუპა ფრანგი მოტომრბოლი ფილიპ ტონინი, ხოლო მოგვიანებით ჰოსპიტალში თავის ტვინის სერიოზული ტრავმით გარდაიცვალა ჩინელი მრბოლი სუი ლანი.**

როგორც საფუძვლიანმა გამოკვლევამ დაადასტურა, ამ ტრაგედიაში ჩაგინის ეკიპაჟი დამნაშავე არ იყო. რალი-რეიდის ორგანიზატორების გადაწყვეტილებით ყაზახეთის ტერიტორიაზე გაუქმდა მარათონის 322-კილომეტრიანი სპეც-მონაკვეთი – არკალიკ-ბოტაკარა. ის მიჩნეული იყო როგორც ზეჩქაროსნულ, სხვადასხვა სიღრმის ფონებიან ტრასად.



## კარლსენს ვინ დაეწევა?

**ფოროსში დასასრულს მიუახლოვდა მე-19 კატეგორიის საჭადრაკო სუპერტურნირი – Aerosvit.**

ტურნირის დამთავრებამდე ორი ტურით ადრე, მე-9 ტურის შემდეგ ლიდერობს ახალგაზრდა ნორვეგიელი დიდოსტატი კარლსენი, რომელმაც 9 შესაძლებლიდან 7 ქულა დააგროვა, შემდეგ მოდიან უკრაინელები ელიანოვი – 5,5 ივანჩუკი და კარიაკინი – 5 ქულა, რუსეთელები ალექსეევი, სვიდლერი და იაკოვენკო – 4,5, ვოლოკიტინი (უკრაინაძ და ნისიპიანუ (რუმინეთიძ – 4, ვან ველი (ჰოლანდიაძ და შიროვი (ესპანეთიძ – 3,5 და ბოლოს ონიშჩუკი – (აშშძ – 3 ქულა.

ალბათ დარჩენილ ორ ტურში კარლსენს ვერავინ დაეწევა.

## ვიქტორიას გადასარევი კოცნა სცოდნია

**80-იანი წლების ცნობილი „დონ-ჟუნი" კორი ჰეიმი ძალზე გულახდილი გახდა... თუმცა ახლა ის სათვალაში აღარაა, მაგრამ მაინც უნდა ყურადღების მიზიდვა. ახლახან მან გაიხსენა ის დრო, როდესაც ვიქტორია ბექჰემს ხვდებოდა.**

„ის გადასარევად იკოცნება, მე მიჭირს შესაბამისი სიტყვების შერჩევა, ეს რომ აღვწერო, – განუცხადა მან ბრიტანულ ტელევიზიას, – ის ტუჩებზე გკბენს – ეს კი გადასარევია".

ის ვიქტორიას 90-იანი წლების შუაში ხვდებოდა, როცა ლამაზმანი ჯერ კიდევ არ იცნობდა დევიდ ბექჰემს. ყოფილი მსახიობის განცხადებით, ის ვიქტორიას შეხვდა სტუდიაში, სადაც ის ჯგუფის „სპაის გიორლზის" სხვა წევრებთან ერთად მივიდა.



„მანქანიდან გადმოხტა ხუთი ქალიშვილი უაზრო მაკიაჟითა და უცნაური ჩაცმულობით. როდესაც ჩემი და ვიკის მზერა ერთმანეთს შეხვდა, მოვალე ვიყავი, გავვარშიყებოდი!" – იხსენებს ჰაიმი.

შემდეგ მსახიობს ნარკოტიკებისა და დალევის პრობლემა გაუჩნდა მომღერალი კი ინგლისის ნაკრების ნახევარმცველს გაყვა ცოლად და სამი შვილიც გაუჩინა.

◉ განძი

# შვედური „ქორწილი“ საქართველოში

**კიდევ ერთხელ გაგვახარა გამომცემლობა „ინტელექტმა“.**

**ნობელის პრემიის ლაურეატების პროექტით გამოვიდა გამოჩენილი შვედი მწერლის – პროზაიკოსის, პოეტისა და დრამატურგის – პერ ფაბიან ლაგერკვისტის რჩეული მოთხრობების კრებული „ქორწილი“.**

18 ივნისს, ტრადიციისამებრ, „ინტელექტის“ თავკაცმა კახმეგ კუდავამ წიგნის კურთხევაზე მიიწვია გამომცემლობის მეგობრები – ცნობილი მწერლები, მხატვრები, ლიტერატურათმცოდნეები, კრიტიკოსები, ჟურნალისტები...




უკვე აღიარებული გამომცემლობის დირექტორმა კიდევ ერთხელ შეგვახსენა საკუთარი გეგმები და შეკრებილ საზოგადოებას წარუდგინა შვედი მწერლის შემოქმედების მთარგმნელი მანანა მიქელაძე და წიგნის წინასიტყვაობის ავტორი, ქართული ენისა და ლიტერატურის გამორჩეული პედაგოგი კახეთიდან ეთერ ბერიაშვილი. მათი ნააზრევის მოსმენის შემდეგ წიგნის კურთხევის მონაწილეებმა ერთმნიშვნელოვნად აღიარეს, რომ პერ ლაგერკვისტის კრებულის გამოცემა დიდი შენაძენია თანამედროვე ქართული მთარგმნელობითი ლიტერატურისთვის.

სადა, დახვეწილი, მდიდარი ლექსიკით თარგმნილი მოთხრობები – „იუჰან – მაცხოვარი“, „მომთხოვნი სტუმარი“, „ბიჭუნების სამხედრო ლაშქრობა“, „ჯალათი“, „განთავისუფლებული ადამიანი“, „ბარაბა“ და, რაღა თქმა უნდა, კრებულის მთავარი მშვენება „ქორწილი“, აგრეთვე, შესანატრი გემოვნებით დაწერილი წინასიტყვაობა – „მზე ყოველ ადამიანშია“ იმის წინაპირობა გახლავთ, რომ წიგნი ყველა თაობის ადამიანს დააინტერესებს.

– უპირველესად, ახალგაზრდებს... „ინტელექტის“ შესანიშნავი პროექტი „ასი ლექსი“, რომელმაც უკვე ჩვენი გამოჩენილი პოეტების ნააზრევი მოიცვა, ისეთივე ძვირფასი საქორწინო-სამზითვო საჩუქარია ქალიშვილებისა და ჭაბუკებისთვის, როგორიც ოდითგანვე „ვეფხისტყაოსანი“ იყო, – თქვა შეხვედრაზე პროფესორმა ნოდარ ტაბიძემ.

მრავალი გულითადი, საქებარი სიტყვა ითქვა გამომცემლობა „ინტე;ლექტის“ შემოქმედებითი კოლექტივის მიმართ. კახმეგ კუდავა და მისი რაზმი კიდევ ერთხელ შეაგულიანეს ფრიდონ ხალვაშმა, ზაზა აბზიანიძემ, მანანა ჩიტიშვილმა, რევაზ (ემელიანე) ადამიამ, გივი ბოჯგუამ და სხვებმა...

თანამედროვე ქართველ გამომცემლებს შორის ყველაზე ქველმოქმედმა მწიგნობარმა კახმეგ კუდავამ კურთხევაზე მოწვეული ყველა სტუმარი პერ ლაგერკვისტის ახალი კრებულით დაასაჩუქრა...

იქნებ, სხვა გამომცემლებსაც მიებაძათ მისთვის!..

**სპარტაკ ქობულია**

◉ ინფორმაცია

## მალე ახალციხეც გამრიცხველიანდება

**ახალციხის ინდივიდუალურად გამრიცხველიანება 1 ივლისისთვის დასრულდება. ამის შესახებ კომპანია „ენერგო-პრო ჯორჯია“-დან იტყობინებიან.**

„ენერგო-პრო ჯორჯია“ თანამედროვე, ევროპული ტიპის ელექტრომრიცხველებს 6 500-მდე აბონენტს დაუმონტაჟებს, რის შემდეგაც ახალციხე მთლიანად გამრიცხველიანდება.

ამ დროისთვის, 4 878 ინდივიდუალური მრიცხველია დამონტაჟებული, რომელთა უმრავლესობა ბილინგის მონაცემთა ბაზაში უკვე შეტანილია და შესაბამისად აღნიშნული აბონენტები მოხმარებული დენის საფასურს უკვე ინდივიდუალურად იხდიან. ინდივიდუალური მრიცხველების მონტაჟი ყველა ტექნიკური სტანდარტებისა და უსაფრთხოების ნორმების დაცვით ხდება.

**ინტერპრესნიუსი**

საქმე №2-81

## განჩინება

### გაკოტრების კრედიტორთა კრების მოწვევის შესახებ

11 ივნისი 2008 წელი ქ. გორი

**გორის რაიონული სასამართლოს მოსამართლე დავით პაპუაშვილმა**

**ზეპირი მოსმენის გარეშე ერთპიროვნულად განიხილა შპს „მეჯვრისხევის მეფრინველეობის სანაშენე რეპროდუქტორის“ გაკოტრების მმართველის ირაკლი ხაჩიძის განცხადება გაკოტრების კრედიტორთა კრების მოწვევის შესახებ.**

**დაადგინა:**

შპს „მეჯვრისხევის მეფრინველეობის სანაშენე რეპროდუქტორის“ გაკოტრების მმართველის ირაკლი ხაჩიძის განცხადება დაკმაყოფილდეს.

მოწვეული იქნეს შპს „მეჯვრისხევის მეფრინველეობის სანაშენე რეპროდუქტორის“ კრედიტორთა კრება 2008 წლის 27 ივნისს 16 საათზე გორის რაიონული სასამართლოს შენობაში (მის: ქ. გორი, ჯორბენაძის ქ. №30) „რეპროდუქტორის“ ქონების რეალიზაციით მიღებული თანხის განაწილების ცხრილის დამტკიცების მიზნით.

ამ განჩინების შესავალი და სარეზოლუციო ნაწილები გამოქვეყნდეს ცენტრალურ და ადგილობრივ პრესაში, აგრეთვე განთავსდეს სასამართლოს დაფაზე;

განჩინების ასლები გადაეგზავნოს კრედიტორებს.

განიმარტოს, რომ განჩინების გავრცელებიდან 2 (ორი) დღის შემდეგ გამოქვეყნება შესრულებულად ითვლება გაკოტრების საქმის წარმოების ყველა მონაწილის მიმართ;

განჩინებაზე კერძო საჩივარი არ დაიშვება.

**მოსამართლე დავით პაპუაშვილი**

◉ ჰოი, დედანო!

**რეკორდსმენი კოსმონავტი ქალები კოსმოსში ყოფნის დღეების მიხედვით**



**1. პ. უიტსონი, აშშ, 376 დღე-ღამე, 17 საათი და 23 წუთი (ორი გაფრენა)**



**2. შ. ლიუსიდი, აშშ, 223 დღე-ღამე, 2 საათი და 58 წუთი (ხუთი გაფრენა)**



**3. ს. ჰელმსი, აშშ, 210 დღე-ღამე, 23 საათი და 11 წუთი (ხუთი გაფრენა)**



**4. ს. უილიამსი, აშშ, 194 დღე, 18 საათი და 4 წუთი (ერთი გაფრენა)**



**5. ე. კონდაკოვა, რუსეთი, 178 დღე-ღამე, 10 საათი და 43 წუთი (ორი გაფრენა)**

**ვინ გაფრინდა:**
**აშშ – 41 ქალი,**
**რუსეთი – 3 ქალი,**
**კანადა – 2 ქალი,**
**საფრანგეთი – 1 ქალი,**
**დიდი ბრიტანეთი – 1 ქალი,**
**იაპონია – 1 ქალი,**
**კორეა – 1 ქალი.**

◉ კოლეგის ნაჩუქარი

# შეცდომაც და დანაშაულიც

**გუშინ რედაქციაში ჩვენი ძველი კოლეგა და მეგობარი, საქართველოს დამსახურებული ეკონომისტი, ქვეყნის ბიზნესის სფეროთა ინტერესების დაცვის კავშირის თავმჯდომარე, გაზეთ „თანადგომის“ დამფუძნებელი და გამომცემელი ანზორ ბაბუხადია გვეწვია. ბიჭებო, ჯანზე როგორა ხართო, იკითხა მისთვის ჩვეული ინტელიგენტური მანერითა და დაუყვედრებელი ღიმილით, მერე ხელჩანთა გახსნა, იქიდან „ახლად გამომცხვარი“ წიგნები ამოალაგა და სათითაოდ ჩამოგვირიგა.**




ვიდრე გადავშლიდი, თვალში მეცა ყდაზე შავი, მსხვილი ასოებით გამოკვეთილი სათაური „შეცდომა თუ დანაშაული?!“ გასაგებია, გავიფიქრე, ამ წიგნით ჩვენი მეგობარი მეცნიერ-ეკონომისტი და პუბლიცისტი, ჩანს, თავის გახმაურებული კრიტიკული წერილებისა და ინტერვიუების (ისინი ძირითადად გამოქვეყნებულია გაზეთებში „საქართველოს რესპუბლიკა“ და „სარკმელი საქართველოსი“) ციკლს აგრძელებს. ორი წიგნი ადრევე გამოსცა, ეს მესამეა. მისი ნაყოფიერებისა და პრინციპულობის ამბავი რომ ვიცი, ალბათ, არც მეოთხეს დააყოვნებს.

რახან ავტორზე ჩამოვარდა სიტყვა, ცოტასაც დავამატებ. ჩემი ხანგრძლივი ჟურნალისტური მოღვაწეობის პერიოდში ვის აღარ შევხვედრივარ – გამოჩენილ მეცნიერებს, ეკონომისტებს, ბიზნესმენებს, პრაქტიკოს მეწარმეებს, მაგრამ ისეთი მრავალმხრივი, ულრუბლო აზროვნების, ეროვნული ინტერესებისა და მისწრაფებების მქონე პიროვნებას, როგორიც ანზორ ბაბუხადია გახლავთ, ძალიან იშვიათად. და გულიც მომსვლია ხელისუფლების რბილ სავარძლებში მსხდომ თავქერქეტა ჩინოვნიკთა მისამართით – თქვე კაიდედმამიშვილებო, ამისთანა კაცი თუ გყავთ გვერდით, რომლის აზრი და გამოცდილება მალამოსავით მოეცხება უხეში შეცდომებისა თუ დანაშაულობათა წყალობით სასიკვდილოდ დაჭრილ ქართულ ეკონომიკას, მისი სამკურნალო რჩევების მისაღებად რაღა საზღვარგარეთ დ ა რ ბ ი ხართ. ვითომ მსოფლიო ბანკის, საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და სხვათა წყალწყალა რეკომენდაციები საკუთარ ქვეყანას ქართველ მეცნიერთა და პრაქტიკოსთა ნააზრევზე უკეთ მოერგება?

აკი ვერც მოერგო. საქართველოში უცხოური ფინანსური ინსტიტუტების ,ბალცეროვიჩის, ვალავისა და სხვა უთვალავი გადამთიელის რჩევებით „ნაშენები“ ეკონომიკა მთლიანად ჩაკვდა, რასაც ხელი შეუწყო ვითომ ლიბერალურმა, მაგრამ სინამდვილეში დრაკონულმა საკანონმდებლო ბაზამ, რომელიც მეწარმეებსა და ბიზნესმენებს არათანაბარ და არაკონკურენტულ პირობებში აყენებს. მათთან ერთად დაუცველია მომხმარებელიც, რომელიც იძულებულია შეიძინოს უცხოეთიდან შემოტანილი ფალსიფიცირებული, ჯანმრთელობისათვის საშიში პროდუქტი, რადგან ის ადგილობრივ პროდუქციაზე გაცილებით იაფია. ეს, ბუნებრივია, ანადგურებს სამამულო წარმოებას და ახალისებს იმპორტს. საქართველოს მწარმოებელი ქვეყნიდან გადაიქცა სხვისი პროდუქციის გამსაღებელ ქვეყნად, რასაც ზედ დაერთო მეორე დიდი უბედურებაც – რადგან საკუთარს ვერ ვქმნით, ხალხიც დაუსაქმებელი დარჩა, დაცარიელთა სოფლები, ქვეყანა მოიცვა მასობრივმა უმუშევრობამ და სიღარიბემ.

აი რას ებრძოდა და ახლაც უკომპრომისოდ ებრძვის ბატონი ანზორ ბაბუხადია თავის საგაზეთო პუბლიკაციებითა და კრიტიკული გამოსვლებით. ის თავიდანვე გრძნობდა, რა დამღუპველი შედეგები შეიძლება მოჰყოლოდა საქართველოში საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების რეკომენდაციების გაუაზრებელ რეალიზებას, არასწორ ეკონომიკურ სტრატეგიას, ფაბრიკა-ქარხნების გაჩერებას, გლეხობის მიერ სოფლების მასობრივად დატოვებას, ქვეყნის დოვლათის შემქნელის მომხმარებლად გადაქცევას, სახელმწიფოს მიერ ეკონომიკის მარეგულირებელი ბერკეტების გამოუყენებლობას, საბაჟო გადასახადების მოუწესრიგებლობას, აგრეთვე, მთელ რიგ სხვა მცდარ ნაბიჯებსა და დანაშაულობებს, რომელთა ავტორი იყო საქართველოს ხელისუფლება და დღესაც არის.

ამდენ დარღვევათა და დანაშაულთა მხილების შემდეგ, სრულიად ბუნებრივად მეჩვენება, რომ ავტორს წიგნისთვის „შეცდომა თუ დანაშაული?!“ დაურქმევია, თუმცა, ვფიქრობ, უფრო მორგებული იქნებოდა მეორე სათაური – „შეცდომაც და დანაშაულიც“, რამეთუ მისი შემოქმედნი ერთდროულად ორივეს იმსახურებენ. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ეკონომიკური სფეროს მაღალ პოსტებზე ამ საქმის არმცოდნე „სპეციალისტების“ დანიშვნა, რამაც დარგი განადგურებამდე მიიყვანა, განა ქვეყნისა და ხალხის წინაშე უდიდეს დანაშაულად არ აღიქმება? „ერთხელ, მთავრობის სხდომაზე, წერს ანზორ ბაბუხადია, ქვეყნის პრეზიდენტს ისიც კი გავუბედე, რომ რაც დღეს ქვეყანაში ხდება, ამის მთავარი მიზეზი საკადრო პოლიტიკაში დაშვებული დანაშაულებრივი შეცდომები არისმეთქი. ვისაც ვგულისხმობდი, ადვილად მიხვდა, მაგრამ კამათის გაგრძელება საჭიროდ არ ჩათვალა“.

ბატონ ანზორ ბაბუხადიას რომ გაბედულება არ აკლია, ხოლო ხელისუფლებას – კრიტიკისადმი ალერგია, ეს საყოველთაოდ ცნობილია. ამიტომ სათქმელს აღარ გავაგრძელებ, თანაც მკითხველის დროსაც გავუფრთხილდები, თორემ ამ პატარა წიგნის მიხედვით, მთავრობა უფრო „დიდ შექებას“ რომ იმსახურებს, ეს თავად მთავრობასაც მშვენივრად მოეხსენება!

**ოთარ ხუციშვილი**

## წიგნის მოყვარულთათვის

# „ქართულ ენციკლოპედიას“ დამფინანსებელი, ჯერჯერობით, არ ჰყავს



**საინფორმაციო პრესცენტრ „რია-ნოვოსტიში“ ქართული ენციკლოპედიის მთავარი რედაქტორის, რუსეთში საქართველოს ყოფილი ელჩის ზურაბ აბაშიძის ბრიფინგი გაიმართა. მან ჟურნალისტებს ქართული ენციკლოპედიის რედაქციის მუშაობის შესახებ უამბო.**

ქართულ ენციკლოპედიას 1966 წელს ჩაეყარა საფუძველი, ეს იყო პირველი ეროვნული რედაქცია საბჭოთა სივრცეში, — თქვა ზურაბ აბაშიძემ, — მაშინ ამ საქმეს ბევრი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა, თუმცა მაინც მოხერხდა და გასული საუკუნის 80-იან წლებში დასრულდა „ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის“ 12-ტომეულის გამოცემა. მას შემდეგ მსოფლიოში ბევრი რამ შეიცვალა, ამიტომ, ვფიქრობთ, ენციკლოპედია განახლებას საჭიროებს.



ძნელი აღმოჩნდა დამფინანსებლის პოვნა, რადგან ენციკლოპედიის გამოცემა ძვირი სიამოვნებაა. ბატონმა ზურაბმა აღნიშნა, რომ რუსეთში თითოეული ტომი მილიონობით რუბლი ჯდება. ჯერჯერობით სპონსორებს ეძებენ, თუმცაღა ვარაუდობენ, რომ 12-ტომეულის ნაცვლად, შემცირებულ ვარიანტზე შეჩერდნენ. სამაგიეროდ, ის საკმაოდ უნივერსალური იქნება.

ენციკლოპედია ერის პასპორტია, — თქვა ზურაბ აბაშიძემ, — ისეთი პატარა ქვეყანა, როგორიც საქართველოა, ვერ „გაეკიდება“ ევროპას მეცნიერებასა და ნეოტექნოლოგიებში, მაგრამ იმას, რაც ჩვენია, უნდა გავუფრთხილდეთ და მოვუაროთ.

ქართული ენციკლოპედიის რედაქცია, რა თქმა უნდა, უმოქმედოდ არა არის, ის თემატურ პროექტებზე მუშაობს. რამდენიმე კვირის წინათ, საკმაოდ უნიკალური „ქართული ენის ენციკლოპედია“ გამოვიდა. მხოლოდ 800 ტირაჟით და 35 ლარი ღირს. წიგნი ენათმეცნიერების ინსტიტუტთან ერთად მომზადდა. შეადგინა ლ. კობალავამ, ხოლო დააფინანსა „თი-ბი-სი“ ბანკმა.

სავარაუდოდ, ერთ თვეში კომპანია „ჯეოსელის“ ხელშეწყობით, გამოიცემა „ქართული დამწერლობის ენციკლოპედია“ ელენე მაჭავარიანის ავტორობით, რომელიც სრულყოფილ ინფორმაციას მოგვცემს ქართული დამწერლობის განვითარების შესახებ.

ჩაფიქრებულია ენციკლოპედიური ლექსიკონის გამოცემა, „თბილისი: ქუჩები, მოედნები, პროსპექტები“, რომელიც თბილისის ფოტოებითა და რუკებით იქნება დასურათებული. მას თბილისის მერია დააფინანსებს და უკვე შემოდგომაზე იხილავს მკითხველი.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ სულ მალე გამოიცემა ენციკლოპედია სავარაუდო სათაურით „ქართული ბრიტანიკა“. როგორც მთავარმა რედაქტორმა გაგვარკვია, ქართული ენციკლოპედიის რედაქციამ ურთიერთობა დაამყარა დიდ ბრიტანეთთან, მათი დახმარებით, უნივერსალური ინფორმაცია უახლეს საერთაშორისო მასალებზე აიგება, 10-15 პროცენტი ქართული ამბებით გაჯერდება და უკვე მომავალ წელს ქართველ მკითხველს არაჩვეულებრივი გამოცემა ხელთ ექნება.

ზურაბ აბაშიძე, რატომღაც, მოწვეული ჟურნალისტების სიმრავლემ გააკვირვა და თქვა, მეგონა, ჟურნალისტებს პოლიტიკის გარდა, წიგნი არ აინტერესებდათო.

მან წიგნის აუცილებლობაზე ისაუბრა და აღნიშნა, იმის მიუხედავად, რომ ინტერნეტი თითქმის ყოველწუთიერი ინფორმაციებით არის სავსე, მოზარდი თაობისათვის წიგნი აუცილებელია და მის მიმართ ინტერესი უნდა გავუღვივოთო.

**ნია ფიფია**

## კუდი

**მართალია, ხელისუფლება ამტკიცებს, კერძო საკუთრება ხელშეუხებელია და ადრე წართმეული მხოლოდ დაშვებული გადაცდომების შედეგიაო (თუმცა მათ დაბრუნებას არც ფიქრობსძ, მაგრამ რეალური სურათი უცვლელი რჩება. ბიზნესმენების დაშინება, შანტაჟი და ამგზით მათთვის საკუთრების ჩამორთმევა, კვლავ ძალაშია.**

# გასდის და აკეთებს!

მცხეთაში ერთ-ერთი რესტორნის თანამფლობელმა მევლუდ გელაშვილმა, „მერსედეს ბენცი მლ 400 ცდი“ ცოტა ხნის წინათ 30 ათას დოლარად შეიძინა. მანქანის ჩამოყვანიდან დიდი დრო არ იყო გასული, რომ გელაშვილს სამსახურში 3 პიროვნება მიადგა და კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლად წარუდგინა თავი. მათ გელაშვილს მოსთხოვეს წამოეყვანა მანქანა და „მერსედესის“ ცენტრში გაჰყოლოდა, რათა გადაემოწმებინათ მანქანის წარმომავლობა. გელაშვილი წაჰყვა. კომპიუტერულ მონაცემებში ყველაფერი მფლობელის ხელთ არსებული მონაცემების იდენტური აღმოჩნდა. კუდელები გელაშვილის სახლში ასე ადვილად გაშვებას არ აპირებდნენ. მათ ამჯერად გერმანიიდან მანქანის ქარხნის საიდენტიფიკაციო ნომრის გადამოწმება მოითხოვეს, პოლიციელებმა თითქოს გადაამოწმეს ყველაფერი (მფლობელისათვის არავითარი დოკუმენტი არ წარუდგენიათძ და დაადგინეს, რომ ქარხანაში გელაშვილის „მერსედესის“ საიდენტიფიკაციო ნომერი არ არსებობს. კუდელებმა დაასკვნეს, რომ მანქანა არის არაქარხნული წესით დამზადებული და მეპატრონე კუდის, ე.წ. „მოდულის“ შენობაში წაიყვანეს.

დააკავებული მეოთხე სართულზე აიყვანეს. ერთ-ერთ კაბინეტში შეყვანამდე მას ჩამოართვეს მობილური ტელეფონი, სხვა პირადი ნივთები, შარვალზე შეხსნეს ქამარი და ისიც ჩამოართვეს. ამგვარი ღონისძიებები ტარდება მხოლოდ იმ პირთა მიმართ, რომელიც ცნობილნი არიან ეჭვმიტანილებად და სასამართლოს მიღებული აქვს წინასწარი პატიმრობის გადაწყვეტილება. სპეციალისტთა ვარაუდით, დააკავებულის მიმართ ამგვარი ღონისძიება პირველ რიგში ითვალისწინებდა დაშინებას, შანტაჟსა და ფსიქოლოგიურ ზეწოლას.

გელაშვილი კაბინეტში მარტო 4 საათი ჰყავდათ ჩაკეტილი. ამის შემდეგ მასთან შევიდა კუდ-ის თანამშრომელი, რომელიც მალხაზ შიუკაშვილად გაეცნო და განუცხადა აქედან მანქანას ვერ წაიყვანო. შიუკაშვილმა გამოსავლის ფორმაც შესთავაზა. ბიზნესმენს საკუთარ ქონებაზე ნებაყოფლობით ეთქვა უარი. თან დაურთო, რომ თუ ასე არ მოხდებოდა, სერიოზული პრობლემები შეექმნებოდათ როგორც მის ბიზნესს, ასევე ოჯახის წევრებს. ამასთანავე, „მერსედესს“ მაინც ჩამოართმევდნენ და 10 ათასი ლარითაც დააჯარიმებდნენ. გელაშვილმა სახლში გაშვება და მოსაფიქრებლად დროის მიცემა მოითხოვა, რაზეც უარი მიიღო. ბიზნესმენი იძულებული გახდა შემოთავაზებულს დასთანხმებოდა. უკვე გვიანი იყო და ქონების გადაფორმების ფორმალური მხარე მეორე დღისათვის გადაიდო. იგი სახლში გაუშვეს.

მეორე დღეს გელაშვილი კვლავ დაიბარეს კუდ-ში და იქიდან ეკონომიკის სამინისტროში წაიყვანეს, სადაც აუხსნეს, რომ ადგილობრივი თანამშრომლების თანდასწრებით კერძო საკუთრება ეკონომიკის სამინისტროსთვის უნდა გადაეფორმებინა, შედგა შესაბამისი ოქმი, რომლის მიხედვითაც მერსედესის მფლობელი გელაშვილი თავის საკუთრებას ნებაყოფლობით და უსასყიდლოდ გადასცემდა ეკონომიკის მართვის სამინისტროს ქონების მართვის დეპარტამენტის მთავარ სპეციალისტს მირიან ჩაჩავას.

გელაშვილს ეგონა, რომ ყველაფერი მალე გაირკვეოდა და კუთვნილს დაიბრუნებდა. მხოლოდ მაშინ, როდესაც ნახა, რომ არაფერი სასიკეთო არ ხდებოდა, ქმედით ღონისძიებებზე გადავიდა. მან მიმართა გენპროკურატურას, რათა დავის საგნად ქცეულ „მერსედესზე“ ყადაღა დაედოთ, რადგან დიდია ალბათობა იმისა, რომ სარჩელის გაცნობის შემდეგ მანქანა ეკონომიკის სამინისტრომ კერძო პირზე გაასხვისოს და საერთოდ დაიკარგოს.

დააკმაყოფილებს კი პროკურატურა დაზარალებულის სარჩელს, ხოლო სასამართლო სამართლიან გადაწყვეტილებას მიიღებს? — ძნელი სათქმელია.

**ზაზა ბილიხოძე**

## ინფორმაცია

### იურიდიული დახმარება ლონდონურად

**ლონდონში, დიდი ბრიტანეთის „სამართლებრივი მომსახურების კვლევების ცენტრის“ ორგანიზებით სამდღიანი საერთაშორისო კონფერენცია მიმდინარეობს, თემაზე: „ახალი მიდგომები ეფექტიანი იურიდიული დახმარების უზრუნველსაყოფად“.**

როგორც იუსტიციის სამინისტროდან იტყობინებიან, ღონისძიებას გრინვიჩის სამეფო სამხედრო-საზღვაო კოლეჯი მასპინძლობს და მას იურიდიული დახმარების სფეროში მომუშავე სხვადასხვა ქვეყნის ცნობილი მეცნიერები და სპეციალისტები ესწრებიან. საქართველოს მხრიდან ღონისძიებაში იუსტიციის სამინისტროს იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორი რუსუდან ტაბატაძე მონაწილეობს.

კონფერენციის მიზანია იურიდიული დახმარების სფეროში დაგროვილი გამოცდილების ურთიერთგაზიარება და ახალი იდეების შემუშავება. დიდი ბრიტანეთის „სამართლებრივი მომსახურების კვლევების ცენტრი“ 1996 წლიდან მოქმედებს. ორგანიზაცია სამართლებრივი კვლევებისა და იურიდიული დახმარების სისტემის რეფორმირების საკითხებზე აქტიურად მუშაობს.

**ინტერპრესნიუსი**

**საქართველოს ქალთა საბჭო ღრმა მწუხარებას გამოთქვამს და თანაუგრძნობს ქალთა საბჭოს თავმჯდომარეს ქალბატონ მზექალა შანიძეს და მის ოჯახს შვილიშვილის**

**დაჩი ალხაზაშვილის**

**გარდაცვალების გამო.**

---

**გია და ზურაბ ბაბუნაშვილები ოჯახებით იუწყებიან ბიძის**

**მალხაზ იოსების ძე ბაბუნაშვილის**

**გარდაცვალებას. პანაშვიდი 19, 20 VI, დაკრძალვა 21 VI (შაბათიძ 15 სთ. მისამართი: სვანეთის უბანი, ბაგრატიონის ქ.№ 16.**

---

**ზურაბ ერქვანია თანაუგრძნობს ბატონ თენგიზ აბულაძის ოჯახს**

**გიორგის**

**ტრაგიკულად დაღუპვის გამო.**

## მოგვმართავენ, გვეკითხებიან

რუბრიკას უძღვება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.

**კითხვა: ვარ II ჯგუფის ინვალიდი, მეუბნებიან, სტაჟს მნიშვნელობა არ აქვს, პენსიის მინიმუმი გეკუთვნისო. იქნებ ამიხსნათ, რას შეადგენს მოქმედი კანონით პენსიის მინიმუმი?**

**პაატა კაპანაძე**

**პასუხი:** მოქმედი კანონის თანახმად, ინვალიდობის პენსიის მინიმალური ოდენობა შეადგენს 55 ლარს, რაც ენიშნებათ II ჯგუფის ინვალიდებს, სტაჟის ხანგრძლივობის მიუხედავად.

**კითხვა: ვარ II ჯგუფის ინვალიდი, ეკონომიკურად უკიდურესად გამიჭირდა და გადავწყვიტე, მიუხედავად ცუდი ჯანმრთელობისა, მაინც ვიმუშაო. გთხოვთ, განმიმარტოთ, რომელ ინვალიდებს ეძლევათ პენსია მუშაობის პერიოდში?**



**ლაშა შენგელია**

**პასუხი:** მუშაობის პერიოდში პენსიის მიღების უფლება აქვს ყველა ინვალიდს, რომლებიც იმუშავებენ ისეთ დაწესებულებაში, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტიდან არ ფინანსდება. რაც შეეხება საჯარო სამსახურში მუშაობას, ამ შემთხვევაში პენსიის გაცემა უგრძელდებათ მხოლოდ მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსისა და მხედველობის გამო მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირებს (ე.ი. I ჯგუფის ყველა ინვალიდს, ხოლო II ჯგუფის მხოლოდ იმ ინვალიდებს, რომელთაც ინვალიდობა მინიჭებული აქვთ მხოლოდ მხედველობითძ.

**კითხვა: ვარ ასაკით პენსიონერი,ვიღებ თვეში 80 ლარს, მაქვს 49 წლის შრომის სტაჟი. მეუღლე გარდამეცვალა, ორი შვილი მყავს, მაგრამ ორივე სამსახურიდან შტატების შემცირების მოტივით დაითხოვეს. გთხოვთ, შეგვატყობინოთ, მოიმატებს თუ არა პენსია?**

**გივი წოწონავა**

**პასუხი:** გაცნობებთ, რომ ჯერჯერობით ჩვენთვის არ არის ცნობილი, როდის მოხდება პენსიების გაზრდა. თუ რა ცვლილებები მოხდება კანონში პენსიონერთა საკეთილდღეოდ, დაუყოვნებლივ შეგატყობინებთ.

**კითხვა: თუ შეიძლება, აგვიხსენით, რა იგულისხმება გამოთქმაში — იმყოფებიან სრულ სახელმწიფო კმაყოფაზე?**

**კოტე შიოშვილი**

**პასუხი:** სულ სახელმწიფო კმაყოფაში იგულისხმება კვებით, თავშესაფრითა და ტანსაცმლით უზრუნველყოფა ინსტიტუციებში მყოფი პირებისა, რომლებიც არიან სახელმწიფო დაფინანსების ფარგლებში.

**მოგვმართეთ, შეგვეკითხეთ: 98-65-87.**

რეკლამა კოსტავას 12
„საქართველოს რესპუბლიკაში“
98-65-87; 899 32-85-76.

## ფოტომატიანე



მსტისლავ როსტროპოვიჩი და გია ყანჩელი. ორი კლასიკოსის შეხვედრა 8 წლის წინათ საფრანგეთში გაიმართა, ევიანის საერთაშორისო ფესტივალზე, რომელსაც უცვლელად უძღვებოდა მსტისლავ როსტროპოვიჩი. კონცერტი უკვე დამთავრდა, რომ მოულოდნელად გამოჩნდა კომპოზიტორი გია ყანჩელი და როსტროპოვიჩი მისკენ ხელებგაშლილი გავარდა.



მოსკოვის კაზმული ხელოვნების მე-5 საერთაშორისო სალონზე ფოტომხატვარმა ალექსანდრა კრემერ-ხომასურიძემ გამოფენა „Live musik" წარმოადგინა.

## ინფორმაცია

# „მეგაფონი" დააჯარიმეს

**საქართველომ კანონმდებლობის დარღვევის გამო რუსული მობილური კომპანია „მეგაფონი" 5000 ლარით დააჯარიმა.**

როგორც საქართველოს კომუნიკაციების მარეგულირებელ კომისიაში აცნობეს, ღია სააქციო საზოგადოება „მეგაფონის" სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე უკანონო საქმიანობის გამო დაჯარიმდა.

საქართველოს კომუნიკაციების მარეგულირებელ კომისიაში აღნიშნული საკითხის განხილვა 11 ივნისს დაინიშნა და ამის შესახებაც კომპანიას ეცნობა, თუმცა კომისიის სხდომაზე „მეგაფონის" წარმომადგენლები არ გამოცხადდნენ და საქმის განხილვის გადადების თაობაზე არც რაიმე შუამდგომლობა წარმოადგინეს.

მარეგულირებელი კომისიის გადაწყვეტილებით, „მეგაფონს" საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის თანახმად 5000-ლარიანი ჯარიმა დაეკისრა. ამასთანავე „მეგაფონის" შემოწმებასთან დაკავშირებული მასალები გენერალურ პროკურატურას გადაეგზავნება.

**ინტერპრესნიუსი**

## ძვირფასო მკითხველო!

ჩვენს გაზეთში თქვენთვის საჭირო განცხადების ან რეკლამის განსათავსებლად შეგიძლიათ ისარგებლოთ იმეილის ან ფაქსის საშუალებით. ინფორმაციის მიღებისთანავე თქვენ დაგიკავშირდებათ ჩვენი რედაქციის წარმომადგენელი და მოგაწოდებთ ყველა საჭირო მონაცემს.

იმეილი: sakresp@ayety.ge
ტელეფონი: 98-65-87 (89932.85.76ძ.
ფაქსი: 98-65-87.

## ქირავდება

კომერციული ფართი – 100 კვ. მ. ნავთლუღის ბაზრის პირდაპირ. ამჟამად ფუნქციონირებს სრულყოფილი აფთიაქი. დაგვირეკეთ: 70.70.95 (დღისით, 20 სთ-მდეძ, 91-24-91 (საღამოსძ, – 899-37.00.35; იკითხეთ მანანა.

## იყიდება ბინა!

5-ოთახიანი, კეთილმოწყობილი ბინა, ბელეტაჟზე, დიდი აივნით (საერთო ფართობი 200 კვ.მ.ძ. ვაკე. ატენის ქ.№3. ტ: 23-03-12, 38-09-01, 855 52-87-92. ფასი შეთანხმებით.

## კრიმინალი

# ძებნილები დააკავეს

**საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა სამი ძებნილი დააკავეს.**

როგორც შსს-ს პრესსამსახური იუწყება, ნარკოდანაშაულისთვის ძებნილები გია თევდორაძე და ჯამბულატ თურმანიძე იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოსა და აჭარის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა დააკავეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მცხეთა-მთიანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა კი, დააკავეს თავისუფლების უკანონოდ აღკვეთის მუხლით ძებნილი იმედო რევაზიშვილი.

რეკლამა კოსტავას
„საქართველოს რესპუბლიკაში"
98-65-87; 899 32-85-76.

## კადრი



## ანეკდოტები

დედამ ოთხი წლის მიხო ნევროპათოლოგთან მიიყვანა.

– ბიჭუნი, აბა, მითხარი, რამდენი თათი აქვს კატას? – ეკითხება ექიმი.

– ოთხი.

– ყური რამდენი აქვს?

– ორი.

– თვალი?

– ორი.

– კატას კუდი აქვს?

– დედი, ამ დებილს, რა, კატა არასოდეს უნახავს?



* * *

– მამი, ვინ არიან უბრალო ადამიანები?

– ეს არის შეზღუდული თვალსაწიერის მქონე ხალხი, რომელთაც არა აქვთ მაღალი იდეალები, არ აწუხებთ არანაირი გლობალური პრობლემები, და რომლებიც ფიქრობენ, რომ სახელმწიფო მხოლოდ იმისთვის არსებობს, რათა მათი პირადი საჭიროებები დააკმაყოფილოს.

– მამი, ასეთ ადამიანებს ხშირად ხვდები?

– რა თქმა უნდა, მე ხომ დეპუტატი ვარ და სისტემატიურად დავდივარ პარლამენტის სხდომებზე.

* * *

პერმანენტულ რევოლუციაზე ცუდი შეიძლება იყოს მხოლოდ პერმანენტული რემონტი.

* * *

ფსიქოთერაპევტის კაბინეტში შედის მამაკაცი, რომელსაც ძვირფასი პიჯაკი რაღაც საკვების ნარჩენებით აქვს მოთხვრილი, თავზე კი ტაფა ახურავს.

– რა გაწუხებთ, პატივცემულო? – ეკითხება ექიმი.

– ამჟამად, ექიმო, მხოლოდ ჩემი მეუღლის სულიერი მდგომარეობა მაწუხებს.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12.

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი" (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნის" დამფუძნებლები
აიწყო და დაკაბადონდა გამომცემლობა „მაქსიმუმში". 95-11-92
იბეჭდება „კოლორში" (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი ალეკო ასლანიშვილი
98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.